

საქართველოს
ქვიარ ემიგრაციის
კვლევა

სხვადყოფნა
და დაპირებული
თავისუფლების ფასი

პუბლიკაცია დაბეჭდილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მხარ-დაჭერით, ინიციატივის „ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“ (LEAD) ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. გამოცემის შინაარსი შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და ნორვეგიის თვალსაზრისს.

www.wisg.org
თბილისი
2025

სხვადყოფნა და დაპირებული თავისუფლების ფასი
საქართველოს ქვიარ ემიგრაციის კვლევა
ნატალია მჭედლიშვილი

ISBN 978-9941-8-7706-3
©ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2025
E-mail: info@wisg.org
Tel: (032) 224 01 03
www.wisg.org

თარგმანი: მედეა რუსიშვილი
რედაქტორი: ნინო საითიძე
ყდის დიზაინი: მაგდა ცოცხალაშვილი
ყდის ფოტო: დუდა სამხარაძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით.

სხვადყოფნა და დაპირებული თავისუფლების ფასი

საქართველოს ქვიარ ემიგრაციის კვლევა

ნატალია მჭედლიშვილი

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
თბილისი 2025

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) ფემინისტური ორგანიზაციაა, რომლის მიზანია, ქალთა გაძლიერების და პოლიტიკური მონაწილეობის გზით, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების შენების ხელშეწყობა.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი მუშაობს ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების, ასევე სხვა მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა საკითხებზე.

WISG მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: ადვოკატირება ქალთა და ქვიარ საკითხების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის; თემის გაძლიერება სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად; გენდერისა და სექსუალობის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი კრიტიკული ცოდნის შექმნა კვლევებისა და სახელოვნებო პროექტების გზით; ინტერსექციური ქვიარ ფემინისტური ორგანიზების პრაქტიკის განვითარება.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ავტორია საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ძირითადი კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის. ჩვენი კვლევები, ჩრდილოვანი ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე ინფორმაცია სხვა აქტივობების შესახებ, ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებსაიტზე: https://wisg.org/ka

დუდა სამხარაძის ფოტო ყდაზე:

ბრიუსელი, ბელგია

წარწერა ქვიარ ბარის კედელზე.

ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანების კორესპონდენცია:

– სად მიდიხარ?

– სამშობლოში.

– იმედი მაქვს, ლამაზი და მშვიდი ცხოვრებისკენ.

სარჩევი

წინასიტყვაობა 11
შესავალი 13
კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 15
ძირითადი ტერმინები 19
ძირითადი მიგნებები 27
ლიტერატურის მიმოხილვა 35
საქართველოს ემიგრაციის კონტექსტი 35
ქვიარ მიგრაცია: განმზიდავი და მიმზიდველი ფაქტორების მიღმა 38
ქვიარ მიგრაცია მზარდი ულტრამემარჯვენე მოძრაობების პირობებში 44
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, გამკლავება და მედეგობა 46

კვლევის შედეგები: ემიგრაციის წინაპირობები 51
საზოგადოებრივი განწყობები და ყოვლისმომცველი ჰომოფობია 51
პოლიტიკური ჰომოფობია 56
ეკონომიკური სიდუხჭირე და პიროვნული განვითარების ბარიერები 61
ქვიარ თემი – უსაფრთხო ნავსაყუდელი? 66
ქვიარ აქტივისტებისა და სათემო მუშაკების სპეციფიკური გამოცდილება 72
წასვლის კომპლექსური გადაწყვეტილება 76

კვლევის შედეგები: ქვიარ ყოფა მიმღებ ქვეყანაში 89
ბიუროკრატიულ სისტემაში ნავიგაცია 89
სოციო-ეკონომიკური ინტეგრაცია 96
თემი, ურთიერთმხარდაჭერა და მედეგობა 113
„სახლი“ და მომავლის ხედვა 123

დასკვნა 129
გამოყენებული ლიტერატურა 133

წინასიტყვაობა

საქართველოში არსებული არასტაბილური სოციო-პოლიტიკური გარემო, ჰომო/ბი/ტრანსფობიის კომპლექსური ხასიათი და მისი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია, საჭიროებს თემისა და გარემოს შესახებ არსებული ცოდნის მუდმივ კვლავწარმოებას. სწორედ ამიტომ, უკვე წლებია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი", ველზე მუშაობის პარალელურად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას. არსებულ გამოწვევებთან გამკლავების ჰოლისტური მიდგომისა და ეფექტიანი ადვოკატირების სტრატეგიის შესამუშავებლად, ორგანიზაციის კვლევებისა და განათლების მიმართულება ცდილობს აღწეროს და გაანალიზოს გარემო და შექმნას ფემინისტურ მიდგომებზე დაფუძნებული ცოდნა თემის გამოცდილებების შესახებ.

თემთან მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ქვიარ ადამიანების ქვეყნიდან გადინების დინამიკა მუდმივად მზარდია. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ბოლო წლებში ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების გააქტიურებამ და ჯგუფურმა თავდასხმებმა ქვიარ ადამიანებსა და ორგანიზაციის ოფისებზე, მმართველი პარტიის მხრიდან ღიად გაკეთებულმა ქსენოფობიურმა განცხადებებმა და ჰომო/ბი/ტრანსფობიის ინსტიტუციონალიზაციამ. ცალკეულ შემთხვევებზე მუშაობამ აჩვენა, რომ მტრული გარემოსა და ძალადობის პერსონალური გამოცდილების გარდა, თემის წევრს შესაძლოა უბიძგებდეს ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო და სოციალური ფაქტორებიც.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ქვეყნიდან წასული ქვიარ ადამიანები ინარჩუნებენ კავშირს ორგანიზაციასთან და თემთან, იქნება ეს დისტანციურად სერვისის მიღება, თანამშრომლობა სხვადასახვა ფორმით, თუ ურთიერთმხარდაჭერა. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ მიზეზების ანალიზი, რომლებიც უბიძგებენ ქვიარ ადამიანს ემიგრირდეს, არამედ იმის ცოდნაც, თუ რა დაბრკოლებებს აწყდება ის მიმღებ ქვეყანაში თავისი მოწყვლადობის გამო.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მკვლევარს ნატალია მჭედლიშვილს გაწეული შრომისთვის, რომელმაც თავი მოუყარა უნიკალურ მასა-

ლას და ქვიარ ემიგრაციის ემოციურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებების კომპლექსურ ანალიზი შემოგვთავაზა.

ვიმედოვნებთ, რომ კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არა მხოლოდ ზოგადად ემიგრაციის სტატუსთან გენდერის და სექსუალობის საკითხების ინტერსექციის შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავებაში, არამედ დაეხმარება ქვეყანაში მოქმედ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს როგორც სისტემურ გამოწვევებზე პასუხების ძიების პროცესში, ასევე საკითხთან მიმართებით ადვოკატირებისას შესაბამისი პრიორიტეტების ასახვაში.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

შესავალი

მიგრაცია ადამიანური გამოცდილების განუყოფელი ნაწილია. მას, როგორც სოციალურ ფენომენს, შეიძლება სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავდეს, როგორიცაა პოლიტიკური კონფლიქტები, ეკონომიკური არასტაბილურობა, სოციალური უთანასწორობა და პირადი მისწრაფებები. გარდა ამისა, ადამიანთა ადგილმონაცვლეობის ღერძზე განლაგებულია ისეთი სოციალური მახასიათებლები, როგორიცაა: რასა, ეთნიკურობა, კლასი, სქესი, გენდერი. ამ კონტექსტში, სპეციფიკურად ქვიარ ინდივიდებისთვის მიგრაცია არა უბრალო გეოგრაფიული გადაადგილება, არამედ იდენტობასთან, მიკუთვნებულობასა და ფიზიკურ თუ ფსიქო-ემოციურ გადარჩენასთან დაკავშირებული რთული პროცესია.

სექსუალობის, გენდერის, მიგრაციისა და პოლიტიკური დინამიკების თანამედროვე თანაკვეთამ წარმოშვა გეოგრაფიული გადაადგილებისა და ადაპტაციის რთული მოდელები, რომელიც სცდება მიგრაციის ტრადიციულ თეორიულ გაგებას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ლგბტქ+ მიგრაციის საკითხის კვლევა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი საქართველოდან, ქვიარ ემიგრანტთა გამოცდილებები შესწავლილი არ არის. წარმოდგენილი კვლევა იძიებს და აღწერს ჰომოფობიური და სოციალურ-ეკონომიკურად დუხჭირი ქართული გარემოდან დასავლურ, უკეთესი ცხოვრების გარანტორად მოაზრებულ ქვეყნებში მიგრირებული ქვიარების მრავალმხრივ გამოცდილებებს.

მოცემულ კვლევის საკითხს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის საქართველოში ანტიდემოკრატიული, ავტორიტარული მობილიზაციის გაძლიერება, რაც ადამიანის უფლებების, მისი დაცვის მექანიზმებისა და ადვოკატირების სივრცის რადიკალური შეზღუდვითა და ლგბტქ+ საკითხების მძაფრი ინსტრუმენტალიზებით ხასიათდება. ამავე დროს, დასავლურ ქვეყნებში ულტრამემარჯვენე, ნეოკონსერვატიული მოძრაობები ყოველდღიურად იმკვიდრებენ ადგილს. ეს პარალელური მოვლენები უნიკალურ გამოწვევებს უქმნიან ქვიარ მიგრანტებს, რომლებიც უსაფრთხოებისა და თვითრეალიზების ძიების პროცესში, სხვადასხვა სახის მარგინალიზაციის დაძლევას ცდილობენ. შესაბამისად, კვლევის ფოკუსში არის ქვიარ მიგრაცია, როგორც ძალიან პირადი გამოცდილება, ისე – მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ფენომენი, რომელიც მოიცავს სისტემური ჩაგვრის, პირადი არჩევანის, აგენტობისა და გლობალური უთანასწორობის საკითხებს.

სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით, გამოიკითხა საქართველოდან მიგრირებული, სხვადასხვა იურიდიული სტატუსის მქონე 30 ქვიარ ადამიანი, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებლები, შრომითი მიგრანტები და სტუდენტები, რომლებიც ლეგალური ბინადრობის მოსაპოვებლად რჩებიან დასავლურ ქვეყნებში. რესპონდენტთა შორის არიან როგორც ქართულ ლგბტქ+ აქტივიზმსა და სათემო მუშაობაში ადრე ჩართული პირები, ისე თემის წევრები, რაც ხელშესახებს ხდის განსხვავებულ პერსპექტივებს მიგრაციის გამოცდილებების ფორმირების, აქტივიზმისა და სათემო დინამიკის შესახებ.

სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით, ვცადეთ მოგვეხელთებინა მიგრაციის წინაპირობები და მოტივაცია, სახლისა და მიკუთვნებულობის განცდის თავისებურებები და, ასევე, ის სპეციფიკური გამოწვევები, რომლებიც საქართველოდან მიგრირებულ ქვიარებს მიმღებ ქვეყნებში ხვდებათ. რესპონდენტთა თხრობის და ინტერვიუების დინამიკის გათვალისწინებით, კვლევის ფოკუსში მოექცა ემოციურ კეთილდღეობასთან, სოციალურ სტიგმასა და ემოციურ მედეგობასთან დაკავშირებული შინაარსები, რაც მეტად ნიუანსურ წარმოდგენას ქმნის ქვიარ ადამიანების იდენტობებისა და მისწრაფებების შესახებ.

კვლევა წვლილს შეიტანს მიგრაციის სტატუსთან გენდერის და სექსუალობის საკითხების ინტერსექციის შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავებაში – როგორ განაპირობებს იდენტობათა თანაკვეთა, სათემო და სამოქალაქო ჩართულობა ინდივიდუალურ გამოცდილებებს და კოლექტიური წინააღმდეგობის სტრატეგიებს. კვლევის საგანია სპეციფიკურად საქართველოდან მიგრირებული ქვიარების ნავიგაცია სისტემური ჰომოფობიის პირობებში და მათი ადაპტაცია-ინტეგრაცია, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა მიმღებ ქვეყნებში, შესაბამისად, იგი სცდება მიგრაციის ანალიზის ტრადიციულ ჩარჩოს და წარმოაჩენს ქვიარ მიგრაციის კომპლექსურ ემოციურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს.

კვლევის მიგნებები სასარგებლო იქნება თანამედროვე ქვიარ მიგრაციის თავისებურებების გასაგებად, ლგბტქ+ მიგრანტების მხარდამჭერი სისტემების ეფექტიანობის გაზრდისა და ისეთი პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელიც უკეთ უპასუხებს მათ საჭიროებებს. გარდა ამისა, საქართველოდან მიგრირებულ ქვიარებზე ფოკუსირებით, კვლევა ხელს შეუწყობს უფრო ფართო დისკუსიას, მზარდი მემარჯვენე, ანტიდემოკრატიული მოძრაობების პირობებში, მარგინალიზებულ ჯგუფებზე, მტრულ პოლიტიკურ გარემოში ინდივიდებისა და კოლექტივების წინააღმდეგობასა და მედეგობაზე.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

მიზანი

კვლევის **მიზანია,** ქვიარ ემიგრაციის სიღრმისეული გააზრების გზით, ხელი შეუწყოს ინკლუზიური, პროგრესული პოლიტიკისა და მხარდამჭერი მექანიზმების გაუმჯობესებას.

კვლევის უპირველესი **ამოცანაა** საქართველოდან დასავლურ ქვეყნებში მიგრირებული ლგბტქ+ ინდივიდების გამოცდილებების შესწავლა, მათ შორის, მიგრაციის წინაპირობებისა და მიმღებ ქვეყნებში არსებული გამოწვევების ანალიზი. ის ფოკუსირებულია სექსუალური და გენდერული იდენტობის, სისტემური ბარიერების, ემოციური კეთილდღეობისა და სოციო-კულტურული ადაპტაციის ურთიერთკავშირებზე, ასევე, რესპონდენტთა რეტროსპექტიულ რეფლექსიასა და სამომავლო მისწრაფებებზე.

კვლევის კითხვები:

1. რა გარემო წინაპირობები განსაზღვრავს საქართველოდან წასვლის გადაწყვეტილებას?
2. რა გავლენას ახდენს მიმღებ ქვეყნებში არსებული გარემო პირობები ქვიარ მიგრანტების ფსიქო-ემოციურ კარგად ყოფნაზე?
3. როგორ უმკლავდებიან ქვიარ მიგრანტები სოციალურ-კულტურულ თუ სხვა სისტემურ ბარიერებს ინტეგრაციის პროცესში?
4. რა როლი აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ დისკურსს ქვიარ ინდივიდების ცხოვრებაზე მიგრაციის შემდგომ?
5. როგორ აფასებენ ქვიარ მიგრანტები საქართველოში მიღებულ გამოცდილებებს მიგრაციის შემდგომ და როგორ აისახება ეს მათ სამომავლო გეგმებზე?
6. რა პრაქტიკული დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ქვიარ მიგრანტების ცხოვრებისეული გამოცდილებების საფუძველზე, ინსტიტუციური მექანიზმების გასაუმჯობესებლად?

მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინი

კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას და იყენებს ინტერსექციურ ჩარჩოს საქართველოდან მიგრირებული ქვიარ ინდივიდების კომპლექსური გამოცდილებების გასაანალიზებლად. მონაწილეთა ნარატივების წარმოჩენით, კვლევა ცდილობს განმარტოს, თუ როგორაა ურთიერთდაკავშირებული სექსუალური და გენდერული იდენტობა, მიგრაციის სტატუსი და სოციო-პოლიტიკური ფაქტორები და როგორ განსაზღვრავენ ისინი ლგბტქ+ ინდივიდების რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებას. თემატური ანალიზის გზით, კვლევა დეტალურად წარმოაჩენს ქვიარ მიგრაციასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს.

მონაცემთა შეგროვება

მონაცემები შეგროვდა 30 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზით, რომელიც 2024 წლის მარტი-ივნისის პერიოდში ჩატარდა, სხვადასხვა ონლაინპლატფორმის ვიდეოზარების გამოყენებით (Zoom, Messenger, WhatsApp). ინტერვიუები ჩატარდა დიალოგის პრინციპით, რაც მონაწილეებს აძლევდა საკუთარი გამოცდილებების და რეფლექსიების თავისუფლად გაზიარების საშუალებას შემდეგი საკვანძო მიმართულებებით:

1. საქართველოში ცხოვრების გამოცდილებები;
2. მიმღები ქვეყნების საემიგრაციო და სხვა ინსტიტუციურ ერთეულებთან ურთიერთობა;
3. ემოციური და ფსიქოლოგიური გამოწვევები და გამკლავების მექანიზმები;
4. რეტროსპექტიული რეფლექსია და სამომავლო მისწრაფებები.

შერჩევა

კვლევის მონაწილეთა რეკრუტირება მოხდა თოვლის გუნდის მეთოდით და საბოლოო შერჩევა მოიცავს საქართველოდან წასულ 30 ლგბტქ+ ინდივიდს. რესპონდენტთა შორის არიან ლესბოსელად, გეიდ, ბისექსუალად, ტრანსგენდერ ქალად, ტრანსგენდერ კაცად, არაბინარულად და ქვიარად თვითიდენტიფიცირებული ინდივიდები. მათი უმეტესობა (20)

მიმღებ ქვეყნებში ლტოლვილად ჩაბარდა, დანარჩენების თავდაპირველი მიზანი კი სწავლა და მუშაობა იყო. რაც შეეხება მიმღებ ქვეყნებს, რესპონდენტთა უმეტესობა მიგრირებულია დასავლეთ ევროპის – მათ შორის, სკანდინავიის – ქვეყნებში, ნაწილი კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეთიკური საკითხები

კვლევა ჩატარდა ეთიკური პრინციპების დაცვით, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მონაწილეთა ავტონომიას, ანონიმურობასა და ემოციურ უსაფრთხოებას:

- ყველა ინტერვიუ ჩატარდა ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე;
- ანონიმურობის უზრუნველყოფა მოხდა ნედლი მასალის უსაფრთხო შენახვისა და დამუშავების ეტაპზე პირადი მონაცემების დაშიფვრის გზით. კვლევის საბოლოო ანგარიშშიც გათვალისწინებულია რესპონდენტთა უმეტესობის სურვილი, დარჩნენ ანონიმურები და ანგარიშში მოყვანილ შესაბამის ციტატებზე დატანილი იქნება მხოლოდ მათი მიგრაციის ტიპი (თავშესაფრის მაძიებელი (თმ), მიგრანტი (მ)), ხანგრძლივობა და ინტერვიუს თარიღი;
- მონაწილეები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, რომ შეეძლოთ ინტერვიუ ნებისმიერ ეტაპზე გაეწყვიტათ, ან თავი შეეკავებინათ კონკრეტულ კითხვებზე პასუხისაგან;
- ემოციურად რთული თემების განხილვისას მონაწილეებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია სხვადასხვა მხარდამჭერი რესურსის შესახებ.

მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა გასაანალიზებლად გამოვიყენეთ თემატური ანალიზის მეთოდი, რამაც განმეორებადი პატერნების იდენტიფიცირებისა და ტენდენციების ღრმად გაგებისა და აღწერის საშუალება მოგვცა.

1. პირველ რიგში მომზადდა ინტერვიუების ვიდეო/აუდიოჩანაწერების **ტრანსკრიპტები** და განადგურდა ნედლი ჩანაწერები, დაიშიფრა რესპონდენტების პირადი ინფორმაცია.

2. ინტერვიუების ტრანსკრიპტებში მოხდა თემატური ტენდენციების იდენტიფიცირება და **კოდირება;**
3. მიღებული კოდები **დაჯგუფდა** კატეგორიებად, რაც რესპონდენტთა გამოცდილებების მრავალგანზომილებიანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა;
4. საბოლოო ეტაპზე მოხდა თემატური მიგნებების კონტექსტუალიზება შესაბამის თეორიულ და ტერმინოლოგიურ ჩარჩოში.

კვლევის შეზღუდვები

ვაცნობიერებთ და რეპრეზენტაციისას ვითვალისწინებთ კვლევის შეზღუდვებს, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით:

1. **კვლევის პერიოდი:** მონაცემები შეგროვდა კონკრეტული დროის პერიოდში, 2024 წლის გაზაფხულზე, იქამდე, სანამ საქართველოში მმართველი პარტია დააინიციირებდა და შემდგომ, მიიღებდა კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რაც პირდაპირ თუ ირიბად მოქმედებს საქართველოში ქვიარ ინდივიდებისა და კოლექტივების ყოფაზე. შესაბამისად, კვლევის მონაცემები არ მოიცავს ქვიარ რეფლექსიებს ამ კონკრეტული რეპრესიული ინსტრუმენტის შესახებ.
2. **შერჩევა:** რესპონდენტთა თოვლის გუნდის მეთოდით შერჩევის გამო, შესაძლოა, ანალიზი მოიცავდეს კონკრეტულ ქსელებსა და თემთან დაკავშირებულ ინდივიდთა გამოცდილებებს და სრული მრავალფეროვნებით არ ასახავდეს ქვიარ მიგრანტთა რეალობას.
3. **მკვლევრის პოზიციონირება:** მკვლევრის გამოცდილება და პოზიციონირება, მათ შორის, რესპონდენტებთან პროფესიული და პირადი კვეთა წარსულსა თუ აწმყოში, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს კვლევის მიგნებათა ინტერპრეტაციაზე.

ძირითადი ტერმინები

გადარჩენილის დანაშაულის გრძნობა – Survivor's Guilt. მას განიცდიან ადამიანები, რომლებიც გადაურჩნენ რაიმე ტრავმატულ მოვლენას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვები მეტად დაზიანდნენ.

განმზიდავი-მიმზიდველი ფაქტორების თეორიული ჩარჩო – მიგრაციის ანალიზის მოდელი, უპირველესად ფოკუსირებულია ფაქტორებზე, რომლებიც ადამიანს საცხოვრებელი ადგილის დატოვებას აიძულებს და ფაქტორებზე, რომლებიც მათ კონკრეტული დანიშნულების ადგილისაკენ მიიზიდავს.

გენდერის განმამტკიცებელი სერვისები – Gender Affirmation Services. სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სერვისები, რომლებიც მიმართულია ინდივიდის ფიზიკური გარეგნობისა და სოციალური ცხოვრების სინქრონიზებისა და არასისნორმატიული ადამიანების კარგად ყოფნისაკენ. მოიცავს კონსულტირებას, ჰორმონულ თერაპიას, ოპერაციებსა და სამართლებრივ დახმარებას.

გრასრუთი – ხალხისგან ან ადგილობრივი ერთობებისგან წამოსული ინიციატივები და მოძრაობები, რომელიც განსხვავდება ცენტრალიზებული ან ელიტური ორგანიზების ტიპისაგან. ასეთი ინიციატივები ხშირად მიმართულია კოლექტიური მოქმედებისკენ, სათემო გაძლიერებისა და სოციალური, პოლიტიკური და გარემოს „ქვემოდან-ზემოთ" ცვლილებისაკენ.

დასავლური ქვეყნები – სახელმწიფოები, რომლებიც ისტორიულად და კულტურულად დაკავშირებულია დასავლეთ ევროპასთან, ჩრდილოეთ ამერიკასთან და ხასიათდებიან ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტებით, ინკლუზიური საზოგადოებებით, თავისუფალი ბაზრით, პოლიტიკური პლურალიზმით, მყარი დემოკრატიული ინსტიტუტებითა და სისტემებით.

ემანსიპაციის ფანტაზია – სოციოლოგის, კულტურის თეორეტიკოსისა და პოლიტიკური აქტივისტის, სტიუარტ ჰოლის ტერმინი. აღნიშნავს კონკრეტული დისკურსების მიერ წარმოებულ ემანსიპაციის გაგებას, სადაც თავისუფლების დანაპირები ვერასოდეს მიიღწევა. ეს ფანტაზიები არ ცნობს ჩაგვრის კომპლექსურობას, მიმართულია ინდივიდუალურ და არა სისტემურ დონეზე ცვლილებისკენ და აძლიერებს არსებულ ძალაუფლებრივ სტრუქტურებსა და სტატუს-კვოს.

ემიგრაცია – გლობალურ კონტექსტში, ქვეყნიდან გასვლა საზღვარგარეთ ერთ წელზე მეტი ვადით დარჩენის მიზნით (მიგრაციის ევროპული ქსელი, 2023).

თავშესაფრის მაძიებელი – გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც ეძიებს დევნის ან სერიოზული ზიანისგან დაცვას თავისი ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყანაში და ელოდება გადაწყვეტილებას თავის განცხადებაზე ლტოლვილის სტატუსის შესახებ, შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტების საფუძველზე. ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) შესაბამისად, წარადგინა განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით და რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული (მიგრაციის ევროპული ქსელი, 2023).

თვითაქტუალიზება – საკუთარი პოტენციალის, შესაძლებლობებისა და მისწრაფებების გაცნობიერებისა და განხორციელების პროცესი. თვითაქტუალიზება განხილულია პიროვნული ზრდისა და განვითარების შედარებით მაღალ საფეხურად, თუმცა ის შეიძლება წახალისდეს ან დაითრგუნოს სოციალური ნორმების, სისტემური ბარიერებისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიხედვით.

ინტერსექციურობა – გულისხმობს იმ სოციალურ კატეგორიათა ან იდენტობათა თანაკვეთას, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ ჯგუფისა თუ ინდივიდის ჩაგვრას, ან მათი მოწყვლადობის დამატებით ფაქტორს წარმოადგენს. ტერმინი 1980-იანი წლების ამერიკაში შავკანიანი ფემინისტური მოძრაობის კვალდაკვალ გაჩნდა, ის დაამკვიდრა აქტივისტმა და მკვლევარმა კიმბერლი

უილიამ ქრენშოუმ, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი უთანასწორობისა და ჩაგრულობის განმაპირობებელი ორგანიზაციული, კულტურული და პერსონალური ფაქტორების თანაკვეთის აღსაწერად. მოცემულ კვლევაში ტერმინი გამოიყენება ისეთი ფაქტორების კვეთათა წარმოსაჩენად, როგორიცაა გენდერი, ასაკი და სოციო-ეკონომიკური სტატუსი.

ლტოლვილი – გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის მიზეზით დევნის საფუძვლიანი შიშის გამო იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს, ისარგებლოს ამ ქვეყნის დაცვით; ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ზემოთ აღნიშნული მიზეზებით იმყოფება ადრინდელი (ჩვეული) საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს ამ ქვეყანაში დაბრუნება (მიგრაციის ევროპული ქსელი, 2023).

მიგრანტი – გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყანაში, 1 წელზე მეტი ხნით, მიუხედავად მიზეზებისა (ნებაყოფლობითი თუ იძულებითი) და გამოყენებული საშუალებებისა (კანონიერი თუ უკანონო) (მიგრაციის ევროპული ქსელი, 2023).

მიკუთვნებულობა – მიღებულობის, დაფასებულობის და ჯგუფთან ან თემთან კავშირისა და თვითასოცირების, მთლიანობის ნაწილად ყოფნის განცდა, რომელსაც ადამიანის ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.

მიმღები ქვეყანა – კვლევის ანგარიშში ასევე მოხსენიებული, როგორც **დანიშნულების ქვეყანა,** ანუ სახელმწიფო, რომელიც მიიღებს და მასპინძლობს სხვა ქვეყნების მოქალაქე მიგრანტებს, ლტოლვილებს ან თავშესაფრის მაძიებლებს, რომლებმაც ტიპურად უსაფრთხოების, ეკონომიკური შესაძლებლობების ანდა პოლიტიკური სტაბილურობის მიღების მიზნით დატოვეს ქვეყანა. მიგრაციის ევროპული ქსელის (2023) მიხედვით, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა გადაუდებელი საჭიროებების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ადგილი, რომელიც მოიცავს ამ პირთა მიღებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას.

ნეოკონსერვატიზმი – პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან იჩენს თავს, თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ლიბერალიზმისა და რადიკალიზმის აღქმულ წარუმატებლობაზე რეაქცია. კონსერვატიული რწმენებითა და ღირებულებებით ნასაზრდოები, ის ტრადიციულ კონსერვატიზმს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკასთან აერთიანებს. ამერიკის კონტექსტში, იდეოლოგია ასევე მოიცავს ამერიკული დემოკრატიული მოდელის საზღვრებს გარეთ გავრცელების მყარ რწმენას, რაც სამხედრო ინტერვენციების ადვოკატირებაშიც გამოიხატება. სხვადასხვა კონტექსტში კი – კეთილდღეობის პროგრამების შეზღუდვას, კულტურულ ტრადიციონალიზმსა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე აქცენტს.

ნეოლიბერალიზმი – ეკონომიკურ ზრდასა და მდგრადობაზე ფოკუსირებული ეკონომიკური და პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მხარს უჭერს თავისუფალი ბაზრის პრინციპს, სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზებას, პრივატიზებას, დერეგულაციასა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის იმპერატივს.

პრეკარიატი – აღნიშნავს სოციალურ კლასს ან ჯგუფს, რომლის სამუშაო პირობები არასტაბილურობით, დაუცველი გარემოთი და დაბალი შემოსავლით ხასიათდება. პრეკარიატი ხშირად ემსახურება ისეთ სამუშაოებს, რომელიც არ უზრუნველყოფს სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას, სოციალურ გარანტიებს, გრძელვადიან შეთანხმებასა და განვითარების პერსპექტივას.

სოციალური ექსკლუზია – პროცესი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული ინდივიდების ან ჯგუფების სისტემურ მარგინალიზებას ან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესურსებზე წვდომის შეზღუდვას, რასაც ისინი მეინსტრიმული საზოგადოებისაგან იზოლაციისკენ მიჰყავს.

სტიგმა – სოციალური არაღიარება, ნეგატიური დამოკიდებულება ან რწმენა, რომელიც მიემართება კონკრეტულ ჯგუფს ან ქცევას.

სტრესორი – მოვლენა, სიტუაცია ან მდგომარეობა, რომელიც იწვევს სტრესს ან ხელს უშლის ინდივიდის მიერ გამკლავებას და რასაც ის პოტენციურად ემოციურ, ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ სირთულეებამდე მიჰყავს.

სხვადყოფნა (Otherness) – ინდივიდის ან ჯგუფის დომინანტური ჯგუფისაგან ფუნდამენტურად განსხვავებულად მონიშვნა ან საკუთარი თავის ამგვარად აღქმა. ამ ფენომენს შეუძლია გამოიწვიოს ინდივიდის ან ჯგუფის მარგინალიზაცია, ექსკლუზია და იზოლაცია. ტერმინი ხაზს უსვამს ძალაუფლებრივ დინამიკას, რომელიც ადგენს სოციალურ იერარქიებს, კოლექტიურ იდენტობებსა და კულტურულ საზღვრებს, განსაზღვრავს, ვინ არის მიკუთვნებული და ვინ – უცხოდ აღქმული.

ულტრამემარჯვენე – იდეოლოგიებისა და მოძრაობების სპექტრი, რომელიც მემარჯვენე პოლიტიკური ფილოსოფიის უკიდურეს პოზიციაზე ფიქსირდება. ხასიათდება ულტრანაციონალიზმით, ავტორიტარიზმით, ანტიდემოკრატიული ტენდენციებით, სხვადასხვა ჯგუფის ექსკლუზიისკენ მიმართული იდეოლოგიებით, როგორიცაა ქსენოფობია, ეთნონაციონალიზმი, და პროგრესულ სოციალურ პოლიტიკასთან დაპირისპირებით.

უმცირესობის სტრესი – ტერმინი 1990-იან წლებში პირველად გამოიყენა ფსიქოლოგმა ილან მეიერმა. თავდაპირველად კონცეფცია სოციალური სტიგმის, დისკრიმინაციითა და მარგინალიზაციით განპირობებული უნიკალური სტრესორების აღსაწერად გამოიყენებოდა, რომელსაც სექსუალური უმცირესობები აწყდებიან. დროთა განმავლობაში, ტერმინი გავრცელდა სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებზეც, სოციალური პოზიციითა და სისტემური უთანასწორობებით განპირობებული მუდმივი სტრესის გათვითცნობიერების კვალდაკვალ, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან.

უსაფრთხო სივრცე – გარემო, სადაც ინდივიდებს სპეციფიკურად მარგინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფებიდან, შეუძლიათ თავი იგრძნონ მიღებულად და დაფასებულად, დისკრიმინაციის, შევიწროებისა და განსჯისგან თავისუფლად. უსაფრთხო სივრცეები გვთავაზობს ღიად თვითგამოხატვისა და ურთიერთდახმარების რესურსებსა და ინკლუზიას, რაც ინდივიდებს ექსკლუზიის შიშის გარეშე, გამოცდილებების გაზიარების და იდენტობების გამხელის საშუალებას აძლევს.

ქვიარ მიგრაცია – ტერმინით აღვნიშნავთ იმ ინდივიდების გეოგრაფიულ გადაადგილებას, რომელთა სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა ან თვითგამოხატვა არ შეესაბამება ჰეტერონორმატიულ სტანდარტებს. ეს მიგრაცია ხშირად გამოწვეულია დისკრიმინაციით, ძალადობით ან წინარწმენებით გამოხატული წნეხით, რომელსაც ისინი სამშობლოში განიცდიან. ქვიარ მიგრაცია შეიძლება იყოს როგორც იძულებითი (თავშესაფრის ძიება ჰომოფობიური ან ტრანსფობიური გარემოს გამო), ისე ნებაყოფლობითი, რომელიც განპირობებულია სოლიდარული და მხარდამჭერი გარემოს ძიებით. ქვიარ მიგრაცია მოიცავს როგორც ფიზიკურ, გეოგრაფიულ გადაადგილებას, ისე პირადი და სოციალური იდენტობების ცვლილებას, რადგან ქვიარ მიგრანტები სივრცეში გადაადგილებით ესწრაფვიან უსაფრთხოებასა და მიკუთვნებულობის განცდას.

ქვიარ ძალისხმევა – კვლევაში ტერმინი გამოყენებულია კოლექტიური და ინდივიდუალური მოქმედებების აღსანიშნად, რომელიც ლგბტქ+ უფლებების, ინკლუზიურობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, მიმართულია ნორმატიული მჩაგვრელი სტრუქტურების წინააღმდეგ. მოიცავს მჩაგვრელ სისტემებთან დაპირისპირების, სათემო გაძლიერებისა და უსაფრთხო სივრცეების უზრუნველყოფის სტრატეგიებს.

ქვიარი – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ინდივიდს, ვისი სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა ან თვითგამოხატვა არ ჯდება ტრადიციულ ჰეტერონორმატიულ და სისნორმატიულ სტანდარტში. მოიცავს გენდერსა და სექსუალობასთან დაკავშირებული იდენტობების და გამოცდილებების ფართო სპექტრს, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება კატეგორიზების კონვენციურ სტანდარტს.

ჰეტერონორმატიულობა – იგივე ნორმატიული სექსუალობა – სექსუალობისა და გენდერული იდენტობის გაბატონებული ჰეტეროსექსუალური წესრიგისათვის (სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური) დაქვემდებარება.

ჰიპერვიგილანტობა – მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს პოტენციური საფრთხეების და რისკების გამო, მუდმივ და ძალისხმევით გამახვილებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს. ეს მდგომარეობა ხშირად განპირობებულია ტრავმული გამოცდილებებით, საფრთხით ან შიშით და იწვევს ფსიქო-ემოციურ დაძაბულობას. ჰიპერვიგილანტობა შეიძლება გამოხატული იყოს გარემოს მიმართ გადაჭარბებული ყურადღებით, მოდუნების შეუძლებლობით, შფოთვით, უსაფუძვლო შიშით ან დარდით იმის შესახებ, რა შეიძლება მომხდარიყო ან შესაძლოა მოხდეს.

ჰომონაციონალიზმი – კონცეფციის ავტორია იასბირ პუარი (2007), რომელიც შეისწავლის დასავლურ კონტექსტში ნაციონალისტური მოძრაობების მიერ ლგბტქ+ უფლებების კოოპტაციას რასობრივი, რელიგიური და მიგრანტული ჯგუფების მარგინალიზების კვალდაკვალ. ის კრიტიკულად აანალიზებს ლგბტქ+ უფლებების დაკავშირებას ნაციონალისტურ დღის წესრიგთან და ამ კონტექსტში, ხაზს უსვამს ლგბტქ+ ინდივიდების გამოყენებას მოდერნულობისა და ტოლერანტობის სიმბოლოდ, „სხვა“, საფრთხედ აღქმულ ჯგუფებთან დასაპირისპირებლად.

ძირითადი მიგნებები

1. წასვლის წინაპირობები

საქართველოდან წასვლის წინაპირობებზე საუბრისას, რესპონდენტების ნარატივებში გამოვლენილი ერთ-ერთი ყველაზე დომინანტური საკითხი არის ჰომოფობიის ყოვლისმომცველობა. სხვადასხვა ფორმით მანიფესტირებული მტრული განწყობები ქმნის გარემოს, სადაც ქვიარ ინდივიდებს მუდმივი გამკლავება უწევთ შიშთან, მარგინალიზაციასა და უსარგებლობის, მიუღებლობის განცდასთან.

ყოვლისმომცველი და სისტემური ექსკლუზია, რომელზეც რესპონდენტები ლაპარაკობენ, ქვიარ ინდივიდების მიგრაციის იძულებით ხასიათზე მიუთითებს. თუმცა, მიგრაციის გადაწყვეტილებათა კომპლექსურობა სცდება მარტივ დებატს მის ნებაყოფლობითობასა და იძულებითობაზე, რამდენადაც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა იდენტობა, უსაფრთხოება, ურთიერთობები, ჯანმრთელობა და ადამიანის ფუნდამენტური სწრაფვა ღირსეული ცხოვრებისა და თვითგამორკვევისკენ.

1.1. ყოვლისმომცველი ჰომოფობია: დათმენა თუ გადარჩენა?

რესპონდენტთა ნარატივები ცხადყოფს, რომ საქართველოში ჰომოფობიური განწყობები სცდება დისკრიმინაციის ინდივიდუალურ შემთხვევებს და კულტურულ, ინსტიტუციურ და ინტერპერსონალურ დინამიკაში განსხეულებულ სისტემურ პრობლემას წარმოქმნის. ჰომოფობიის სისტემური ხასიათი მართლაც მტრულს ხდის გარემოს ქვიარებისთვის, სადაც დარჩენა – დათმენის, ხოლო წასვლა – გადარჩენის აქტად გვესახება.

არაერთი რესპონდენტისთვის, საქართველოში საჯარო ცხოვრება დაკავშირებულია საფრთხის ქრონიკულ განცდასთან, რომელიც ხან პირდაპირი კონფრონტაციით, ხანაც პოტენციური ზიანის შიშით არის განსაზღვრული. მართალია, საჯარო სივრცეში ფიზიკური ძალადობა და სიტყვიერი შეურაცხყოფაც უხვადაა რესპონდენტთა ისტორიებში, მაგრამ მათი არარსებობის შემთხვევაშიც კი, თავდასხმის შიში, ერთგვარი ნაგულისხმევი ჰომოფობია, მტრული განწყობის მუდმივი მოლოდინი ხშირად განაპირობებს გარემოსთან მათი ინტერაქციის თავისებურებას.

შედეგად, ქვიარ ინდივიდები გრძნობენ მუდმივად ფხიზლად ყოფნის აუცილებლობას, რათა საფრთხე შეუმჩნეველი არ დარჩეთ. თუმცა ამგვარი გაფაციცება, **ჰიპერვიგილანტობა,** თვითგადარჩენის მექანიზმია, ამავე დროს, ქრონიკული სტრესის, თვითშეფასების დაქვეითებისა და თვითსტიგმატიზების წინაპირობაა, რაც ზღუდავს გადაწყვეტილების მიღების და პიროვნული განვითარების შესაძლებლობებს.

1.2. პოლიტიკური გაუცხოება და უძალობა

ქვიარ მიგრაცია ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურად გაუცხოებასა და უძალობის განცდასთან. გენდერსა და სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხებით პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება, ტოვებს რა მათ უძალობისა და დატყვევებულობის განცდით, აღრმავებს ქვიარ ინდივიდების ექსკლუზიას და საქართველოში მომავლის დაგეგმვის შესაძლებლობას წარმოუდგენელ პერსპექტივად აქცევს.

1.3. ეკონომიკური სიდუხჭირე – პრეკარიატი და უპერსპექტივობა

რესპონდენტთა მონათხრობი ცხადყოფს, რომ ეკონომიკური სიდუხჭირის ინტერსექცია სოციალურ ექსკლუზიასა და პოლიტიკურ უგულებელყოფასთან, მარგინალიზაციის ფართო და მონოლითურ სისტემას ქმნის და ქვიარ ადამიანებს დაუძლეველი უპერსპექტივობის განცდას უჩენს.

ეკონომიკური სიდუხჭირე და პიროვნული განვითარების ბარიერები გამოკითხული ქვიარების ნარატივებში წარმოდგენილი ორი ერთმანეთთან დაკავშირებული და ხშირად ცენტრალური საკითხია, რომელიც მომავლის აღქმასა და მიგრაციის გადაწყვეტილებას განაპირობებს. რესპონდენტები ხშირად აღწერენ პროფესიული და პიროვნული განვითარების შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეულ ფრუსტრაციასა და უიმედობას, რომელიც როგორც ეკონომიკური სისტემით, ისე – დისკრიმინაციის სპეციფიკური გამოცდილებებით არის განსაზღვრული.

1.4. წასვლის წინაპირობები: თემი და სათემო მუშაობა

მიკროსოციუმებს, პირველად ოჯახსა და ქვიარ თემს შორის ნავიგირების გამოცდილება რესპონდენტთათვის კომპლექსურობით ხასიათდება

და საქართველოში ქვიარად ცხოვრების ერთგვარ ილუსტრაციას გვთავაზობს. ეს დინამიკა მცირემასშტაბიან, პრივატულ სივრცეებში ირეკლავს ფართო საზოგადოებრივ მანკიერ ძალაუფლებრივ დინამიკას. ამგვარი წესრიგი ქვიარ ადამიანების მიკუთვნებულობის ფორმირებასა და უპირობო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობას კრიტიკულად ართულებს.

რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის პირველადი ოჯახი და ქვიარ თემი ერთგვარი კონტრასტული რეალობებია: პირველში ხშირად მანიფესტირდება მტრული საზოგადოებრივი დინამიკა, ხოლო თემი, მიუხედავად თავისი პრობლემებისა, მრავალი ქვიარისთვის თავშესაფრის ფუნქციას ითავსებს.

თუმცა, რამდენადაც ქვიარ თემი მრავალი რესპონდენტისთვის ნავსაყუდლის ფუნქციას ითავსებს, ისინი შიდასათემო პრობლემებსა და უთანხმოებებზეც ვრცლად საუბრობენ. ზოგიერთი მათგანი აღწერს იმ კრიტიკულ დინამიკას, რაც საქართველოში ქვიარ თემს ახასიათებს – ექსკლუზია, იერარქია და უთანასწორობა, როგორც სექსუალობისა და გენდერის, ისე სოციალური თუ ეკონომიკური კლასის (საცხოვრებელი ადგილი, ცხოვრების წესი, იდენტობა და სხვ.) ნიშნით.

ამავე კონტექსტში, სპეციფიკურია სათემო მუშაკებისა და აქტივისტების გამოცდილებები. აქტივიზმში ჩართვა ინდივიდუალური თვითგამორკვევის პროცესსაც ემთხვევა და, ზოგჯერ, სხვა, უფროსი აქტივისტების მიერ არის შთაგონებული, ზოგჯერ კი – ემანსიპატორული იდეების რწმენით ანდა აკადემიური ინტერესით. ამ გზაზე, აქტივისტები და სათემო მუშაკები მრავალ წნეხს აწყდებიან, კომპლექსური სირთულეები მრავალ მათგანს ტოვებს გარდამტეხი პირადი და პროფესიული გამოწვევების წინაშე, რაც ყველაზე ხშირად იერარქიულ ორგანიზაციულ სტრუქტურებთან უთანხმოებაში, პროფესიულ გადაწვასა და იმედგაცრუებაში ვლინდება. თუმცა, ეს რესპონდენტები საკუთარ როლს ხედავენ არა მხოლოდ ქვიარ ინდივიდების მყისიერი საჭიროებების დაკმაყოფილებაში ან ლგბტქ+ უფლებების ადვოკატირების კონტექსტში, არამედ, ასევე, სამართლიანობისა და თანასწორობისათვის ბრძოლის უფრო ფართო მოძრაობის ნაწილად.

1.5. წასვლის გადაწყვეტილება

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიგრაციის გადაწყვეტილებას ახასიათებს, როგორც მყისიერი საჭიროებით ნაკარნახევს ან/და იმპულსურს და არა წინასწარგანზრახულსა თუ თვითმყოფს.

წასვლის გადაწყვეტილებაზე საუბრისას, ინტერვიუების ნაწილში ირიბად ან პირდაპირ ჩანს რეტროსპექტიული სინანული. რესპონდენტები იდენტობის გამო სისტემური მარგინალიზებისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ბარიერების შედეგად მიღებულ ემოციურ ზიანზე საუბრისას, ხშირად გამოხატავენ სინანულს, რომ წასვლის გადაწყვეტილება უფრო ადრე არ მიიღეს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათი გამოცდილება ემიგრაციაში შორსაა იდეალურისგან.

რესპონდენტების მონათხრობში, წასვლის გადაწყვეტილების მიღების გადამწყვეტ ფაქტორებად ხშირად გვხვდება ჰომოფობიური გარემოთი და სისტემური მარგინალიზაციით გამოწვეული ქრონიკული სტრესი, შფოთვა და დეპრესია – და არა იმდენად ახალ ადგილას ახალი შესაძლებლობების ძიება. შესაბამისად, მიგრაციის გადაწყვეტილება გამოკითხული ქვიარ ინდივიდებისთვის სხეულებრივი და ფსიქოლოგიური თვითზრუნვის გამოხატულება უფროა, ვიდრე მარტივი გეოგრაფიული ტრანზიცია.

2. მიმღებ ქვეყანაში

ახალ ქვეყანაში ტრანზიციის შესახებ რესპონდენტთა მონათხრობი სავსეა როგორც მდგომარეობის შემსუბუქებისა და თავისუფლების განცდით, თვითრეფლექსიისა და თვითაქტუალიზების უჩვეულო შესაძლებლობით, ისე სპეციფიკური გამოწვევებით. რამდენადაც მიგრაცია უსაფრთხოების და ღირსეული ცხოვრების მოლოდინს უკავშირდება, ეს გზა, რომელიც რთულ ბიუროკრატიულ პროცესებზე, სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციასა და კულტურულ ადაპტაციაზე გადის, ხშირად, ქვიარ მიგრანტებში ფრუსტრაციასა და დისტრესს იწვევს.

2.1. საიმიგრაციო ბიუროკრატია

მიმღებ ქვეყანაში ლეგალური ბინადრობის უფლების მოპოვება, თავშესაფრის, ვიზისა თუ მოქალაქეობის გზით, მიგრანტებისთვის სხვადასხვა დაბრკოლებას უკავშირდება. ეს სისტემები კომპლექსური ბიუროკრატიული პროცედურებით და ცვალებადი პოლიტიკით ხასიათდება, რაც მიგრანტებისთვის წინასწარგანუსაზღვრელ ველს ქმნის.

ამ კონტექსტში ხშირად ისმის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული შეფასების ფორმალური მარკერებით განსაზღვრუ-

ლი მეთოდოლოგიების კრიტიკა, რომელსაც ეფუძნება ხოლმე მიმღები ქვეყნების საიმიგრაციო პრიორიტეტები. ეს სისტემები ქვიარებისთვის უსაფრთხოდ შეიძლება მოიაზრებდნენ ქვეყნებს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობების მიხედვით, რომლებიც არასაკმარისად ეფექტიანია სისტემური და ინტერსექციური ჩაგვრის პირობებში.

აქვე, აღსანიშნავია ლტოლვილთა თავშესაფრებში მიღებული სპეციფიკური გამოცდილებები. როგორც წესი, სწორედ თავშესაფრები წარმოადგენს პირველადი სოციალიზაციის და წარმოსახულ თავისუფლებასთან კონტრასტული რეალობის შეჯახების სივრცეს. ამ სივრცეებში ხშირად მანიფესტირდება ჰომო/ტრანსფობიური, რასისტული, მიზოგინიური თუ სხვა წინარწმენები.

2.2. სოციო-ეკონომიკური ინტეგრაცია

სოციო-ეკონომიკური ინტეგრაცია პერსონალური უნარ-ჩვევებითა და მიმღები სოციუმის თავისებურებით განსაზღვრული პროცესია. მიგრანტები ახალ ქვეყანაში ცხოვრებას ინდივიდუალური მიზნებით, უნარებითა და მოწყვლადობით იწყებენ, ხოლო მათი გზა სტაბილურობამდე ხშირად დამოკიდებულია მათსავე შესაძლებლობებზე – „გაძვრნენ“ სისტემაში, რომელიც ერთდროულად მკაცრიცაა და მხარდამჭერიც. სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში ინდივიდუალური მოქნილობა და მოტივაცია თანაბრად მნიშვნელოვანია, რადგან მომავალ შესაძლებლობებს დიდწილად ადაპტაციის უნარი განსაზღვრავს. თუმცა, უნარიანობის და მოტივაციის მუდმივი მტკიცების საჭიროება მიგრანტებისთვის ერთგვარ წნეხს ქმნის.

ამ გზაზე, მუშაობა, თუნდაც პრეკარიული, ინტეგრაციის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. მიუხედავად იმისა, რომ არასტაბილური შრომა ზოგს საკუთარი მისწრაფებებისგან აშორებს, ბევრისთვის ეს გრძელვადიანი თვითგანვითარების დასაწყისია.

ამასთან, ინტეგრაციის პროცესი, გენდერული თვითგამორკვევის პერიოდსაც მოიცავს, რადგან ფიზიკურმა დისტანცირებამ და უსაფრთხოების განცდამ ბევრს მისცა დრო და სივრცე საკუთარ მისწრაფებებზე დასაფიქრებლად. ეს მიგნებები აჩვენებს, რომ ინტეგრაცია მხოლოდ ახალ გარემოსთან ადაპტაცია არაა – ის იდენტობისა და მიკუთვნებულობის ხელახალ განსაზღვრებასაც გულისხმობს.

2.3. სოციო-კულტურული ადაპტაცია

ქვიარ მიგრანტების სოციალური და კულტურული ადაპტაცია მათი იდენტობების ინტერსექციით, მოლოდინითა და მიმღები ქვეყნების წესრიგით განისაზღვრება. მიგრაციის მიზეზი ხშირად უსაფრთხოებისა და აღიარებისკენ სწრაფვაა, თუმცა მიმღებ ქვეყანაში ახალ სოციალურ და კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია დინამიკური პროცესია, რომელზეც გავლენას ახდენს აღქმული უსაფრთხოება, ინტერპერსონალური ურთიერთობები და სისტემური გამოწვევები.

მიუხედავად იმისა, რომ მიმღები ქვეყნების უმრავლესობა ინკლუზიურია, უსაფრთხოება და აღიარება უნივერსალური არაა. ანტიგენდერული და ანტიმიგრანტული მოძრაობები ქვიარ მიგრანტებს მარგინალიზაციის საფრთხის წინაშე აყენებს. რესპონდენტთა მონათხრობი ცხადყოფს, რომ ანტიმიგრანტული განწყობები უფრო მკვეთრად რასობრივია და ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან მიგრირებულებს აზიანებს. თუმცა, ეს მოძრაობები პოლიტიკურად მოტივირებულია და საზოგადოებაში მტრულ განწყობებს ამძაფრებს. ამ კონტექსტში, დამცავი კანონმდებლობა და მხარდამჭერი სერვისები უსაფრთხოებისა და ვალიდაციის განცდისათვის კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან მიგრირებულ ქვიარებს ადაპტაცია უმარტივდებათ კულტურებში, სადაც ხალხის ტემპერამენტი ქართველების მსგავსია, როგორც ნარატივებში აღიწერება – მეტად თბილი, სტუმართმოყვარე და კოლექტივისტური საზოგადოებები. ჩრდილოეთის ინდივიდუალისტურ გარემოში ინტეგრაცია მეტ სირთულეს შეიცავს, თუმცა პერსონალური საზღვრების პატივისცემა და კეთილგანწყობა მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად რჩება.

2.4. ტრავმა და ჰიპერვიგილანტობა

სისტემური ძალადობის, ჰომოფობიისა და არასტაბილური საცხოვრებელი პირობების გამოცდილება, როგორც საქართველოში, ისე მიმღებ ქვეყნებში, მნიშვნელოვან ემოციურ სტრესს იწვევს. რესპონდენტთა ნაწილი აღწერს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) ნიშნებს, როგორიცაა მუდმივი ჰიპერმგრძნობელობა და უნდობლობა სოციალური სისტემების მიმართ და უსაფრთხოების განცდის სირთულე, დეკლარირებულად მხარდამჭერ გარემოშიც კი.

ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქვიარ მიგრანტთა უსაფრთხოების განცდა და ადაპტაცია მჭიდროდაა დაკავშირებული მიმღები ქვეყნის სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ წესრიგთან. უსაფრთხო და თავისუფალი თვითგამოხატვის ხელშემწყობი კულტურები ქვიარ მიგრანტთა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ფუნდამენტური ბაზისია, მაგრამ მათ ყოველდღიურ ყოფას მეტწილად ფართო პოლიტიკური და სოციალური კლიმატი და ინსტიტუციური დაცვის მექანიზმები განსაზღვრავს.

2.5. თემი, ურთიერთმხარდაჭერა და მედეგობა

საქართველოდან ქვიარ მიგრანტების თემთან კავშირი ფლუიდური და სიტუაციურია და ის ახალ გარემოში და წარსულ გამოცდილებებზეა დამოკიდებული. თუ მიმღებ ქვეყანაში საქართველოდან მიგრირებული ქვიარების რაოდენობა მცირეა, რესპონდენტების თემად სხვადასხვა კულტურის ქვიარების ერთობა ფორმირდება, რომლებიც ხშირად საერთო მარგინალიზაციის გამოცდილებებით ერთიანდებიან.

ქვეყნებში, სადაც ქართული ქვიარ სათვისტომო შედარებით დიდია, მაგალითად, ბელგიაში, ვხვდებით თანასწორთა მხარდაჭერის ქსელებს, რომლებიც მიზნად ისახავს ემიგრაციის პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას. ზოგიერთი ინიციატივა სცდება ქვიარ თემს და მიმართულია ფართო დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, სხვადასხვა ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და მხარდაჭერაზე. ზოგისთვის ამგვარი კავშირები დაფუძნებულია წარსულ მეგობრულ ან ნათესაურ კავშირებზე.

თუმცა, ქვიარ მიგრანტებისთვის საქართველოდან მიგრირებულ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა ყოველთვის პოზიტიური არ არის. ზოგი მათგანი თავიდანვე დისტანცირდება ქართველებისგან, რათა თავიდან აიცილოს ჰომოფობიური ინციდენტები, ხოლო სხვა ქვიარ ჯგუფებთან კავშირისაგან – ინტერპერსონალური კონფლიქტების გამო, რაც ხშირად ხელს უშლის მიკუთვნებულობის განცდის ფორმირებას.

მიგრაციის შემდეგ ზოგიერთი ქვიარ მიგრანტი „გადარჩენილის დანაშაულის“ განცდას ატარებს, რაც შიდა კონფლიქტს იწვევს სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და მისგან დისტანცირებას შორის. ამ კონტექსტში, ქვიარ მიგრანტების ნაწილი უკვე მიმღები ქვეყნებიდან იწყებს ლგბტქ+ უფლებების დაცვას და ცდილობს ქვიარ მიგრანტთა თემი უფრო მოქნილი და მედეგი გახადოს რეალური სოციალური და პროცედურული გამოწვევების მიმართ.

3. მომავლის ხედვა

მომავლის პოზიტიური ხედვა, დაგეგმვისა და გრძელვადიან გეგმაზე ფოკუსირების უნარი მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან. ქვიარ მიგრანტებს კი, როგორც ვნახეთ, ამ მდგომარეობის მიღწევის გზაზე მრავალი დაბრკოლება ხვდებათ. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მიკუთვნებულობის განცდის მიღწევის სირთულეა.

რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც შედარებით ნაკლები დრო აქვს ემიგრაციაში გატარებული, მომავალი გაურკვეველი და განუსაზღვრელია. ისინი ამბობენ, რომ არ გააჩნიათ მკაფიო გეგმა და მომავლის ხედვა ბუნდოვანია. ეს გაურკვევლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული უსაფრთხოების განცდის ნაკლებობასა და უსამართლობის/უთანასწორობის მწვავე შეგრძნებასთან, რასაც ოჯახის და მეგობრების მხარდაჭერის არსებობა-არარსებობის მიუხედავად, კვლავ ძლიერი გავლენა აქვს რესპონდენტთა ყოფაზე.

რესპონდენტთა უმეტესობა ყურადღებას ამჟამინდელ პრიორიტეტებზე ამახვილებს. პირველ რიგში, ეს არის პიროვნული და პროფესიული განვითარება სტაბილური ყოველდღიურობის უზრუნველსაყოფად. თვითგანვითარებაზე ფოკუსირება, ამ შემთხვევაში, არის როგორც გამკლავების მექანიზმი, ისე პრაქტიკული სტრატეგია მყიფე და არამდგრადი ცხოვრების პირობების დასაძლევად. თუმცა, ამის პარალელურად, ამგვარი პირადი მისწრაფებები ხშირად სხვებზე ზრუნვითაა გაჯერებული.

ქვიარ მიგრანტების მისწრაფებები ძირითადად განსაზღვრულია ფუნდამენტური ადამიანური საჭიროებებით: ჰქონდეთ სახლი, უსაფრთხოება და მნიშვნელოვანი ადამიანური კავშირები. ეს მიზნები, მიუხედავად მათი სიმარტივისა, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სისტემური უსამართლობის ღრმა გავლენას ქვიარ ინდივიდების ცხოვრებაზე და, ასევე, სიმტკიცესა და მედეგობას, რაც მათ ახალ სოციალურ გარემოში მიკუთვნებულობის განცდისა და სტაბილურობის მოსაპოვებლად სჭირდებათ.

ლიტერატურის მიმოხილვა

მიგრაციის ტრადიციული მოდელების ანალიზისაგან განსხვავებით, რომელიც უპირველესად ეკონომიკური ფაქტორებითა და კონფლიქტებით არის განპირობებული, ქვიარ მიგრაცია მოიცავს ისეთ განზომილებებსაც, როგორიცაა იდენტობა, მიკუთვნებულობა და თვითაქტუალიზება. დასავლურ ქვეყნებში მიგრირებული სხვა თავშესაფრის მაძიებლებისა თუ ნებაყოფლობითი მიგრანტების მსგავსად, საქართველოდან მიგრირებული ლგბტქ+ ინდივიდები ხშირად ორიენტირებული არიან არა მხოლოდ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, არამედ სისტემური დისკრიმინაციისგან გაქცევასა და ისეთი საზოგადოების ძიებაზე, სადაც ღირსეულად და ავტონომიურად შეძლებდნენ ცხოვრებას. თუმცა, თანამედროვე რეალობაში მზარდი ანტი-ლგბტქ+ რიტორიკა და მოძრაობები სპეციფიკური ბარიერებისა და გამოწვევების წინაშე აყენებს მათ როგორც საქართველოში, ისე – მიმღებ ქვეყნებში.

საქართველოს ემიგრაციის კონტექსტი

საქართველოდან ემიგრაციას სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორი განაპირობებს. მიგრაციის პატერნები, მნიშვნელოვანწილად, პოსტსაბჭოთა ეკონომიკური არასტაბილურობით, პოლიტიკური დაძაბულობებითა და სოციალური ტრანსფორმაციის ტურბულენტური პროცესებით არის ხოლმე ახსნილი. ემიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირე – უმუშევრობა და დაბალი ხელფასებია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 20%-ს შეადგენდა, რაც, 2024 წლის მდგომარეობით, ისტორიულ მინიმუმამდე, 13.7%-მდე შემცირდა, მაგრამ ეს ტენდენცია ემიგრაციის მაჩვენებლის უკუპროპორციულია და, შესაბამისად, ექსპერტების მიერ, მუდმივად მზარდი სამუშაო ძალის სხვა ქვეყნებში გადინებით იხსნება (World Bank, 2023; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024; IDFI, 2024).

გარდა ამისა, პოლიტიკური უკმაყოფილება და ხელისუფლებისადმი უნდობლობა მოსახლეობის ნაწილს ემიგრაციაში წასვლას აიძულებს, რათა

მეტად სტაბილურ პოლიტიკურ გარემოში გააგრძელონ ცხოვრება. ამასთან, ემიგრაცია განათლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით, მრავალი ქართველი სტუდენტისა და პროფესიონალის არჩევანი ხდება უკეთესი შესაძლებლობების ძიების პროცესში, – რაც ისეთი სოციალური პრობლემის ინდიკატორია, როგორიცაა „ტვინების გადინება" და, რომელიც ქვეყანაში მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტს იწვევს. წასვლის მოტივაციისა და სწრაფვის, ისევე როგორც ქვეყნების არჩევანი ვარირებს მიგრანტთა ასაკის, გენდერისა და მიგრაციის პერიოდის მიხედვით (Hoffmann & Buckley, 2013).

მნიშვნელოვანია, ასევე, ზოგადი ემიგრაციის მონაცემებში ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა წილი და თავისებურებები, რადგან ეს მონაცემები პოტენციურად კიდევ უფრო მკაფიოდ დაგვანახვებს სტანდარტულ საემიგრაციო პროცედურებთან დაკავშირებულ სირთულეებს, ქართული სოციო-ეკონომიკური სისტემის მანკიერებებსა და მოქალაქეთა საწუხარს. მაგალითად, 2024 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადების რაოდენობა შემცირდა წინა წლის მონაცემებთან შედარებით. Eurostat-ის მიხედვით, გერმანიამ, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება დანიშნულების ქვეყანა თავშესაფრის მაძიებლებისთვის, 2024 წლის პირველ ნახევარში მიიღო 1395 განაცხადი საქართველოს მოქალაქეებისგან, ხოლო 2023 წლის პირველ ნახევარში – 5155. რაოდენობის შემცირებას ექსპერტები გერმანიის გადაწყვეტილებას უკავშირებენ, რომლის მიხედვითაც საქართველო უსაფრთხო ქვეყნად მოინიშნა და რამაც გაართულა თავშესაფრის პროცედურები. ეს მტკიცება რელევანტურია, რამდენადაც საქართველოდან ემიგრაციის მაჩვენებლები კვლავ მაღალია და მეტწილად განპირობებულია სიღარიბისგან თავის დაღწევის სტრატეგიით, რაც დასტურდება როგორც თავად ემიგრანტთა მიერ დეკლარირებული მიზეზებით, ისე საქართველოს სოციო-ეკონომიკური უთანასწორო კონტექსტით (Irish Press, 2024; Eurostat, 2024). მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება ძირითადად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდით და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებით იზომება და უგულებელყოფს ამ ზრდის შედეგად შექმნილი ეკონომიკური სიკეთეების კონცენტრაციას მცირე ელიტურ ჯგუფებში (ჩივაძე, 2024). ეკონომიკური უთანასწორობა, მცირე სახელმწიფოს პირობებში, როდესაც სახელმწიფო სერვისები და ტრანსფერები მინიმა-

ლურია, პირდაპირ კავშირშია შესაძლებლობათა უთანასწორობასთან, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურად განპირობებულ ემიგრაციას. საქართველოს ეკონომიკაში უთანასწორობა თვალსაჩინოა როგორც ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, ისე მიწის, ქონებისა და სხვა აქტივების გადანაწილების თვალსაზრისით (საზოგადოების კვლევის ცენტრი, 2022). ეს უთანასწორობა არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის შედეგი, არამედ ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის გამოხატულებაცაა, რომელზეც დომინირებენ ელიტური ჯგუფები.

ეს მოცემულობა განსაკუთრებული სიმძიმით აისახება ისეთ სოციალურ ჯგუფებზე, მათ შორის ქვიარ ადამიანებზე, რომელთა მარგინალიზაცია და ექსკლუზია სისტემურია (ჯალაღანია, 2020). ქვიარ ინდივიდებისთვის, სხვათა მსგავსად, სიღარიბე, უმუშევრობა და საბაზისო სიკეთეებზე შეზღუდული წვდომა წუხილის პირველადი საგანია (აღდგომელაშვილი და სხვები, 2018, 2021). ამას კი, თავის მხრივ, ემატება თანამედროვე საქართველოში მზარდი ანტი-ლგბტქ+ რიტორიკა და გენდერსა და სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობები, ხუთწლეულის განმავლობაში სახეცვლის მიუხედავად, კვლავ მაღალია, მიემართება ლგბტქ+ თემის წევრებს და უფრო მეტი სიხისტით – ლგბტქ+ აქტივისტებს (აღდგომელაშვილი, 2018, 2022; ჯალაღანია, 2024).

ამასთან, ანგარიშგასაწევია მოცემულობა, რომ მართალია, ემიგრაციის უპირველეს განმსაზღვრელად ეკონომიკური ფაქტორები და კეთილდღეობისკენ სწრაფვაა მოაზრებული, უკანასკნელი დეკადა ემიგრანტთა მოტივაციისა და, ასევე, დანიშნულების ქვეყნების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ეს მრავალფეროვნება, უთანასწორობის ზრდისა და კეთილდღეობის აღქმაში ეკონომიკური ფაქტორების გარდა, ისეთ სოციალური და კულტურული ფაქტორებითაც განისაზღვრება, როგორიცაა არჩევანის თავისუფლება, სოციალური მონაწილეობისა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის მოპოვების სურვილი (State Commission on Migration Issues [SCMI], 2015).

ქვიარ მიგრაცია: განმზიდავი და მიმზიდველი[1] ფაქტორების მიღმა

მიგრაციის გააზრების ტრადიციული მოდელები, როგორიცაა, მაგალითად, განმზიდავი-მიმზიდველი ფაქტორების თეორიული ჩარჩო, შეიძლება ითქვას, რომ არასაკმარისია ქვიარ მიგრაციის კომპლექსურობის გასაანალიზებლად. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ვთქვით, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები რელევანტურია ქვიარ ინდივიდების შემთხვევაში, კვლევები აჩვენებს, რომ ლგბტქ+ მიგრაცია მოიცავს განსაკუთრებულ მოტივაციებსა და გამოწვევებს, მათ შორის, სპეციფიკურ ემოციურ და ინტიმურ განზომილებებს, რომლის გაგებაც მეტად ნიუანსურ ანალიტიკურ მიდგომას საჭიროებს (Mai & King, 2009; Luibhéid, 2017).

სისტემური ჰომოფობია და ძალადობა

მიგრაციის წინაპირობებზე ფოკუსირებული არაერთი კვლევის მიხედვით, ქვიარ მიგრაციის უპირველესი განმაპირობებელი სისტემური ჰომოფობიაა. კლასიკური გაგებით ეკონომიკური მიგრანტებისაგან განსხვავებით, ქვიარები ისეთი გარემოდან მიგრირდებიან, სადაც მათი არსებობა კრიმინალიზებული ან სოციალურად მიუღებელია. როგორც მიურეი (2014) აღწერს, მთავრობების მიერ წახალისებული ჰომოფობია, რომელიც მადისკრიმინირებელ კანონმდებლობებსა და ინსტიტუციურ პრაქტიკებში ვლინდება, ქმნის ისეთ პირობებს, სადაც მიგრაცია გადარჩენის სტრატეგია უფროა, ვიდრე თავისუფალი არჩევანი.

საქართველოში, სადაც ლგბტქ+ თემის წევრების მიერ, მთავარ გამოწვევებად, უპირველესად, ეკონომიკური საჭიროებები სახელდება, მაგრამ მათი ექსკლუზია მხოლოდ ამ განზომილებით არ ხასიათდება, განსაკუთრებით თვალსაჩინოა განმზიდავი ფაქტორების კომპლექსურობა (ჯალაღანია, 2020). გარდა არაპირდაპირი სოციალური და ეკონომიკური ჩაგვრისა, სულ უფრო ძლიერდება პოლიტიკური თავდასხმა ქვიარ თემზე. ამის ინდიკატორებად შეიძლება მივიჩნიოთ ანტი-ლგბტქ+ რიტორიკა და კანონმდებლობა, უკანასკნელი დეკადის განმავლობაში საჯარო ღონისძიებების ძალადობრივი დარბევები[2] და თანმდევი ადვოკატირებისთვის

1 Push and Pull

2 2013 წლის 17 მაისი, 2021 წლის 5 ივლისი, 2023 წლის 8 ივლისი.

საჭირო ინსტიტუციური უგულებელყოფა, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შეზღუდვით, რაც ზრდის სოციალურ გარიყულობას (Manalansan, 2006; ჯალაღანია, 2024).

არაერთი ავტორი აღწერს, რომ ქვიარ მიგრანტების წარმოშობის ქვეყნებში არსებული ჰეტერონორმატიული სოციალური სტრუქტურები, იდენტობის გამჟღავნების შიშით, მათ მუდმივი სიფხიზლის, იგივე ჰიპერვიგილანტობის, და თვითცენზურის რეჟიმში ამყოფებს (Hopkinson et al., 2017; Mole, 2021; Murray, 2015; Shatberashvili, 2023; Spijkerboer, 2018; Tschalaer, 2020). ამ პირობებში, ხშირად ტრავმული გამოცდილებების თანხლებით, უსაფრთხოების ძიებისას ლგბტქ+ ინდივიდები სხვა თემის წევრებს უკავშირდებიან. ხშირად თემი ხდება თავშესაფარი – ჰომოფობიური საზოგადოებისაგან თვითიზოლირების უსაფრთხო სივრცე, თუმცა, ამ სიკეთეზე წვდომაც არ არის ყველასათვის ერთნაირად მარტივი და შეიძლება, რიგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების და მორგებისათვის ძალისხმევის გაღების აუცილებლობას გულისხმობდეს (შიუკაშვილი და კანკია, 2022). თავისთავად თვითიზოლირებაც, კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, ქვიარ ყოფის სპეციფიკური მახასიათებელია. ეს ფსიქოლოგიური ტვირთი, მხარდაჭერის ქსელებსა და რესურსებზე შეზღუდულ წვდომასთან ერთად, როგორც წინაპირობა, გამოარჩევს ქვიარ მიგრაციას მისი სხვა ფორმებისაგან.

მიმზიდველი ფაქტორები და იდეალიზებული დანიშნულების ადგილი

მიმზიდველი ფაქტორები, რომლებიც ლგბტქ+ მიგრანტებს კონკრეტული დანიშნულების ადგილისაკენ იზიდავს, წარმოდგენების, მოლოდინისა და რეალობის კომპლექსურ ურთიერთმიმართებებს მოიცავს. მაშინ როდესაც დასავლური ქვეყნები განმათავისუფლებელ, ინკლუზიურ სივრცეებად გვევლინება, კვლევებში უფრო ნიუანსურად არის აღწერილი მათი რეალობები. კანტუ (2009) და სხვები აღწერენ, თუ როგორ განაპირობებს გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებში მიგრაციის გადაწყვეტილებას, ღირსეული მომავლისკენ სწრაფვის კვალდაკვალ, ლგბტქ+ ინკლუზიურობის შესახებ საზოგადოებრივი წარმოდგენები, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური თუ მედიასურათით საზრდოობს.

მედია რეპრეზენტაცია და წარმოსახული თავისუფლება

მნიშვნელოვანია მედიარეპრეზენტაციის გავლენა, განსაკუთრებით სოციალური ქსელები და ლგბტქ+ კულტურული პროდუქტები, ქვიარ მიგრანტების მხრიდან დანიშნულების ქვეყნების პოტენციური რეალობების იდეალიზებულ აღქმაზე. კვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვყოთ საკვანძო ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ქვიარ მიგრანტების მიერ დანიშნულების ქვეყნების აღქმას:

- **ლგბტქ+ უფლებები და პრაიდის აღნიშვნის მედიახატები:** ლგბტქ+ უფლებრივი გაუმჯობესების, პრაიდის ღონისძიებებისა და ინკლუზიური პოლიტიკის მედიაგაშუქება ქმნის დანიშნულების ქვეყნების მიმზიდველ ინკლუზიურ იმიჯს;
- **ერთი და იმავე სქესის წყვილების ქორწინებისა და ქვიარების საოჯახო უფლებების გაშუქება:** ქორწინებისა და საოჯახო უფლებების სამართლებრივი აღიარების მედიაში ასახვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვიარებისთვის, რომლებიც მიგრაციაზე ფიქრობენ;
- **ღიად ქვიარ საჯარო ფიგურების წარმოჩენა:** ღიად ლგბტქ+ ადამიანების ძალაუფლებისა და გავლენის პოზიციაში წარმოჩენა მედიასა და პოპკულტურაში, მეტად ინკლუზიური საზოგადოების ინდიკატორად აღიქმება;
- **ანტიდისკრიმინაციული დაცვის მექანიზმების გაშუქება:** სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ მედიარეპორტინგს ასევე შეაქვს წვლილი ქვეყნების ინკლუზიურობის აღქმაში.

თუმცა, ეს იდეალიზებული რეპრეზენტაცია ხშირად ნიღბავს იმ კომპლექსურ რეალობებს, რაც ქვიარ მიგრანტებს დანიშნულების ქვეყნებში ელოდებათ. მეის და კინგის კვლევა (2009) „სიყვარული, სექსუალობა და მიგრაცია: საკითხ(ებ)ის კარტოგრაფირება“ (Love, Sexuality and Migration: Mapping the Issue(s)) და სხვა ავტორები აღწერენ, თუ როგორ ქმნის მეინსტრიმული მედიანარატივები „ემანსიპაციის ფანტაზიას“,[3] რაც მიმ-

3 კონკრეტული დისკურსების მიერ წარმოებულ ემანსიპაციის გაგებას, სადაც თავისუფლების დანაპირები ვერასოდეს მიიღწევა. ეს ფანტაზიები არ ცნობს ჩაგვრის კომპლექსურობას, მიმართულია ინდივიდუალურ და არა სისტემურ დონეზე ცვლილებისკენ და აძლიერებს არსებულ ძალაუფლებრივ სტრუქტურებსა და სტატუს-კვოს.

ღებ ქვეყნებში უკვე იმედგაცრუებისა და ფრუსტრაციის ფაქტორად ტრანსფორმირდება (Mai & King, 2009; Mole, 2018; Murray, 2015; Shield, 2019; Tschalaer, 2020; Shield, 2019).

სამართლებრივი და პოლიტიკის ფაქტორები

სპიჯკერბოერის (2021) ნაშრომი „გენდერი, სექსუალობა, თავშესაფარი და ევროპული ადამიანის უფლებები“ (Gender, Sexuality, Asylum and European Human Rights) გამოავლენს იმ სამართლებრივ და პოლიტიკის ფაქტორებს, რომლებსაც გავლენა აქვს ლგბტქ+ ინდივიდების მიერ დანიშნულების ქვეყნების არჩევანზე. ამ და სხვა კვლევებზე დაყრდნობით, ასეთ ფაქტორებად შეიძლება მოვიაზროთ:

- **სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა აღიარებულია თავშესაფრის კრიტერიუმად:** სოგი-ს ნიშნით ლტოლვილობა თავშესაფრის ძიების ვალიდური წინაპირობაა და ბინადრობის ლეგალურ გზას სთავაზობს მათ, ვინც იდევნება და დისკრიმინირებულია სამშობლოში;
- **ერთი და იმავე სქესიანთა ურთიერთობები სამართლებრივად აღიარებულია:** ქვეყნები, რომლებსაც სამართლებრივად აღიარებული აქვთ ერთი და იმავე სქესის წყვილების ურთიერთობები (ქორწინება, სამოქალაქო პარტნიორობა), მიგრანტებსა და მათ ოჯახებს სოციალურ მიმღებლობასა და სამართლებრივ დაცვას ჰპირდებიან;
- **ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვა ხელმისაწვდომია:** გენდერის განმამტკიცებელი ჯანდაცვის სერვისების არსებობა და ხელმისაწვდომობა მრავალი ტრანსგენდერი და გენდერულად მრავალფეროვანი ადამიანისთვის წარმოადგენს მიგრაციის გადაწყვეტილების ფაქტორს;
- **ანტიდისკრიმინაციული სამართლებრივი მექანიზმები მუშაობს:** ქმედითი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, დასაქმების, საცხოვრისისა და ცხოვრების სხვა სფეროებში, ლგბტქ+ მიგრანტებს მნიშვნელოვნად უმყარებს კეთილდღეობისა და ინტეგრაციის იმედს;
- **არსებობს ოჯახის გაერთიანების პოლიტიკა:** ინკლუზიური ოჯახის გაერთიანების პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ქვიარ ინდივი-

დებს / პარტნიორებს და მათ ოჯახებს, ერთად მიგრირდნენ და დაფუძნდნენ დანიშნულების საზოგადოებებში, რაც მათთვის უზრუნველყოფს სტაბილურობისა და მხარდაჭერის განცდას ახალ სახლში (Mole, 2021; Spijkerboer, 2018; Tschalaer, 2020; Murray, 2015; Hopkinson et al., 2017).

ურბანული ცენტრები, როგორც ქვიარ ნავსაყუდელი

გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა, გორმან-მიურეისა და ნეშის (2016) კვლევაში იდენტიფიცირებულია ფაქტორები, რომლებიც ლგბტქ+ მიგრანტებს ურბანული ცენტრებისაკენ მეტად მიიზიდავს, ვიდრე შედარებით მცირე დასახლებებისაკენ. ამ და სხვა ავტორების კვლევების მიხედვით, შეგვიძლია განვსაზღვროთ ფაქტორები, რომლებიც ურბანულ ცენტრებს ერთგვარ ქვიარ ნავსაყუდლად აქცევს:

- **დაფუძნებული ლგბტქ+ თემი და კულტურული სივრცეები:** ურბანული ცენტრები ხშირად გამოირჩევა დამკვიდრებული ლგბტქ+ თემით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მიკუთვნებულობის განცდა, სოციალური მხარდაჭერა და წვდომა კულტურულ სივრცეებსა და ღონისძიებებზე;
- **მხარდამჭერი სერვისებისა და ორგანიზაციების კონცენტრაცია:** ლგბტქ+ სპეციფიკური სერვისები და ორგანიზაციები – სათემო ცენტრები, კლინიკები, სამართლებრივი სამსახურები – მეტად გვხვდება ქალაქებში, ვიდრე შედარებით მცირე დასახლებებში;
- **აღქმული ანონიმურობა:** ასევე, მცირე დასახლებებთან შედარებით, ურბანულ გარემოში მეტია ანონიმურობის და პრივატულობის დაცულობის განცდა, რაც პოტენციურად ამცირებს დისკრიმინაციისა და სოციალური სტიგმის რისკებს (Gorman-Murray & Nash, 2016; Mole, 2018; Manalansan, 2006; Hopkinson et al., 2017).

ეკონომიკური შესაძლებლობები და პროფესიული განვითარება

როგორც უკვე ითქვა, უკეთესი ცხოვრებისაკენ სწრაფვა, როგორც მიგრაციის განმაპირობებელი, მრავალგანზომილებიანია, თუმცა, მის უპირველეს განმსაზღვრელად ეკონომიკური ფაქტორებია მოაზრებული. კასანისა და ნაკამურას (2013) კვლევა „მე მხოლოდ ეს არჩევანი მქონდა“ (This Was My Only Option) ხაზს უსვამს, თუ როგორ განაპირობებს ეკონომიკური

საჭიროებებისა და გენდერისა და სექსუალობის ინტერსექცია მიგრაციის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეკონომიკური ფაქტორები მოიცავს:

- **დისკრიმინაციისაგან თავისუფალი დასაქმების ხელმისაწვდომობას:** მიგრაციის გადაწყვეტილების საკვანძო ფაქტორია დასაქმების შესაძლებლობები მიმღებ ქვეყნებში, სადაც ძლიერია დისკრიმინაციისაგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმები;
- **პროფესიული კავშირების შესაძლებლობებს ლგბტქ+ მეგობრულ დასაქმების ადგილებზე:** პროფესიულ კავშირებსა და შესაძლებლობებზე წვდომა ადგილებზე, რომლებიც ინკლუზიური და მხარდამჭერია ლგბტქ+ დასაქმებულების მიმართ;
- **განათლების შესაძლებლობას ინკლუზიურ აკადემიურ სივრცეებში:** ხარისხიანი განათლება ინკლუზიურ, დისკრიმინაციისგან თავისუფალ აკადემიურ გარემოში;
- **მეწარმეობის შესაძლებლობას მრავალფეროვან ურბანულ ბაზარზე:** მრავალფეროვანი ბაზარი, რომელსაც აქვს მხარდამჭერი ბიზნესის ეკოსისტემა და წარმატების მიღწევის პოტენციალი, ასევე მოიაზრება ძლიერ მამოტივირებელ ფაქტორად ლგბტქ+ მიგრანტებისათვის (Cantu, 2009; Kassan & Nakamura, 2013; Mai & King, 2009; Luibhéid, Andrade, & Stevens, 2017).

რეალობა vs. მოლოდინი

როგორც უკვე ვახსენეთ, „ემანსიპაციის ფანტაზიებით“ მოვლენილი იდეალიზებული იმიჯები ემიგრაციის შემდეგ ფრუსტრაციის წყაროდ შეიძლება ტრანსფორმირდეს. ფრუსტრაციის ძირითად წყაროდ რეალობის წინარწმენებთან/მოლოდინთან შეუსაბამობა იქცევა. ლგბტქ+ მიგრანტების ცხოვრების ძირითადი მიმართულებები, სადაც ეს შეუსაბამობები მანიფესტირდება, მოიცავს:

- **რასიზმის მოულოდნელად მაღალ დონეს ლგბტქ+ თემში:** ლგბტქ+ შესაძლოა შეეჩეხონ რასიზმს ადგილობრივ ლგბტქ+ თემში, რაც კრიტიკულად შეუსაბამოა მათ წინარწმენებთან მხარდაჭერასა და ინკლუზიურობაზე;

- **ქვიარ სივრცეებსა და კულტურაში ჩართვის ეკონომიკური ბარიერებს:** ფინანსური სიდუხჭირე ზოგჯერ ლგბტქ+ მიგრანტებს უზღუდავს წვდომას ქვიარ სივრცეებსა და კულტურულ ღონისძიებებზე, რაც ექსკლუზიისა და იზოლაციის განცდას იწვევს;
- **ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის სირთულეებს:** ახალი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებში გზის გაკვალვა ხშირად რთულია, მით უფრო, ლგბტქ+ მიგრანტებისთვის, რომელთაც შესაძლოა სჭირდებოდეთ სპეციალიზებული ფსიქიკური და ჯანმრთელობის სერვისები;
- **ბიუროკრატიულ სისტემებში ნავიგაციას:** ლგბტქ+ მიგრანტები ასევე აწყდებიან ბიუროკრატიულ სისტემებში ნავიგაციის სირთულეებს, როგორიცაა საემიგრაციო პროცედურები, სოციალურ სერვისებზე წვდომა და ლეგალური დოკუმენტების მოპოვება;
- **ეროვნული და ლგბტქ+ თემიდან იზოლაციას:** ლგბტქ+ მიგრანტები ხშირად აწყდებიან იზოლაციას, რაც, ერთი მხრივ, საკუთარი ეთნიკური/ეროვნული ჯგუფებისაგან გარიყულობით და, მეორე მხრივ, მიმღებ ქვეყანაში ქვიარ თემში ინტეგრაციის სირთულით არის განპირობებული. ეს მოცემულობა ხშირად მარტოობის და გაუცხოების განცდებსა და სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობას იწვევს (El-Tayeb, 2011; Mole, 2018; Mai & King, 2009; Murray, 2015; Hopkinson et al., 2017).

ქვიარ მიგრაცია მზარდი ულტრამემარჯვენე მოძრაობების პირობებში

ბოლო წლებში, დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში შეიმჩნევა ულტრამემარჯვენე მოძრაობების აღორძინება, რაც, მათ შორის, ანტიმიგრანტული რიტორიკით, ანტიგენდერული იდეოლოგიითა და ნაციონალისტური პოპულიზმით ხასიათდება (Wodak, 2021). ნიშანდობლივია, რომ ულტრამემარჯვენე მოძრაობების საარჩევნო წარმატებამ და მეინსტრიმში ლეგიტიმაციამ მათ პოლიტიკასა და სოციალურ განწყობებზე გავლენის საშუალება მისცა, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ლგბტქ+ მიგრანტებისთვის უსაფრთხო თავშესაფრად მოიაზრებოდა (Mudde, 2019).

ამ მოძრაობების აღზევებას ემთხვევა ის, რასაც მკვლევრები „ანტიგენდერულ კამპანიებად“ მოიხსენიებენ და რომელთა სამიზნეც როგორც ლგბტქ+ უფლებები, ისე გენდერული თანასწორობაა (Kuhar

& Paternotte, 2017). ეს კამპანიები ხშირად საკუთარ თავს წარმოაჩენენ ტრადიციული ღირებულებებისა და ეროვნული იდენტობის დამცველად, გენდერულ და სექსუალურ უფლებებს კი – გლობალური ელიტების მიერ თავსმოხვეულ „იდეოლოგიად“. ამასთან, ქვიარ მიგრაციის კონტექსტში განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ამ მოძრაობებს არათუ მზარდი ადგილობრივი გავლენა, არამედ წარმატებული ტრანსნაციონალური კავშირები და ზიარი სტრატეგიებიც აქვთ (Verloo & Paternotte, 2018).

ჯუდით ბატლერი (2020) ამ ანტიდემოკრატიული, სპეციფიკურად გენდერული და სექსუალური უმცირესობებისკენ მიმართული მოძრაობების გასაგებად კრიტიკულ თეორიულ ჩარჩოებს გვთავაზობს. ბატლერის მიხედვით, აღმავალი ავტორიტარიზმები ფუნდამენტურ გამოწვევას უქმნის ქვიარ არსებობას, რამდენადაც მას პოპულისტურად, როგორც „ბუნებითი წესრიგისა“ და „ტრადიციული ღირებულებებისათვის“ საფრთხედ წარმოაჩენს. ბატლერის ანალიზი აჩვენებს, რომ ანტიგენდერული კამპანიები, რომლებიც ლგბტქ+ ინდივიდებისაგან საზოგადოებისათვის საშიშ ხატს ქმნის, მათთვის საბაზისო უფლებების შეზღუდვასა და პრეკარიული არსებობისთვის გაწირვას ემსახურება. ეს თეორიული პერსპექტივა გვეხმარება გავიგოთ, რატომ ექვემდებარებიან ქვიარ მიგრანტები გარიყვის სპეციფიკურ პატერნს – როგორც მიგრანტები და როგორც ქვიარ ინდივიდები.

ლგბტქ+ უფლებების ინსტრუმენტალიზება და ჰომონაციონალიზმი

გარდა აღნიშნულისა, დასავლეთის ქვეყნებში ულტრამემარჯვენე ძალების მხრიდან ჩვენ მომსწრენი ვართ იმგვარი სელექციურობისა, როდესაც შესაძლოა, ისინი მხარს უჭერდნენ ლგბტქ+ უფლებების გაფართოებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე რიტორიკით, მიზანში იღებდნენ მიგრანტებს, რასობრივ და ეთნიკურ უმცირესობებს. პუარის (2007, 2017) კონცეფცია „ჰომონაციონალიზმი“ ნათელს ჰფენს, თუ როგორ ერწყმის ლგბტქ+ უფლებათა დისკურსები ნაციონალისტურ იდეოლოგიებს და იმპერიალისტურ პროექტებს, სადაც სექსუალური უფლებების დისკურსი ინსტრუმენტალიზებულია. სექსუალური პოლიტიკის ინსტრუმენტალიზებით კი, არათუ ხელი ეწყობა ლგბტქ+ თემში იერარქიების ფორმირებას, არამედ ნაციონალისტური და იმპერიალისტური პროექტების ლეგიტიმაციის სასარგებლოდ მოქმედებს.

გავლენა პოლიტიკაზე და სერვისების შეზღუდვა

ულტრამემარჯვენე მოძრაობების აღორძინებას პირდაპირი გავლენა აქვს პოლიტიკასა და საემიგრაციო სერვისებზე. ამ მიმართულებით, კვლევებში აღწერილია რამდენიმე ყურადსაღები ტენდენცია:

1. გაზრდილი სკეპტიციზმი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიადაგზე თავშესაფრის მაძიებლების მიმართ;
2. ლგბტქ+ მიგრანტების მხარდამჭერ სერვისებზე დაფინანსების შემცირება, როგორც უფრო ფართო ანტისაემიგრაციო პოლიტიკის ნაწილი;
3. გაზრდილი კონტროლი და თავშესაფრის პროცედურების გამკაცრების არაპროპორციულად მძიმე გავლენა მოწყვლად პოპულაციებზე, მათ შორის, ლგბტქ+ ინდივიდებსა და თემზე.

ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ულტრამემარჯვენე მოძრაობების აღზევება აერთიანებს ანტიმიგრანტულ და ანტიგენდერულ პოლიტიკას, რაც ლგბტქ+ მიგრანტებს განსაკუთრებული მარგინალიზაციის და გარიყვის საფრთხის წინაშე აყენებს. ეს პოლიტიკა არა მხოლოდ ზღუდავს ლგბტქ+ თემის უფლებებს და მხარდაჭერას, არამედ ნაციონალისტური და იმპერიალისტური მიზნებისთვის, გენდერსა და სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების ინსტრუმენტალიზებას ახდენს (Puar, 2007; Kuhar & Paternotte, 2017; Verloo & Paternotte, 2018; Tschalaer, 2020; Spijkerboer, 2018).

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, გამკლავება და მედეგობა

ქვიარ მიგრაციის ინდივიდუალური განზომილება მოიცავს კომპლექსურ ფსიქო-ემოციურ პროცესებს, რომელიც სცდება გეოგრაფიულ გადაადგილებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს. როგორც უკვე ვნახეთ, ქვიარ ინდივიდებს ემიგრაციაში უკეთესი ცხოვრების მიღწევის გზაზე არაერთი სისტემური და სტრუქტურული ბარიერის გადალახვა უწევთ. ამ გამოცდილებაში კიდევ უფრო კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ფსიქო-ემოციური კარგად ყოფნის შენარჩუნება, რაც თვითაქტუალიზების, გამძლეობისა და მედეგობის ფუნდამენტური წინაპირობაა.

უმცირესობის სტრესი და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა

მიგრაციის პროცესი ხშირად ლგბტქ+ ინდივიდებს სთავაზობს თვითვალიდაციისა და პერსონალურ მისწრაფებებზე კონცენტრირების სივრცეს, რომელიც სამშობლოში, რიგი სოციალური ბარიერების გამო, შეზღუდული ჰქონდათ. უფრო კონკრეტულად, ჩვეული ბარიერებისაგან თავისუფალი გარემო ქვიარ მიგრანტებს გენდერული და სექსუალური თვითგამორკვევის, ავთენტიკური კავშირების დამყარებისა და განვითარების, იდენტობის მალვის გარეშე, განათლებისა და კარიერული მიზნების განხორციელებისა და მომავლის დაგეგმვის საშუალებას აძლევს (Luibhéid & Cantú, 2005). თუმცა, როგორც უკვე ვნახეთ, ამ სიკეთეებზე წვდომა მოსაზღვრულია იმგვარი სტრუქტურული და სისტემური ბარიერებით, როგორიცაა, უპირველესად, ეკონომიკური სიდუხჭირე, ლეგალური სტატუსის შეზღუდვები, ადგილობრივ ლგბტქ+ თემში რასიზმი და ქსენოფობია (El-Tayeb, 2011), ანტიმიგრანტული და ანტიგენდერული პოლიტიკა და სხვა. შედეგად, ქვიარ მიგრანტების თემში ვხვდებით სპეციფიკურ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობებსა და გამკლავების საშუალებებს.

ლგბტქ+ ინდივიდების კარგად ყოფნასთან დაკავშირებული კვლევები ხშირად წარმოაჩენენ ფსიქო-ემოციური გამოწვევების უნიკალური თავისებურებებისა და ამ პოპულაციაში მათი სიხშირის **უმცირესობის სტრესთან** კავშირს (Meyer, 2003). ლგბტქ+ მიგრანტების სტრესორები კი უპირველესად მოიცავს:

- **მიგრაციამდელ ტრავმას,** რაც სტრუქტურული და ინტერპერსონალური ჰომოფობიის შედეგია. ის ხშირად ვლინდება ოჯახის მხრიდან უარყოფაში, დისკრიმინაციასა და ძალადობაში (Hopkinson et al., 2017);
- **მიგრაციის სპეციფიკურ სტრესორებად** გვევლინება დოკუმენტებთან დაკავშირებული პროცედურები, ენის ბარიერი და სოციალური მხარდაჭერის ქსელის არარსებობა მიმღებ ქვეყანაში (Murray, 2014);
- **მარგინალიზებულ პოზიციაში ყოფნა,** როგორც სექსუალური და გენდერული იდენტობის, ისე მიგრანტის სტატუსის გამო (Luibhéid & Cantú, 2005);
- **კომპლექსური საოჯახო დინამიკა,** სადაც მიგრანტებს უწევთ ნავიგირება საზღვრებს მიღმა, პირველადი ოჯახის წევრებთან ურთიერთობასა და ახალ გარემოში, გამხელილი სექსუალური/გენდერული იდენტობით რეალობას შორის (Manalansan, 2003; Luibhéid & Cantú, 2005).

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ კვლევები ასევე წარმოაჩენს ქვიარ მიგრანტების მედეგობისა და აგენტობის შთამაგონებელ მაგალითებს, დასტურად იმისა, რომ სტრუქტურული სირთულეების საპირწონედ, მიგრაციას შეუძლია მჭიდრო კავშირების ქმედითი შესაძლებლობების შეთავაზებაც. ქვიარ მიგრანტები ავითარებენ კომპლექსური და მრავალშრიანი მხარდაჭერის ქსელებს, რომლებიც პასუხობს როგორც პრაქტიკულ, ისე ემოციურ საჭიროებებს (Cantu, 2009; Mole, 2021; Hopkinson et al., 2017; Manalansan, 2006; Murray, 2015; Mole, 2018).

მიკუთვნებულობა, მედეგობა და წინააღმდეგობა

ჯგუფთან მიკუთვნებულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვიარ მიგრანტებისათვის, რადგან გარიყულობისა და იზოლაციის განცდას ამცირებს. კავშირები, რომლებსაც ისინი ამყარებენ, ეფუძნება ინტერსექციურ მხარდაჭერას, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სივრცეს თავისუფალი თვითგამოხატვისთვის და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. თამარ შატბერაშვილის საქართველოდან მიგრირებული ქვიარების გამოცდილებაზე ფოკუსირებული კვლევა (2023) აჩვენებს, რომ მიკუთვნებულობის განცდის ფორმირება კომპლექსური ფსიქო-სოციალური პროცესია, რომელიც „სახლსა“ და მიმღებ ქვეყანას შორის მიმდინარეობს, მოიცავს წარსულთან დაკავშირებულ განცდებზე რეფლექსიას და, თვითგამორკვევის კვალდაკვალ, თავისუფლების, თვითშემეცნების, შეგუების, იზოლაციის, სეპარაციისა და დანაკარგის გამოცდილებებს. ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინტერპერსონალური და სათემო კავშირების ფორმირება და შენარჩუნება, როგორც მშობლიურ და მიმღებ ქვეყანაში, ისე საზღვრებს მიღმა.

ზემოხსენებული კავშირები არა მხოლოდ ქვიარ მიგრანტების არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება, არამედ იძლევა აღდგენისა და თვითვალიდაციის ძალას წინააღმდეგობებით სავსე გარემოში. ქვემოთ განვიხილავთ საშუალებებს, რომლებითაც ქვიარ მიგრანტები მათთვის მნიშვნელოვან მხარდამჭერ კავშირებს ინარჩუნებენ.

შილდის (2019) კვლევა „იმიგრანტები გრაინდერზე: რასა, სექსუალობა და მიკუთვნებულობა ონლაინ“ (Immigrants on Grinder: Race, Sexuality and Belonging online), გაცნობის ონლაინაპლიკაცია Grinder-ის მაგალითზე, წარმოაჩენს **ციფრული პლატფორმების** როლს ქვიარ მიგრანტების

ყოველდღიურობასა და მედეგობის უზრუნველყოფაში. ურთიერთობების ციფრული პლატფორმები მათ აძლევს თავშესაფრის პროცედურებისა და უსაფრთხო სივრცეების შესახებ პრაქტიკული ინფორმაციის გაცვლის და, ასევე, სამშობლოში თემთან კავშირის შენარჩუნების საშუალებას. ამ პლატფორმებზე იქმნება მხარდაჭერის ვირტუალური ქსელებიც, რაც, გეოგრაფიული დისტანციის მიუხედავად, მიკუთვნებულობისა და ერთობის კრიტიკულად მნიშვნელოვან განცდას წარმოშობს.

ფორმალური ორგანიზაციების და რეფერირების ქსელების როლიც მნიშვნელოვანია ქვიარ მიგრანტებისათვის. სხვადასხვა კვლევაში, რომლებიც უკვე განვიხილეთ, საუბარია ფორმალური მხარდაჭერის ოთხ მოდელზე: 1. ლგბტქ+ მიგრანტების მიერ მართული ორგანიზაციები, რომლებიც თანასწორთა კონტრიბუციაზე დგას და მიგრანტებს ინფორმაციასა და კულტურული ადაპტაციის სერვისებს სთავაზობს; 2. თანამშრომლობა მეინსტრიმულ ლგბტქ+ ორგანიზაციებსა და საემიგრაციო სერვისებს შორის, რომელიც ინტერსექციური საჭიროებების მიხედვით სთავაზობს მხარდაჭერას ქვიარებს; 3. ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალიზებული სერვისები, რომლებიც პასუხობს როგორც მიგრაციის ტრავმას, ისე გენდერსა და სექსუალობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს; 4. სამართლებრივი სერვისები, რომლებიც სპეციფიკურად ქვიარ მიგრანტების ბარიერების დაძლევაზეა მიმართული.

როგორც უკვე არაერთხელ ვნახეთ, ფორმალური მხარდაჭერის ქსელის გარდა, ქვიარ მიგრანტების კეთილდღეობის საქმეში კრიტიკულად მნიშვნელოვანია **არაფორმალური კავშირები.** კასანის და ნაკამურას (2013) კვლევასა და სხვა არაერთ წყაროში აღწერილია, როგორ ამყარებენ ძლიერ არაფორმალურ კავშირებს ქვიარ მიგრანტები ახალ რეალობასთან გასამკლავებლად. მათ შორის, ნიშანდობლივია **ზიარი საცხოვრისები,** რომელსაც შეუძლია შეამსუბუქოს ეკონომიკური საჭიროებები და მოიტანოს სოციალური ბენეფიტები; **კულტურულ-ლინგვისტური ერთობების** ფორმირება, რომელიც ერთდროულად ღია თვითგამოხატვისა და მშობლიურ კულტურასთან კავშირის შენარჩუნების საშუალებასაც იძლევა; **ახალჩამოსული მიგრანტების მენტორობა,** ბევრისთვის მათი დაკვალიანებისა და პრაქტიკული მხარდაჭერის მიზნით ერთგვარი საზრისის გაჩენის წყაროა. არაფორმალური კავშირების ეს მოდელები აჩვენებს მიმღებ ქვეყნებში ქვიარ მიგრანტთა რესურსულობასა და კოლექტიურ მედეგობას ახალ გარემოში (Mole, 2018).

გარდა მიმღებ ქვეყნებში ადგილობრივი კავშირებისა, რიჩარდ მოული (2021) ნაშრომში „ქვიარ მიგრაცია და თავშესაფარი ევროპაში“ (Queer Migration and Asylum in Europe) განიხილავს ქვიარ მიგრანტთა თემის ფორმირების საქმეში ტრანსნაციონალური კავშირების მნიშვნელოვან როლს. კვლევაში საუბარია მშობლიურ ქვეყნებში, სელექციურად მხარდამჭერ ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან კავშირების შენარჩუნებაზე, მიმღებ ქვეყანაში ადვოკატირების ქსელების შექმნაზე, მრავალეროვნული მხარდამჭერი ჯგუფების განვითარებაზე რესურსებისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, და ისეთი დიასპორული ერთობის შენების პრაქტიკებზე, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიდან მიგრანტებს მოიცავს. ეს ტრანსნაციონალური ქსელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფაში, მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერებასა და რესურსებზე წვდომის გამარტივებაში ქვიარ მიგრანტთათვის, რომლებიც ახალ სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში ადაპტირდებიან.

ფატიმა ელ-თაიბი (2021), დასავლეთ ევროპის უმცირესობათა კონტრ-კულტურების მკვლევარი, თავის ნაშრომში „ევროპელი სხვები: ეთნიკურობის გაქვიარება პოსტკოლონიურ ევროპაში“ (European Others: Queering Ethnicity in Postcolonian Europe), ფოკუსირდება რა აქტივიზმსა და ხელოვნებაზე, აღწერს რასობრივ და ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე დაფუძნებულ წინააღმდეგობრივ, ქვიარმხარდამჭერ პრაქტიკებს ევროცენტრისტული ნაციონალიზმის პირობებში. იგი, ამ კონტექსტში, ხაზს უსვამს სხვადასხვა ტიპის **ინტერსექციური გაერთიანებების** მნიშვნელობას, როგორიცაა: ორგანიზაციები, რომლებიც ლგბტქ+ სერვისებთან ერთად, სპეციფიკურ კულტურულ სივრცეებსაც ქმნიან; რელიგიური ჯგუფები, რომლებიც აღიარებენ და აღნიშნავენ როგორც რელიგიურ რწმენას, ისე ქვიარ იდენტობებს; სახელოვნებო გაერთიანებები, რომლებიც პოზიციონირებენ სხვადასხვა კულტურული და სექსუალური იდენტობით; პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ლგბტქ+ უფლებებთან ერთად, მიგრაციასთან, რასასა და ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებულ საკითხებს ადვოკატირებენ. ავტორის მიხედვით, ეს გაერთიანებები, როგორც წინააღმდეგობა, მიემართება ნაციონალისტური ექსკლუზიის პოლიტიკას, რომელიც უმცირესობებისაგან მტრის ხატს აწარმოებს და წვლილი შეაქვს მათ გარიყვაში (Mole, 2018, 2021; Manalansan, 2006; Murray, 2015; Cantu, 2009; Hopkinson et al., 2017).

კვლევის შედეგები: ემიგრაციის წინაპირობები

საზოგადოებრივი განწყობები და ყოვლისმომცველი ჰომოფობია

საქართველოდან წასვლის წინაპირობებზე საუბრისას, რესპონდენტების ნარატივებში გამოვლენილი ერთ-ერთი ყველაზე დომინანტური საკითხი არის ჰომოფობიის ყოვლისმომცველობა. სხვადასხვა ფორმით მანიფესტირებული მტრული განწყობები ქმნის გარემოს, სადაც ქვიარ ინდივიდებს მუდმივი გამკლავება უწევთ შიშთან, მარგინალიზაციასა და უსარგებლობის, მიუღებლობის განცდასთან. გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის სწორედ საზოგადოებრივი განწყობები წარმოადგენს მიგრაციის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, რამდენადაც განაპირობებს ყოფას, რომელიც ხილული თუ უხილავი რისკებით განისაზღვრება.

* * *

ჰომოფობია ყველაზე ხელშესახებად პირველად ოჯახთან, ინსტიტუციებთან და საჯარო სივრცეებში უშუალო ინტერაქციებში ვლინდება. რესპონდენტთა ნაწილისთვის პირველადი ოჯახი უთანხმოებისა და ზიანის უპირველესი წყაროა. ზოგიერთ შემთხვევაში, უთანხმოების საგანი რესპონდენტთა გამხელილი ან აღქმული იდენტობა, ზოგჯერ კი მსოფლმხედველობრივი დაპირისპირებაა, – ეს რესპონდენტები საუბრობენ მკაცრ კონსერვატიულ და ტრადიციულ ღირებულებებთან თავიანთი რწმენების ან ცხოვრების წესის შეუთავსებლობის ტვირთზე, რაც ზოგჯერ გაზრდილ კონტროლში ან ძალადობაში გადაიზრდება. ყველა შემთხვევაში, ოჯახის მხრიდან დამამცირებელი დამოკიდებულება და წნეხი უმეტესად განპირობებულია ჰეტერონორმატიული მოლოდინით, რომელსაც რესპონდენტები იზოლაციისა და აპათიის განცდამდე მიჰყავს. აღწერილი გამოცდილებები მოწმობს, რომ ხშირად ქვიარებისთვის პირველად ოჯახებში, ანუ პირად, ინტიმურ სივრცეებში, ერთმანეთს ერწყმის ახლობლების მხრიდან უარყოფის სიმძიმე და საზოგადოებრივი აზრის წნეხი.

> *„წამოსვლის მთავარი მიზეზი რომ გითხრა, ეგ იყო, ალბათ – უფრო საზოგადოება და ოჯახი. იმიტომ რომ, თუ ოჯახი მაინც გიღებს, შეგიძლია, რომ საზოგადოებას ყურადღება ნაკ-*

ლებად მიაქციო. მაგრამ როცა ორივე შენს წინააღმდეგაა, ეგ კიდე უფრო ართულებს სიტუაციას. უკვე ველარც პერსპექტივას ვხედავდი, რომ შეიცვლებოდა რამე უკეთესობისკენ, რომ, დავუშვათ, რაღაც დრო მიმეცა ქვეყნისთვის, მეც გამეკეთებინა რაღაც, რომ დადებითად შეცვლილიყო, რომ შედარებით უკეთესი სიტუაცია მაინც ყოფილიყო ჩვენთვის, ქვიარებისთვის საქართველოში" (რ16. თმ. 1წ. 07.04.2024).

„წამოსვლის მიზეზები იყო, რა თქმა უნდა, ჰომოფობია ოჯახშიც, ჰომოფობია ქუჩაშიც. [...] გადაადგილებაც კი საშიში იყო ყოველდღიურად სამარშრუტო ტაქსით. დაემატა მერე ამას უფრო მკვეთრად ოჯახში, არ მოსწონდათ ჩემი სამეგობრო წრე, იგივე თემის წევრები თუნდაც, ან თუ სახლში ამომყავდა ვინმე მეგობარი, ან გარეთ როცა გავდიოდი მეგობრებთან, „ალბათ იმასთან მიდიხარ" და მსგავსი საუბრები" (რ24. თმ. 5წ. 27.05.2024).

ხისტი ნორმებითა და გავრცელებული წინარწმენებით გაჯერებული სოციალური, საჯარო სივრცე კიდევ უფრო აფართოებს აღწერილ გამოწვევებს. არაერთი რესპონდენტისთვის, საქართველოში საჯარო ცხოვრება დაკავშირებულია საფრთხის ქრონიკულ განცდასთან, რომელიც ხან პირდაპირი კონფრონტაციით, ხანაც პოტენციური ზიანის შიშით არის განსაზღვრული. მართალია, საჯარო სივრცეში ფიზიკური ძალადობა და სიტყვიერი შეურაცხყოფაც უხვადაა რესპონდენტთა ისტორიებში, მაგრამ მათი არარსებობის შემთხვევაშიც კი, თავდასხმის შიში, ერთგვარი ნაგულისხმევი ჰომოფობია, მტრული განწყობის მუდმივი მოლოდინი ხშირად განაპირობებს გარემოსთან მათი ინტერაქციის თავისებურებას.

„ელემენტარული, ყველაზე ლაითი რაცაა – თუნდაც მეტროში, საჯარო სივრცეებში რა. ჯერ მარტო მზერით გაკომპლექსებდნენ და მზერით გირტყამდნენ, ესე ვთქვათ" (რ23. თმ. 2წ. 15.05.2024).

„[2013 წლის 17 მაისს] მე მახსოვს, ეს ხალხი რასაც წერდა, ჩემი თანამშრომლები, მეგობრები, ოჯახის წევრები, ძალიან

შემზარავ ტექსტებს წერდნენ, მაგალითად, მომისმენია სახლში, რომ ის, რაღაც ტელევიზორში უნახავთ, უნდა ჩაკლა ეგეთი და, ნუ, მოკლედ, ეგეთი ტექსტები სულ მომისმენია და ეგ შიშები სულ, მუდმივად მქონდა. ნებისმიერი, მთელი საზოგადოების, ძმების, ოჯახის წევრების, ყველასი აბსოლუტურად" (რ28. თმ. 5წ. 06.06.2024).

„ბათუმში დიჯეი სცემეს ჩემ თვალწინ, გადმოათრიეს, საყურის გამო, მაგრად სცემეს. ძაან დავისტრესე, თან მაგ დღეს არ ვიყავი ფხიზელი. ეგ ძაან იშვიათად ხდებოდა საქართველოში და მივხვდი, დავინახე ჩემი თავი, რომ ამდენს ვწვალობ, ამდენს ვშრომობ, რაღაცების მჯერა […], მაგრამ ზღვაში წვეთი იყო ჩემი არსებობა და ცოტა ფილოსოფიურად შევხედე, რომ „აი, რისთვის წვალობ?!"" (რ3. თმ. 3წ. 14.03.2024).

ინსტიტუციური ჰომოფობია, სახელდობრ – პოლიციის მხრიდან გამოხატული, კიდევ ერთი აქტუალური საკითხია გამოკითხულთა მონათხრობებში. რესპონდენტებისთვის, მიუხედავად იმისა, ჰქონიათ თუ არა თავად უშუალო ურთიერთობის გამოცდილება, სამართალდამცავები აღიქმებიან არა დაცულობის, არამედ პოტენციური საფრთხის წყაროდ. ზოგიერთი რესპონდენტი ჰყვება პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამოცდილებაზე, თუ როგორ არაფრად ჩააგდეს, გააქილიკეს, მეტიც – შველის სათხოვნელად მისული, დაამცირეს ან შეურაცხყვეს. ერთი რესპონდენტის გამოცდილებაში ასევე არის პოლიციის თანამშრომლის მიერ იდენტობის გამხელის მუქარის შემთხვევაც. რესპონდენტთა ნაწილი ხაზს უსვამს, რომ პოლიცია უფლებამოსილებას აჭარბებს და ძალადობრივ და უსამართლო მეთოდებს ხშირად იყენებს არა მხოლოდ ქვიარების, არამედ სხვა ჩაგრული თუ ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების მიმართაც. ნებისმიერ შემთხვევაში, ქვიარების გამოცდილება სპეციფიკურია, რამდენადაც ინსტიტუციური მხარდაჭერის არარსებობა სოციალურ გარემოში მათ მოწყვლადობას აღრმავებს.

„ჩემი ქეისი იყო, რამაც გადამაწყვეტინა წამოსვლა. მანამდე არ ვაქცევდი დიდად ყურადღებას პასიურ აგრესიას. რაიონშიც ვიკავებდი თავს, ყველა მიცნობდა. ქეისი არ მქონია, მაგ-

რამ ერთი ტიპი ისე დამმუქრებია, რომ იტყოდა ჩემზე. თავდასხმა თბილისში მოხდა. არ ვიცი, რა უნდოდა – მთვრალი იყო და უცებ დამესხა თავს ქუჩაში. გარეგნობისთვის, რადგან არაფერი არ მიქნია. ჩივილიც არ მინდოდა, მაგრამ გავბრაზდი. [...] პოლიციაში ცინიკური დამოკიდებულება, რომ თითქოს ნორმალურია, ესეც უნდა ყოფილიყო" (რ30. თმ. 2წ. 09.06.2024).

„შეცვლის მხრივ, არაფერი არ შეცვლილა. კანონი აღიარებს, რომ ჩვენ სრულუფლებიანი წევრები ვართ და გვაქვს უფლება, რომ ჩავატაროთ ეს ჩვენი პრაიდი და სახელმწიფო კანონით გვეუბნება, შეგიძლიათო, მაგრამ კანონის წინააღმდეგ თვითონ მოდის და ამ კონსტიტუციას თვითონვე არღვევს იმით, რომ თვითონვე აგზავნიან იმ პირებს, რომლებიც გვარბევენ და ის პირები დაუსჯელები რჩებიან. [...] [პრაიდის] მეორე დღეს რომ გამოვედი აქციაზე და პოლიცია ტრანსგენდერ ქალებს დაგვესხა თავს, თვითონ პოლიციელი ურტყამდა ტრანსგენდერ ქალს" (რ19. თმ. 3წ. 01.05.2024).

აღწერილი სოციალური განწყობების შედეგად მიღებული ფსიქოლოგიური და ემოციური ზიანი მძიმეა. ქვიარ ინდივიდები გრძნობენ მუდმივად ფხიზლად ყოფნის აუცილებლობას, რათა საფრთხე შეუმჩნეველი არ დარჩეთ. თუმცა ამგვარი გაფაციცება, ჰიპერვიგილანტობა, თვითგადარჩენის მექანიზმია, ამავე დროს, ქრონიკული სტრესის, თვითშეფასების დაქვეითებისა და თვითსტიგმატიზების წინაპირობაა. მეტიც, უარყოფისა და ძალადობის გამოცდილებები ზღუდავს გადაწყვეტილების მიღების პირად და პროფესიულ შესაძლებლობებს. რესპონდენტთა დიდი ნაწილი უთანხმოების/დაპირისპირების/კონფრონტაციის მინიმიზებისთვის, გარეგნობის ცვლილებაზე, გარკვეული სივრცეებისთვის თავის არიდებისა და საკუთარი იდენტობის დამალვის გამოცდილებაზე საუბრობს.

„ეგ შიში იმდენად დიდი იყო და იმდენად მანგრევდა, რომ ეგ იყო რეალურად ერთადერთი მიზეზი, რატომაც ხმამაღლა ვერ ვსაუბრობდი ჩემს ორიენტაციაზე" (რ28. თმ. 5წ. 06.06.2024).
„საბოლოო ჯამში, ასაკი რომ გემატება, ცოტა სხვა ეტაპზე გა-

დადის შენი ცხოვრება. უფრო თვითრეალიზაციის უნარს გიქვეითებს ეს ორმაგი ცხოვრება და დამალვა. ვამჯობინე, რომ მათგან [ჰომოფობიურად განწყობილ ახლობლებთან] შორს ვყოფილიყავი და ეს ურთიერთობა, ეკრანის მიღმა, შემენარჩუნებინა. ეს იყო ჩემი წამოსვლის მიზეზი" (რ10. თმ. 2წ. 06.04.2024).

„საქართველოში, როცა გავდიოდი გარეთ, ჩათვალე, რომ მთელი დღის განმავლობაში თამაშობ ვიღაც მასკულინურ ტიპს და ცდილობ, რომ მასკულინურად მოიქცე, რომ ვიღაც რენდომ ტიპის აგრესია არ გამოიწვიო ქუჩაში ან სამსახურში თუნდაც. აქ ეგ ყველაფერი გეხსნება და შეგიძლია აღარ გააკონტროლო სიგარეტის მოწევის მანერა, ჯდომის მანერა, ლაპარაკის მანერა, სიარულის მანერა, ელემენტარული თმის გადაწევის მანერა. როგორც გინდა, დაჯდე, მოწიო, დაიჭირო ხელი და ეგ ყველაფერი საქართველოში არ გაქვს და ზუსტად იმიტომ არ გაქვს, რომ გეშინია, ვიღაცას შეიძლება შენი სიარულის მანერა არ მოეწონოს და ჩიხიდან გამოვიდეს და რაღაც გითხრას, ან რაღაც მოგაძახოს და ეგეც შეიძლება, ვიღაც არ მოვიდეს და არ ჩაგარტყას, მაგრამ ვერ აღიქვამ თავს უსაფრთხოდ მაგ გარემოში, მაგრამ ეგ მოძახებაც ისე გიფუჭებს მთლიან დღეს, იმდენად მოქმედებს, რომ მერე უკვე შეიძლება მთელი დღე გაგყვეს ეგ ყველაფერი, ეგ იყო მთავარი მიზეზი" (რ16. თმ. 1წ. 07.04.2024).

„არ ცხოვრობ შენი ცხოვრებით, ხარ ვიღაცა. როცა სახლში მიდიხარ, მაშინ ხარ შენ. როცა გარეთ ხარ, მუშაობ, ადამიანებთან გაქვს შეხება, რომლებიც არიან ჰომოფობები და ამას არ მალავენ და საგრძნობლად გამოხატავენ, ძნელია ურთიერთობა. [...] თაგვივით ცხოვრობ, ამას ცხოვრება არ ქვია, მე თუ მკითხავთ, იმიტომ, რომ გამოძვრები სოროდან და შეძვრები. გამოდის, რომ ორი ადამიანი ხარ, ნიღბით ცხოვრობ. ნუ, იქ შვილიც გყავს, ოდესღაც გათხოვილი იყავი. „ახლა რატომ არ თხოვდები? ახალგაზრდა გოგო ხარ და რატომ ხარ მარტო?", ყველას ხომ ვერ აუხსნი და გააგებინებ. თან კიდევ ეს უაზრო კითხვებიც დამღლელია. რატომ არ ვთხოვდები და ის..." (რ14. თმ. 2წ. 11.04.2024).

ამ კონტექსტში, მიგრაცია გვევლინება არა მხოლოდ ზიანისგან გაქცევის პრაქტიკულ გამოსავლად, არამედ ავტონომიის მოპოვებისა და ღირსების აღდგენის სიმბოლურ აქტადაც. არაერთი რესპონდენტისთვის, საქართველოში ცხოვრებისას ყოვლისმომცველი ჰომოფობია იყო ყოველდღიური დარტყმა მათ საბაზისო კარგად ყოფნაზე. შესაბამისად, ქვეყნის დატოვება არის არა მარტივი, უკეთესი შესაძლებლობების, არამედ შიშის, განკითხვისა და თავდასხმებისგან თავისუფალი ადგილის ძიება.

> *„პირველი მიზეზი იყო ქვიარობა, რატომაც წავედი, ეს იყო, მახსოვს ის შეგრძნებები, უკვე აღარ შემეძლო, რომ მეთქი, უნდა გავიქცე და ნებისმიერ ქვეყანაში წავიდოდი, სადაც ცოტათი უკეთესობა იყო და ქვიარ თემთან დაკავშირებით მქონდა ინფორმაცია“ (რ12. მ. 12ნ. 08.04.2024).*

რესპონდენტთა ნარატივები ცხადყოფს, რომ საქართველოში ჰომოფობიური განწყობები სცდება დისკრიმინაციის ინდივიდუალურ შემთხვევებს და კულტურულ, ინსტიტუციურ და ინტერპერსონალურ დინამიკაში განსხეულებულ სისტემურ პრობლემას წარმოქმნის. ჰომოფობიის სისტემური ხასიათი მართლაც მტრულს ხდის გარემოს ქვიარებისთვის, სადაც დარჩენა – დათმენის, ხოლო წასვლა – გადარჩენის აქტად გვესახება.

პოლიტიკური ჰომოფობია

სიღრმისეული ინტერვიუების მიხედვით, საქართველოში პოლიტიკური ჰომოფობია ასევე მნიშვნელოვანი წინაპირობაა მიგრაციის გადაწყვეტილების გზაზე. რესპონდენტები სოციალურ ჰომოფობიას, მტრულ განწყობებს ხშირად უკავშირებენ უფრო ფართო პოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც დროსთან ერთად, მეტად და მეტად განისაზღვრება კონსერვატიული, ანტიგენდერული და მემარჯვენე ტენდენციებით. ეს პოლიტიკური დინამიკა არა მხოლოდ ახალისებს ჰომოფობიას საჯარო სივრცეში, ასევე, მნიშვნელოვნად განაპირობებს უსაფრთხო და ღირსეული მომავლის რწმენის მოშლას, უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდის ფორმირებას.

„შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ საზოგადოებრივი განწყობები იცვლება, მაგრამ არ იცვლება, ერთი და იგივეა ჩემთვის, არ აქვს განსხვავება ჩემთვის, ქუჩაში რომ გავალ, ხუთი კაცი გამომეკიდება თუ სამი, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს და ეს პოლიტიკას რაც შეეხება, პოლიტიკური განწყობები და პოლიტიკური დამოკიდებულება საზოგადოების და პოლიტიკოსების ერთნაირია ზუსტად და არც მანდ არაფერი არ იცვლება ძირეულად, განცხადებები კეთდება, თუმცა არის ერთი და იგივე, რაც კეთდებოდა 5 და 4 წლის წინ და საერთოდ პოლიტიკოსებს, არ მეგულება პარტია, გინდა ოპოზიციური, რომელიც ღიად უჭერს მხარს, საერთოდ ელემენტარულ დაპირებებში მაინც ითვალისწინებს ქვიარ უმცირესობების უფლებებს. როცა პოლიტიკოსებიც არ ლაპარაკობენ ამ საკითხებზე, მერე საზოგადოებას არ აინტერესებს“ (რ16. თმ. 1წ. 07.04.2024).

„რაც ეხება ხელშესახებ ცვლილებებს ლგბტ ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, ერთადერთი, დიდი რაც მოხდა, ეს არის ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, და ესეც დღემდე თითზე აქვს დახვეული ყველას, ვისაც არ ეზარება, და არის კიდევ მხოლოდ და მხოლოდ მინიმალური რაღაცა ძვრები, რასაც სათემო ორგანიზაციების კოლოსალური ძალისხმევა სჭირდებოდა. და ესეთი რაღაცეები, რაც პრაქსისის დონეზე, რისი უკან დატრიალებაც ძაან მარტივია ხოლმე, რა“ (რ26. მ. 7წ. 11.06.2024).

ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი ტენდენცია, რომელსაც რესპონდენტები უსვამენ ხაზს, არის პოლიტიკური აქტორების მიერ ქვიარ ადამიანების ინსტრუმენტალიზება. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ხელისუფლების მხრიდან გენდერსა და სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების გამოყენება, ზოგადი სოციალური და ეკონომიკური საკითხებიდან ყურადღების გადატანის, საზოგადოების გახლეჩისა და პოლარიზების მიზანს ემსახურება. ქვიარების ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ არსებულ საფრთხედ წარმოჩენით, პოლიტიკური ლიდერები თავს აწონებენ მოსახლეობის კონსერვატიულად განწყობილ სეგმენტს და ქმნიან გარემოს, სადაც ჰომოფობია არათუ დაშვებული, არამედ წახალისებულია.

„ყურადღების გადატანაც არის. საბოლოო ჯამში, ხალხი ჭამს ერთმანეთს და, რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობით სახელმწიფო უფრო სარგებლობს. თითქოს არ გვინდა, რომ გამოყენებულები ვიყოთ, მაგრამ ჩვენვე ვაძიძგნინებთ ჩვენს თავს“ (რ8. თმ. 2წ. 20.03.2024).

რესპონდენტები საკუთარ და საქართველოში დარჩენილი ქვიარ ადამიანების გამოცდილებაზე რეფლექსიის შედეგად ამბობენ, რომ ამ რიტორიკას, დროთა განმავლობაში, უსაფრთხო სივრცეების შემცირებასთან ერთად, ხელშესახები დამაზიანებელი შედეგები მოაქვს ლგბტქი თემისათვის. ისინი უაღრესი წუხილით და ბრაზით აღწერენ, თუ როგორ მატულობს საფრთხე ქვიარ თემის შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზებისას, მთავრობის მიერ წახალისებული, პოლიციის მიერ ინსტიტუციურად დაცული ულტრამემარჯვენე კონსერვატიული ჯგუფების მზარდი აგრესიის შედეგად. ამ გამოცდილებებზე დაყრდნობით, რესპონდენტები სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ უკიდურესი უიმედობით არიან განწყობილი და ამ განწყობას ვერც ისეთი სამართლებრივი ბერკეტი ამსუბუქებს, როგორიც ანტიდისკრიმინაციული კანონია. მეტიც, ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ასეთ პირობებში, ამ კანონის პროგრესულ ან ქვიარების დაცვის მექანიზმად მოაზრება არაკანონზომიერია.

„შარშან თუ იყო მცდელობა, რომ საპრაიდოდ ფესტივალი გამართულიყო, დარბევით დასრულდა; წელს საერთოდ მცდელობაც აღარ ყოფილა, ისე გაუარესდა სიტუაცია ერთ წელში, რომ ვინმეს თუნდაც რამე დახურული ღონისძიება გაეკეთებინა. ახლა საქართველოში ყველა უყურებს არჩევნებს და მაგის მიხედვით გადაწყდება ალბათ ქვეყნის ბედი. […] როცა მთელი სახელმწიფო ხდება ჰომოფობიური და გამოყენებულია სულ ჰომოფობია წინასაარჩევნოდ, ხმების მოზიდვისთვის, ეგ ართულებს აქტივიზმსაც“ (რ24. თმ. 5წ. 27.05.2024).

რესპონდენტთა ნაწილი, – უმეტესად აქტივისტები, – ადგილობრივ პოლიტიკურ ჰომოფობიას უფრო გლობალურ კონსერვატიულ, ანტიგენდერულ მოძრაობებთან აკავშირებს. ისინი ხაზს უსვამენ, რომ მთავრობის მიერ ისეთი იდეოლოგიების დეკლარირებულად გაზიარება, რომლებიც

ეწინააღმდეგება მეტად ლიბერალურ დისკუსიებს გენდერის და სექსუალობის შესახებ, პროგრესული მმართველობიდან გადახვევის სიგნალია. ეს იდეოლოგიები ამტკიცებენ, რომ ტრადიციული ოჯახური სტრუქტურები და ეროვნული იდენტობები საფრთხის ქვეშაა, ხოლო ქვიარ ინდივიდები და მოძრაობები მორალურად გახრწნილი, უცხო ქვეყნების გავლენის აგენტები არიან. ეს ნარატივები არა მხოლოდ ქვიარ ადამიანების უცხოდ წარმოჩენას უწყობს ხელს, არამედ აღვივებს სოციალურ დაყოფას და უფრო და უფრო ართულებს თანაცხოვრებას.

> *„2010-დან დაახლოებით, რაც დაიწყო უფრო ხილვადობა, დაიწყო აგრესია და ბექლეში და ასევე, ეს არ არის ვაკუუმში არსებული სიტუაცია, უკვე ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი გაძლიერდა მთელს მსოფლიოში და ეს მემარჯვენე ჯგუფები, ფუნდამენტალისტური, და საქართველოშიც იყო... –იყვნენ ჩართული მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და სხვა, ჯგუფებიც შეიქმნა ანუ და ძალიან გაცხადებულად ქონდათ.. ანუ, მარტო ბექლეში კი არ იყო, ეს იყო გლობალური პროცესები და პოლიტიკური, ძალიან პოლიტიკური. საპატრიარქოც იყო ამაში ჩართული, მთავრობაც, იმათი ენჯიო ფრთა და დაიწყო მერე უკვე სხვანაირი აგრესია“ (რ27. მ. 11წ. 07.06.2024).*

როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ ველზე რესპონდენტთა ფრუსტრაციას არა მხოლოდ მზარდი ანტიგენდერული მოძრაობები და მთავრობის პოლიტიკა, არამედ პარტიული ოპოზიციაც იწვევს, რომელიც ასევე დაკავებულია ქვიარ საკითხების ინსტრუმენტალიზებით პოლიტიკური დივიდენდების მიღების მიზნით. მაშინ როდესაც მმართველი პარტია ჰომოფობიას იარაღად აქცევს კონსერვატიული მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ოპოზიცია რიტორიკულად იყენებს ლგბტქი საკითხებს ლიბერალური სეგმენტის მოსახიბლად, ქვიარ თემისთვის მნიშვნელოვანი რეალური მხარდაჭერის შეუთავაზებლად. ამ მაკროდონეზე ამგვარი უარყოფა რესპონდენტებში იწვევს იმედგაცრუებას და პოლიტიკურ პროცესებთან გაუცხოებას, რაც თემის მარგინალიზაციის სისტემურ სახეს გვაჩვენებს.

„ახლა არ მაქვს წარმოდგენა, რა შეიძლება მოხდეს ამჟამად საქართველოში, იმიტომ რომ ქვიარებისთვის არაფერი შეიცვლება, არც ოპოზიცია ლაპარაკობს ქვიარებზე, არ აინტერესებთ, პირიქით, უმეტეს შემთხვევაში არჩევნების წინ რეგიონებიც კი ისე გვიყენებენ, როგორც იარაღს, რომ ხმები მოაბილიზონ და მეტი ხმა მიიღონ არჩევნებზე“ (რ16. თმ. 1წ. 07.04.2024).

„როგორ არის, იცი? ოპოზიციაც და პოზიციაც იყენებს ინსტრუმენტად. მე ვიყავი მანდ 2020-ში, გავრილოვის ღამე რომ იყო. მოვდიოდი პრაიდზე. პრაიდი უნდა გამართულიყო და უნდა მიმეღო მონაწილეობა. ამ დროს დავდიოდი სხვა პოლიტიკურ მიტინგებზე. მარში ჩატარდა, ბიძინას სახლისკენ დაიძრნენ და ლგბტ დროშები არაო. როცა სჭირდებათ, ჰყავთ თავიანთი კლოუნები“ (რ4. მ. 18წ. 16.03.2024).

„ერთმანეთის წინააღმდეგ ძალაუფლებისთვის იყენებენ [ლგბტქ საკითხებს]. მე სულ მკიდია, ვინ იქნება, ვთქვათ, მაგრამ, ხო გვეხება მერე ყველას? ჩვენს თავს ადევნინებ და აზიანებინებ, მერე ხარ ტკბილად და ჩვენ?...“ (რ15. თმ. x. 12.04.2024).

ეს პოლიტიკური კონტექსტი მრავალ ქვიარ ინდივიდს ტოვებს უძალობისა და დატყვევებულობის განცდით. ზოგიერთი რესპონდენტისათვის სწორედ პოლიტიკური ჰომოფობიაა მიგრაციის გადამწყვეტი ფაქტორი. აქტივიზმისთვის შეზღუდული სივრცე და პოლიტიკური ექსკლუზია აჩენს განცდას, რომ მიგრაცია არის ერთადერთი სასიცოცხლო გზა ღირსეული ცხოვრებისაკენ.

„მე ვერანაირ იმედს ვერ ვხედავდი უკვე. ვერც ეხლა, აქედან რომ ვუყურებ. ჩემს მეგობრებს ვეუბნები, რომ გაასწრონ დროზე. ოპოზიცია არ ვარგა, არც აქტივისტების იმედი არ მაქვს, რაღაც სულელურ თრახებს გადაყვნენ ეგენი ყველა. იმედი აღარ მქონდა, არც ვიცოდი რა შემეძლო გამეკეთებინა. იმედს კი არა, მარტო უარესს ვხედავდი და სასოწარკვეთილი გავხდი“ (რ29. თმ. 1წ. 10.06.2024).

ჯამში, პოლიტიკური ჰომოფობიის, მტრული სოციალური განწყობებისა და სისტემური უგულებელყოფის/უარყოფის ინტერსექცია ერთგვარ მოჯადოებულ წრეს ქმნის ქვიარ ინდივიდებისთვის, რაც განაპირობებს მათ მარგინალიზაციას. მათი იდენტობების ვიწრო პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება აღრმავებს ექსკლუზიას, რაც საქართველოში მომავლის დაგეგმვის შესაძლებლობას წარმოუდგენელ პერსპექტივად აქცევს. ამ პირობებში კი, შეიძლება ითქვას, რომ მიგრაცია არა მხოლოდ გაქცევის, არამედ უგულებელმყოფი და მანიპულატორი სისტემის მიმართ უთანხმოების აქტიცაა.

ეკონომიკური სიდუხჭირე და პიროვნული განვითარების ბარიერები

ეკონომიკური სიდუხჭირე და პიროვნული განვითარების ბარიერები გამოკითხული ქვიარების ნარატივებში წარმოდგენილი ორი ერთმანეთთან დაკავშირებული და ხშირად ცენტრალური საკითხია, რომელიც მომავლის აღქმასა და მიგრაციის გადაწყვეტილებას განაპირობებს. რესპონდენტები ხშირად აღწერენ პროფესიული და პიროვნული განვითარების შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეულ ფრუსტრაციასა და უიმედობას, რომელიც როგორც ეკონომიკური სისტემით, ისე – დისკრიმინაციის სპეციფიკური გამოცდილებებით არის განსაზღვრული.

* * *

ინტერვიუების განმავლობაში ხშირად ვხვდებით სტაბილური დასაქმების პრობლემას, რომელსაც რესპონდენტები ასახელებენ საკუთარ და სხვათა გამოცდილებებზე დაყრდნობით. რესპონდენტთა ნაწილი ამბობს, რომ თუნდაც დროებითი, დაბალანაზღაურებადი დასაქმების გზაზე, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, არაკონფორმული თვითგამოხატვის გამო, გამხდარა დისკრიმინაციის მსხვერპლი. მაშინაც კი, როდესაც არ გვაქვს სახეზე დისკრიმინაციის შემთხვევა, რესპონდენტები აღწერენ სოციალური წინარწმენების გამო, ექსკლუზიის განცდას სამუშაო ადგილას. გამოკითხული ტრანსგენდერი ქალებისთვის ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფის გზად, ასევე, დასახლებულია პროსტიტუცია.

„დალაგებაზე ვმუშაობდით ორივე, ოღონდ ეს სტაბილური არ იყო, სადაც გადაგანაწილებდნენ, იქ მიდიოდი, სადარბაზოების თემა იყო, ახალაშენებული კორპუსების თემა იყო. ერთი ხელფასი ავიღეთ და მერე წვიმაში გვამუშავებდნენ, აივანი უნდა გვეხეხა და რაღაცა და მაგის თანხა არც ჩაგვირიცხეს, ისე გადაგვაგდეს. [...] გადამწყვეტი ის იყო, რომ აღარ შემეძლო ვაკანსიებზე სიარული და უკვე ძაან ველარ ვქაჩავდი, ეგ იყო ჩემთვის წასვლის მთავარი მიზეზი. ანუ, არაფერი არ გამოვიდოდა რეალურად“ (რ22. თმ. 2წ. 15.05.2024).

„ვმუშაობდი სპარში, ნიკორაში, ორ ნაბიჯში, რესტორანშიც ვმუშაობდი, მაგრამ არანაირად არ მყოფნიდა ფინანსები. აქედან გამომდინარე, შემდეგ ის გავიცანი, ეს გავიცანი, ჩავერთე სექსსამუშაოში. რომელიც ჩემთვის დღემდე რაღაც მარაზმი არის და საშინელი რაღაცა არის. ბოლო-ბოლო, ის იყო, რომ ავდექი და წამოვედი“ (რ18. თმ. 1წ. 30.04.2024).
„არ მინდოდა ახლა მაინცდამაინც ასე წასვლა. სადამდეც შემეძლო, ვიყავი. მერე უკვე ძაან რომ გაჭირდა და ყველაფერი გაძვირდა, არაფერი ხდებოდა; სამსახური და სახლი გახდა ჩემი ცხოვრება, მეთქი, უნდა დავაღწიო თავი აქედან“ (რ6. თმ. 2წ. 19.03.2024).

„ბევრგან იყო ის შემთხვევა, რომ თუნდაც ტატუების, პირსინგების და სტილის გამო, ძაან ჰომოფობიური დამოკიდებულებები ჰქონდათ და, ზოგადად, სანამ გასაუბრებაზეც დაგვიბარებდნენ, „ფეისბუკი მოგვეცი და ვნახოთ, რას წარმოადგენ“ და მაქედან გამომდინარე მიდიოდა უკვე, ან დაგვიბარებდნენ, ან არა. ეს ელემენტარული იყო, ჩამოსასხმელი ნაყინის თემაშიც კი. ბოლოს მე კი ვმუშაობდი, ესეც მუშაობდა, მაგრამ. ეს ღამის კლუბში მუშაობდა, სადაც ეხლა ისეთი პრობლემა არ იყო ვიზუალი, მაგრამ იქაც პრობლემა ჰქონდა, ეუბნებოდნენ, ცოტა ქალურად ჩაიცვიო“ (რ23. თმ. 2წ. 15.05.2024).

რესპონდენტების მონათხრობის მიხედვით, პრეკარიული, დაბალანაზღაურებადი სამსახურები, ძირითადად მომსახურების სფეროში, ზოგჯერ ელემენტარული შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ეს სამსახურებრივი როლები ხშირად ხასიათდება არასტაბილურობით, მძიმე სამუშაო პირობებითა და პროფესიული ზრდის შეუძლებლობით. ამ კონტექსტში, ზოგიერთისთვის ღამის კლუბებსა და ბარებში, ქვიარებისთვის პოტენციურად უფრო დაცულ სივრცეებში, მუშაობა ხდება ერთგვარი გამოსავალი. თუმცა, აქ მუშაობის გამოცდილების მქონე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არც ეს სივრცეები ყოფილა მათთვის სრულად დაცული, უსაფრთხო ან ჯანსაღი. მიუხედავად საკლუბო და სხვა გართობის სივრცეების დადებითი როლისა ქვიარების თავისუფალი სოციალიზაციის საქმეში, რესპონდენტები საუბრობენ მზარდ დამაზიანებელ ტენდენციებზე: პირველ რიგში, იმაზე, რომ ამ სივრცეებისთვის, დროთა განმავლობაში, პრიორიტეტად იქცა ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა. ეს, ერთი მხრივ, სივრცეს ნაკლებად დაცულს ხდის ქვიარებისთვის და, მეორე მხრივ, იმატებს ზეგანაკვეთური შრომის შემთხვევები. გარდა ამისა, რესპონდენტები საუბრობენ სხვადასხვა ნივთიერების უკონტროლობასა და ხელმისაწვდომობაზე, რაც დამოკიდებულების განვითარების და ქვიარ თემის წევრებს შორის თანადამოკიდებულების პრობლემის წარმოშობას უწყობს ხელს.

> *„ამ კლუბურმა სივრცემ ხომ ნარკოტიკები შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში, დიდი დოზით და ეს განორმალიზდა, იმდენად, რომ ადამიანები უკვე ამით თესლაობდნენ. თუ ჩალიჩობდი, ყიდულობდი, თესლურად ითვლებოდა და რაც უფრო დიდ ლაინს იყნოსავ და დიდ ჯოინთს ახვევ, ეგ რომ თესლობად ითვლება, როგორ უნდა განვითარდე მანდ?! კიდევ მივხვდი, რომ ვეღარ ვვითარდებოდი, ჭაობში ვეფლობოდი და ვეფლობოდი. რაღაც მომენტში ჰქონდა ამ ყველაფერს დატვირთვა და ვფიქრობ, რომ მაგის ნაწილი ვიყავი, მაგრამ როდესაც მივხვდი, რომ ეს ყველაფერი არავისთვის სასარგებლო აღარ იყო, პირველ რიგში, ჩემი თავისთვის, მივხვდი, რომ დროზე უნდა წავიდე აქედან! მაგ გარემოს თუ არ შევიცვლიდი, მეც იგივე მომივიდოდა, იმიტომ რომ თბილისი ისეთია და ისეთი სამეგობრო გყავს, რომ ერთმანეთს ვითრევდით კარგში თუ ცუდში“ (რ8. თმ. 2ნ. 20.03.2024).*

„ბარებში რომ ვმუშაობდი, სულ მიწევდა სიმძიმეების აწევა. მაგალითად, [ერთ-ერთი ქვიარმეგობრული კლუბი თბილისში] სულ გოგოები ვმუშაობდით და ამ სიმძიმეებს სულ ვათრევდით და მეპატრონემ, რომელსაც მთელი მუშაობის განმავლობაში, ვთხოვდით, რომ ლიფტი გაეკეთებინა ამ ყველაფრის მეორე სართულზე ასაზიდად, მაგის გარდა, მართლა ყველაფერი გააკეთა. ფეხებზე ეკიდა, რა. მეპატრონე რომ ვერ ხვდება, თანამშრომელს რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს და მარტო მუშის სახით უყურებს, როგორც მანქანას, რომელიც სასმელს ასხამს ბარში. არადა, ჩვენ მთელ ვაიბს ვქმნიდით, ანუ შენი სახე ვარ და უნდა გამიფრთხილდე, ხო? მესმის, რომ ბიზნესმენები ცოტა სხვანაირად უყურებენ დასაქმებულებს, მაგრამ რაღაც დონეზე მაინც უნდა გაითვალისწინო ადამიანების ჯანმრთელობა. მერე გაფორმებულებიც არ ვიყავით და კორონა რომ დაიწყო, არც სამსახურმა და, შესაბამისად, ვერც სახელმწიფომ დახმარება ვერ ჩაგვირიცხა და მთელი ეს ორი წელი ვიყავით ჰაერში. ანუ, ის კი არა, რაღაცები აყროლდა და გაფუჭდა ბარში და ეგენიც კი არ გვითხრა, რომ აი, ბავშვებო, ამას ვერ გაძლევთ, მაგრამ ეს წაიღეთო. რავი, ძაან მტკივნეული იყო მაგის გააზრება. ბიჭიც რომ ყოფილიყო, რატომ უნდა ეზიდა იმხელა ლუდის და წყლის ბოთლები, ელემენტარული გათვალისწინებაა. კარგი, სახელმწიფო შრომას არ აფასებს, მაგრამ ამ მეგობრულ მფლობელებთან ერთად ხომ ვიდექით იმ აქციებზე [იგულისხმება კლუბებში ჩატარებული პოლიციური რეიდის შედეგად დაწყებული პროტესტი] და რა ვიცი, თვითონ რა წვლილიც შეუძლიათ შეიტანონ, მაგაშიც არ უნდათ. კიდევ, ერთ საათში 10 ლარი რომ უნდა მოეცა, 45 წუთი თუ იყავი, იმ 10 ლარის მოცემაც არ უნდოდა. რავი, მაგას რომ ხედავ შენს წრეშიც, ბოლოს, მეთქი, გამანებეთ თავი!“ (რნ. თმ. 2ნ. 19.03.2024).

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური სიდუხჭირის პრობლემა საერთოა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. დასაქმების ბაზარზე ისინი უფრო ხშირად არაფორმალური და არასტაბი-

ლური შეთანხმებების საფუძველზე მინიჭებული მოკლევადიანი როლების შესასრულებლად სჭირდებათ დამსაქმებლებს.

რესპონდენტთა შორის, მათთვის, ვისაც შედარებით გაუმართლა და საკუთარი პროფესიით ან ინტერესების შესაბამისად მუშაობის გამოცდილება აქვს, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სიტუაცია არ არის ბევრად მარტივი. ქვიარ აქტივისტებისა და სათემო მუშაკებისთვისაც არ არის უცხო საკუთარი მისწრაფებების რეალიზების შეზღუდული შესაძლებლობა. ქვიარ პროფესიონალებისთვის ქვიარ სათემო, არასამთავრობო ორგანიზაციები დასაქმების ერთ-ერთი უსაფრთხო და, ზოგჯერ, უალტერნატივო საშუალებაა, რაც ზღუდავს მათი პიროვნული და პროფესიონალური განვითარების არეალს.

აღწერილი გამოცდილებები რესპონდენტებს უჩენს ერთგვარი დაბლოკილი მომავლის განცდას. მათი ნაწილი ამბობს, რომ არ წარმოედგინათ საქართველოში პირადი და პროფესიული განვითარება; და ზოგჯერ, მეტიც, არც უფიქრიათ, რომ რაიმე პერსპექტივა შეიძლება ჰქონოდათ, იმდენად ინერტული და ყოველდღიურ გადარჩენაზე ორიენტირებული იყო მათი ცხოვრება. ეს სენტიმენტი საერთოა არა მხოლოდ პრეკარიული მშრომელებისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც აქვს უმაღლესი განათლება, პროფესია და სხვა, ერთი შეხედვით, ვალიდური პრივილეგიები იმისათვის, რომ სისტემურ ბარიერებსა და უსამართლო სოციალურ განწყობებს არ დაექვემდებარონ.

> *„ძირითადად ვმუშაობდი, თავიდან, მარკეტებში და ეგეთ ადგილებში, სადაც მარტივად იშოვება. მაკდონალდსშიც მიმუშავია ორი წელი, თუ რაღაც. [...] ბოლოს რასაც ვაკეთებდი, ეგ იყო, რომ კლუბში ვმუშაობდი. დიდად საინტერესო აღარაფერი ხდებოდა მანდ, ცოტა ინერციით ცხოვრება იყო და არ ვიცი, რაღაც რომ გიყვარს და აკეთებ, ეგეთი რაღაცები აღარ ხდებოდა და რავი, აზრი აღარ ქონდა. ეს ამდენი სიძულვილი გარშემო, უფულობა და ყველაფრის გარეშე ყოფნა უკვე ძაან რთული იყო და წამოვედი“ (რნ. თმ. 2ნ. 19.03.2024).*
> *„თუ ვიქნებოდი საქართველოში, ყოველთვის უნდა მემუშავა რაღაც ისეთ არასამთავრობო სექტორში, იმიტომ რომ სახელმწიფო უწყებებშიც იდენტიფიცირება დიდად არ შეგიძლია, ღიად საუბარი და არც ის, რომ ვთქვათ, დაქამინგაუთდე,*

როგორც ქვიარი, ეს ძალიან დიდი სირთულეა. ვფიქრობდი, რომ ძალიან ერთფეროვან სივრცეში ვიქნებოდი. აი, რაღაც ბაბლში უნდა ვყოფილიყავი, სადაც შედარებით უსაფრთხოდ ვიგრძნობდი თავს და იმის იქით უკვე აღარ არსებობდა სხვა სივრცეები, სადაც თავს უსაფრთხოდ და თავისუფლად ვიგრძნობდი. შეზღუდულადაც ვგრძნობდი თავს მაგ მხრივ, თუნდაც არჩევანის საშუალებაში, თუ აი, სად ვიმუშავებდი მაგალითად და ა.შ.“ (რ24. თმ. 5ნ. 27.05.2024).

ეს მონათხრობი ცხადყოფს, რომ ეკონომიკური სიდუხჭირის ინტერსექცია სოციალურ ექსკლუზიასა და პოლიტიკურ უგულებელყოფასთან, ქვიარ ადამიანებს დაუძლეველი უპერსპექტივობის განცდას უჩენს და მარგინალიზაციის ფართო და მონოლითურ სისტემას ქმნის.

ქვიარ თემი – უსაფრთხო ნავსაყუდელი?

საზოგადოებრივი, ეკონომიკური, ინსტიტუციური და პოლიტიკური უარყოფის პირობებში, მიკუთვნებულობის ძიების კვალდაკვალ, ქვიარ ინდივიდები სხვადასხვა მიკროსოციუმში ნავიგირებენ. რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის პირველადი ოჯახი და ქვიარ თემი ერთგვარი კონტრასტული რეალობებია: პირველში ხშირად მანიფესტირდება მტრული საზოგადოებრივი დინამიკა, ხოლო თემი, მიუხედავად თავისი პრობლემებისა, მრავალი ქვიარისთვის თავშესაფრის ფუნქციას ითავსებს.

* * *

როგორც უკვე ვნახეთ, რესპონდენტთა დიდი ნაწილი საუბრობს პირველადი ოჯახის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობაზე და უთანხმოება განსაკუთრებით მწვავდება იდენტობის საჯაროდ გამხელის ან აქტივიზმში ჩართვის შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში, საზოგადოების მხრიდან გარიყვის, ჭორაობის და, ზოგჯერ, უშუალო დაპირისპირების ობიექტები ოჯახებიც ხდებიან. ეს კონფლიქტები ხაზს უსვამს ჰომოფობიის გამრიყავ ეფექტს, რომელიც მას არათუ ქვიარ ინდივიდებზე, არამედ მათ პირველად ოჯახებზეც აქვს. თუმცა, ასევე, წარმოაჩენს ყველაზე ახლობელი ადამიანებისგან უპირობო მხარდაჭერის დეფიციტს ქვიარ ინდივიდების მიმართ, რასაც ისინი ხშირად განსაკუთრებული გულისწყვეტითა და იმედგაცრუებით, ხოლო ზოგჯერ, ბრაზითაც იხსენებენ.

„ყველაზე მეტად ჩემთვის ოჯახის მომენტი იყო და პირველ სირთულეზე ეს მეწყება შინაგანი. მე ხშირად დამალვა მიწევდა საქმიანობის და ყველაფრის აბსოლუტურად. დამალვით რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ მე თვითონაც უფრო ძლიერი ვიქნებოდი და სხვისთვისაც უფრო ძლიერი მხარი მექნებოდა. ძალიან კარგი იქნებოდა ოჯახის მხრიდან მხარდაჭერა, იმიტომ რომ სხვა ასეთი მნიშვნელოვანი არ არის“ (რ25. მ. 2წ. 14.06.2024).

„ჩემი დის გარდა, გვერდს არავინ მიძლიერებდა. ერთადერთი ადამიანი იყო ჩემი და, რომელსაც ერთი დღეც კი არ შეუწყვიტავს ჩემთან კონტაქტი. ადრე აპარატები იყო, ფულს ჩააგდებდი და სახლის ნომერზე რეკავდი. ვრეკავდი ხოლმე, საათობით ველაპარაკებოდი ჩემს დას, როდესაც დედაჩემი და მამაჩემი სამსახურში იყვნენ. [...] მამაჩემის თავიდან მეშინოდა. მთელი ცხოვრება იმას ამბობდა, სხვებს დავცინოდი და შვილი ეგეთი გამიჩნდაო. ხო და სულ იმას ვეუბნებოდი, იმიტომაც არ უნდა დასცინო არავის, იმიტომ რომ არ იცი, ხვალ--ზეგ შენ რა მოგივა-თქო და მე ნორმალური ვარ სრულიად, ავადმყოფი არა ვარ-მეთქი, როგორც გგონიათ ზოგ-ზოგიერთებს და გიწვეთებენ მაგ ტვინში-მეთქი. ვუთხარი, მე შენთან, როგორც შვილი, არასდროს ჩავჭრილვარ და როგორც მშობელი, ნუ ჩაიჭრები ჩემთან-მეთქი“ (რ19. თმ. 3წ. 01.05.2024).

პირველად ოჯახებში გამოცდილი მძაფრი კონფლიქტებისა თუ ამბივალენტური ურთიერთმიმართებებისგან კონტრასტულად განსხვავდება ქვიარ თემი, რომელიც ბევრი რესპონდენტისთვის მხარდაჭერისა და მიკუთვნებულობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სივრცეა. რესპონდენტთა დიდი ნაწილი საუბრობს თავისუფალი თვითგამოხატვის, გამოცდილებათა გაზიარების და განკითხვისგან დაცლილი ურთიერთობების დადებით გავლენაზე მათ სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, რაც თემში სოციალიზაციის კვალდაკვალ ერგოთ.

ამ მიმართულებით, სხვადასხვა ასაკის, იდენტობისა და წარმომავლობის რესპონდენტები, პირველ რიგში, სათემო არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილს ასახელებენ. ეს უკანასკნელნი ჯანდაცვის, სამართლებრივ,

ფსიქო-სოციალურ პრაქტიკულ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ მრავალი ქვიარისთვის და, მათ შორის, რესპონდენტების დიდი ნაწილისთვის საქართველოში ცხოვრების პერიოდში თუ მას შემდეგ. თუმცა, ამის გარდა, ქმნიან სივრცეს ჭეშმარიტი კავშირებისა და სოლიდარული ქსელების ხელშეწყობისათვის. ყველაზე ხშირად, ინდივიდთათვის თემთან მიკუთვნებულობის წყაროდ ინფორმაციული და საგანმანათლებლო შეხვედრები, ჯგუფური თერაპიები და, ასევე, საკლუბო ღონისძიებები სახელდება, რაც ჰომოფობიურ გარემოსთან გამკლავებას ერთიორად ამარტივებს.

„პირველ ეტაპზე ჩემი ლგბტ ცხოვრების, ეს იყო ძალიან დიდი მორალური მხარდაჭერა, შეიძლება გაუცნობიერებელიც კი, თემის მხრიდან. იქ [ერთ-ერთი სათემო ორგანიზაციის ოფისი, 2010-იანი წლების დასაწყისი] იყო ერთადერთი ადგილი, სადაც მე ვგრძნობდი თავს თავისუფლად. ეს ძალიან მეხმარებოდა ენერგიის მოკრებაში, რომ ორმაგი ცხოვრება გამეგრძელებინა, ჩვენი ოფისის გარეთ“ (რ14. თმ. 2წ. 11.04.2024).

„თავიდან ძალიან ხშირად მოვდიოდი ხოლმე, თითქმის ყოველ შეხვედრაზე და ყოველთვის მშვიდად ვგრძნობდი თავს. ერთადერთი, სანამ შემოვიდოდი ხოლმე, სულ მაქვს ეგ ჩვევა, სულ ვიხედები უკან, ვინმე ხომ არ არის ისეთი. შესვლის წინ და გამოსვლის მერე, ვიღაცა დეგენერატი ხომ არ მომდევს, თორემ შიგნით ოფისში ყოველთვის მშვიდად ვიყავი ხოლმე და ვცდილობდი, ყველანაირ აქტივობაში მიმეღო მონაწილეობა, რაც იყო ხოლმე“ (რ10. თმ. 2წ. 06.04.2024).

„თვითრეალიზება მე [ერთ-ერთი სათემო ორგანიზაციის ოფისი, 2010-იანი წლების დასაწყისი] მივიღე. პირველად, როდესაც მივედი, თავი ვიგრძენი ადამიანად, რადგან არ დამჭირდა თამაში. ვიყავი ის, რაც ვიყავი და არ მრცხვენოდა ამის და არ მეშინოდა, რომ ვიღაც რაიმეს სხვანაირად მეტყოდა, სხვანაირად მომექცეოდა. თუმცა, სამი თვის შემდეგ ისეთი რაღაც გადავიტანე... ეს იყო კოშმარი“ (რ1. თმ. 3წ. 11.03.2024).

„ძირითად დროს, და იყო ხოლმე კვირები, რომ სულ თბილისში ვრჩებოდი ხოლმე, მეგობრებთან ერთად. კი, ანუ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და პირველი მხარდამჭერი მხოლოდ თემი იყო, თემის წევრები და სხვა, თემის გარეთ – არა“ (რ24. თმ. 5წ. 27.05.2024).

„ზუსტად ეგ იყო როცა შეგეძლო გასულიყავი რაღაც ქვიარ ივენთებზე, იქ უფრო გრძნობდი მხარდაჭერას, ჩემთვის ეგრე იყო, ერთ-ერთი ნათელი წერტილი, რაღაც უსაფრთხო ადგილები“ (რ16. თმ. 1წ. 07.04.2024).

თუმცა, რამდენადაც თემი მრავალი ქვიარისთვის ნავსაყუდლის ფუნქციას ითავსებს, რესპონდენტები შიდასათემო პრობლემებსა და უთანხმოებებზეც ვრცლად საუბრობენ. ზოგიერთი მათგანი აღწერს იმ კრიტიკულ დინამიკას, რაც საქართველოში ქვიარ თემს ახასიათებს – ექსკლუზია, იერარქია და უთანასწორობა. ამის მაგალითად სხვადასხვა რესპონდენტი ასახელებს ტრანსფობიას, ბიფობიასა და მიზოგინიას. თუმცა, თემის ამ გენდერული იდენტობითა თუ სექსუალობით განსაზღვრულ ქვეჯგუფებშიც ხშირია დაპირისპირებები და უთანხმოებები სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე.

ასეთია, მაგალითად, ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც ერთგვარ წყალგამყოფად სახელდება. რესპონდენტთა ნაწილი ხაზს უსვამს, რომ სიმდიდრე და სოციალური სტატუსი თემში დაძაბულობასა და იერარქიას წარმოშობს, რაც ფართო საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობას იმეორებს. ზოგიერთისთვის ეს ბარიერს უქმნის სოლიდარული კავშირის მშენებლობას, რისი მოლოდინიც თემისგან არსებობს. ამას აღნიშნავენ როგორც რიგითი თემის წევრები, ისე ისინი, ვინც საქართველოში ქვიარ აქტივიზმსა და სათემო სამუშაოში იყვნენ ჩართული.

„რეალურად, თემის წევრებშიც არის ძაან გავრცელებული, რომ ვისაც აქვს საშუალება, ის უფრო კაი ტიპი ჩანს და ვისაც არ აქვს, ის ვაბშე არავინ არ არის. რეალურად, ეგ განსხვავება ჩვენთანაც არის. ძაან არის თან“ (რ23. თმ. 2წ. 15.05.2024).

„ვიღაცას მეტი აქვს, ვიღაცას ნაკლები, ეგ ყველა ფენაში

და სფეროშია. ვისაც მეტი აქვს, თავში აქვს ავარდნილი და ჰგონია, რომ სულ ექნება, მაგრამ ძაან ბევრი მინახავს მერე დაცემული და ნანობდა, რატომ ვიქცეოდი ასეო. ადამიანს, რომელსაც კარგი ცხოვრების მეტი არაფერი აქვს ნანახი, ის ცუდი ცხოვრება ძაან მტკივნეულად მოვა მასთან" (რ19. თმ. 36. 01.05.2024).

სოლიდარული ქსელის ფორმირების საქმეში ბარიერად ცენტრსა და პერიფერიას შორის უთანასწორობაც სახელდება. რესურსები და შესაძლებლობები, რაც თბილისშია თავმოყრილი, ხშირად არ არის ხელმისაწვდომი რეგიონებში, მათ შორის – არც დიდ ქალაქებში, სადაც ქვიარ სათემო ცენტრები ფუნქციონირებს. ამის გათვალისწინებით, თბილისის მიღმა ცხოვრების გამოცდილების მქონე რესპონდენტები განსაკუთრებულად იზოლირებულად გრძნობდნენ თავს და მეტად იყვნენ მოკლებული მნიშვნელოვან კავშირებს ცენტრთან. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი რესპონდენტი ჰყვება თავისი უაღრესად დადებითი გამოცდილებების შესახებ დიდ ქალაქებში, კერძოდ, ბათუმსა და ქუთაისში არსებულ ქვიარ სათემო ცენტრებში, რომლებიც მათ ძირითადად ცნობიერების ამაღლების, სოციალიზაციისა და მჭიდრო კავშირების დამყარების შესაძლებლობას აძლევდა.

„ორგანიზაციებში მე დავდიოდი, მაგალითად, ქუთაისში, „იდენტობას" რომ ჰქონდა ხოლმე შეკრებები, სასწავლებელი ისინი რომ იყო, ბათუმშიც. ლექციებს და იმეებს რომ აწყობდნენ, მანდ დავდიოდი, იმიტომ რომ ჩემთვისაც საინტერესო არის, რომ შევისწავლო რაღაცეები, მაგრამ ეგეთ შეკრებებზე და მიტინგებზე, თვითონ რომ არ იციან, რას აკეთებენ თბილისში, ბოდიში და, მაგიტომ ნაღდად არ მქონია სურვილი მაგის" (რ23. თმ. 26. 15.05.2024).

ზოგიერთი რესპონდენტი მეტად კრიტიკულია საკუთარ შეფასებებში და საერთოდაც ეჭვქვეშ აყენებს საქართველოში ქვიარ თემის, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური ერთობის არსებობას. ამ ყველაფრის საფუძვლად ისინი ტოქსიკურ უთანხმოებებსა და დაპირისპირებებს მიიჩნევენ, რომლის მიზეზადაც ზოგიერთი სწორედ აღწერილ უთანასწორობებს ასახელებს, რაც ირეკლავს მანკიერ საზოგადოებრივ ძალაუფლებრივ დინამიკას.

„თვითონ თემშიც, რაღაც მომენტში, მასისგან განსხვავებულების გაგება უჭირთ, მაგალითად, ნონბაინერი ადამიანის. ძაან ბევრჯერ ყოფილა, რომ ვზივარ ძაან ბევრ გეიში და თავს უცხოდ ვგრძნობ. არ მქონდა რა ეგ წარმოდგენა, მაგრამ რაღაც კონკრეტული მნიშვნელობები აქვთ რა, რომ გეი თუ ხარ – ეს, ლესბოსელი თუ ხარ – ეს და ჩარჩოებში აქცევენ. [...] ქვიარ ადამიანებში შევამჩნიე, რომ იყვნენ ჰომოფობი ადამიანები. ეგეთ რაღაცას ვერც ვიფიქრებდი, ანუ ზიზღი გეებსა და ტრანსებს შორის, ტრანსებს და ლესბოსელებს შორის, ანუ ეს ზიზღი ერთმანეთში. ამხელა ზიზღს რომ ვხედავდი“ (რ8. თმ. 2წ. 20.03.2024).

„თავს აღვიქვამდი ტრანსგენდერად, მაგრამ მერე მაგის გამო ურთიერთობაში პრობლემები მქონდა და ამიტომ მერე უფრო ვამბობდი ხოლმე, რომ ვარ ლესბოსელი. ეხლა, რადგან ვარ მარტო, შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რასაც განვიცდი და ვგრძნობ და ვთქვა, რომ ვარ ტრანსგენდერი. დეკემბერში გახდება ჩემთვისაც ორი წელი, რაც წამოსული ვარ“ (რ23. თმ. 2წ. 15.05.2024).

„თბილისში მაგ ადგილებში სულ გეი კაცები და ტრანსი ქალები არიან. ლესბოსელები უფრო ფერადკანიანების ბარებში“ (რ22. თმ. 2წ. 15.05.2024).

„საინტერესო ჩემთვის ის არის, რომ საქართველოში თემის ნაწილად არ ვგრძნობდი მე თავს. ალბათ არასოდეს. იმიტომ, რომ არ ვგრძნობდი i didn't feel welcome [მიღებულად არ ვგრძნობდი თავს], რამდენიმე ნეგატიური გამოცდილებაც მქონდა ამასთან დაკავშირებით, მაგ დროს თავს ვაიდენტიფიცირებდი ბისექსუალად და ასეთი უკუკავშირი მივიღე, რომ შენ თუ რახან დეითინგობ კაცთან, come on, you're just trying to be interesting [კარგი რა, უბრალოდ ცდილობ, საინტერესო გამოჩნდე], ანუ ეს ბიფობია ყველანაირი იმითი და ამიტომ არ გამჩენია სურვილი, რომ იმ ხალხთან მქონოდა, იმ ქვიარ თემთან მქონოდა ურთიერთობა. ძაან დიდი ხნის

განმავლობაში დამრჩა ის, რომ what is happening [რა ხდება?], განცდა, რომ ნამდვილად... რა ვარ? რა ლეიბლი დავადო ჩემ თავს?" (რ5. მ. 4წ. 19.03.2024).

„მიკუთვნებულობა თემის და, ზოგადად, ის, რომ რაიმე თემი არსებობს, საქართველოში არასდროს არ მქონია. ასე შორიდან, ნაცნობობით და რაღაც ყურმოკრული ინფორმაციებით, მე ვერასდროს ვხედავდი, ნუ, ერთმანეთს ვიღაცები ეხმარებოდნენ, მაგრამ ასე, როგორც თემი, საქართველოში შეკრული ქვიარები არასდროს არ ყოფილან და არც ახლა არ არიან. უფრო მეტად არის ეს დაპირისპირებები და შიდა ჩახლართული ადამიანური მოტივებით, ზურგს უკან ან თუნდაც პირში არასასიამოვნო, ცუდი რაღაცების გაკეთება" (რ7. თმ. 3წ. 20.03.2024).

ამ უკანასკნელთა ნაწილისთვის, ქვიარ თემში ერთიანობისა და ინკლუზიურობის პრობლემა ფრუსტრაციისა და იმედგაცრუების წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ მიკუთვნებულობისა და კავშირების მნიშვნელობას, ისინი ხაზს უსვამენ ქვიარ სივრცეებში მეტი ინკლუზიის, თანასწორობისა და ინტერსექციური თანამშრომლობების კრიტიკულ აუცილებლობას.

მიკროსოციუმებს, ანუ პირველად ოჯახსა და ქვიარ თემს შორის ნავიგირების გამოცდილების კომპლექსურობა საქართველოში ქვიარად ცხოვრების ერთგვარ ილუსტრაციას გვთავაზობს. ეს დინამიკა მცირემასშტაბიან, პრივატულ სივრცეებში ირეკლავს ფართო საზოგადოებრივ მანკიერ ძალაუფლებრივ დინამიკას. ხოლო მიკუთვნებულობასა და უპირობო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის სირთულეც აჩვენებს ქვიარ ადამიანების მარგინალიზაციის სისტემურ ბუნებას.

ქვიარ აქტივისტებისა და სათემო მუშაკების სპეციფიკური გამოცდილება

როგორც უკვე ვთქვით, ქვიარ აქტივისტებისა და სათემო მუშაკების, მათი შრომის როლი მრავალი ქვიარისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, ამასთან, ის სავსეა სპეციფიკური გამოწვევებით. გამოკითხული ქვიარ მიგრანტების მონათხრობის მიხედვით, ვისაც საქართველოში

აქტივიზმისა და სათემო მუშაობის გამოცდილება აქვს, ამ საქმიანობაში ჩართვისა და შრომის მიზანი, უპირველესი მოტივაცია, უსაფრთხო და სოლიდარული კავშირების გასაბმელად, ცოდნის გასავრცელებლად სივრცის შექმნა და ამ მარგინალიზებული ჯგუფისათვის სხვადასხვა საშუალებით სისტემური უსამართლობით მიღებული ზიანის კომპენსირება იყო. არაერთი რესპონდენტისთვის აქტივიზმში ჩართვა ინდივიდუალური თვითგამორკვევის პროცესსაც ემთხვევა და, ზოგჯერ, სხვა, უფროსი აქტივისტების მიერ არის შთაგონებული, ზოგჯერ კი – ემანსიპატორული იდეების რწმენით ანდა აკადემიური ინტერესით. ამ გზაზე, აქტივისტები და სათემო მუშაკები მრავალ წნეხს აწყდებიან, კომპლექსური სირთულეები მრავალ მათგანს ტოვებს გარდამტეხი პირადი და პროფესიული გამოწვევების წინაშე, რაც ყველაზე ხშირად ორგანიზაციულ სტრუქტურებთან უთანხმოებაში, გადაწვასა და იმედგაცრუებაში ვლინდება.

> *„[აქტივიზმისა და სათემო მუშაობაში ჩართვის] ძირითადი მამოტივირებელი ეს იყო, რომ მსიამოვნებდა, რომ რაღაც პატარა-პატარა წვლილი შემქონდა თემის წევრების ყოველდღიურობის გაუმჯობესებაში“ (რ24. თმ. 5წ. 27.05.2024).*
> *„მქონდა ეს შეგრძნება, რომ ეხლა [2003-04 წლები] რაღაცა ამ პრობლემებს ერთად მოვაგვარებთ და ყველაფერი უკეთესობისკენ იქნება. ის რაღაცა ცუდის პიკი იყო ეს 90-იანების სიღარიბე, უშუქობა, რისი გამოცდილებაც ჩვენს თაობას ძალიან დიდხანს ჰქონდა. მაგ პერიოდში შემექმნა ის შეგრძნება, რომ კი, შეიძლება სიტუაცია ცუდი არის ქვეყანაში, მაგრამ რაღაც კოლექტიური თანხმობა და კონსენსუსი არსებობს, რომ ჩვენ ეხლა, ახალგაზრდები ვინც ვართ, იმიტომ რომ ამ ჩვენმა მშობლებმა იმდენი იწვალეს 90-იანებში, რომ ჩვენ ეხლა ერთად შევეჭიდებით ამ პრობლემებს და წავალთ ევროპისკენ“ (რ26. მ. 7წ. 11.06.2024).*

> *„როგორც გეი აქტივისტმა, როგორ გავიხსენი და როდის დავიწყე აქტივიზმი, ეს იყო, ძაან ხმამაღლა ვამბობ ამას ყოველთვის, 2013 წლის 17 მაისის შემდეგ. უდიდესი სირცხვილი მომაწვა და ეს ადამიანები, პრინციპში, მაშინ მრცხვენოდა, რომ პირველი მათ მოხვდათ ის ხელი და მე არა და მერე იყო*

ფილმი, „დედა, მამა, მე გეი ვარ“,[4] მე საერთოდ მაშინ ვნახე პირველი ცოცხალი ადამიანები გეები, ეგ იყო ჩემთვის მოტივაციაც და ყველაფერიც“ (რ28. თმ. 5წ. 06.06.2024).

„ერთმანეთთან კავშირი და უსაფრთხო სივრცის შექმნა. ასევე, რაღაც ინფორმაციის მიწოდება თემისთვის, რომელიც მათ საერთო საზრუნავს გაუჩენს. ლოგიკურია, უნდა გეკეთებინა რაღაც ისეთი, რაც მერე თოვლის გუნდის პრინციპით გამოიწვევდა კიდევ უფრო დიდ ერთობას. ასე ვუყურებდი, რომ ორგანიზაციის გარდა, გაზიარებული ცოდნა მიდიოდა ისეთ ადამიანებამდე, რომლებიც მართლა მზად იყვნენ ეწარმოებინათ ესეთი თვალდახუჭული სამუშაო საკუთარი თემისთვის, რომელთაც ქონდათ ლიდერობის, არა ორგანიზაციულად მინიჭებული, არამედ საკუთარი თავისგან მინიჭებული ძალა, რაც ძაან მნიშვნელოვანი იყო. ესენი ერთად იყრიდნენ თავს, კიდევ უფრო მეტი ძალის წარმოსაქმნელად“ (რ20. მ. 6წ. 10.05.2024).

„სურვილი და მოტივაცია იყო, რომ ქვიარ ქალები არიან, არსებობენ და ტრანსი ადამიანები და არაბინარული, მაგრამ... არ არიან დაკავშირებული ამ სათემო ორგანიზაციასთან, არ არიან დაკავშირებული აქტივიზმთან, მათი პოლიტიზაციაა საჭირო. ზოგადად, თემის შექმნაა საჭირო, რისთვისაც გვინდა, რომ მოძრაობა იყოს და, ზოგადად, რომ გაუმჯობესდეს ეს თემის ცხოვრება, ამისთვის ძაან მნიშვნელოვანია, იყოს“ (რ27. მ. 11წ. 7.06.2024).

„ერთი ის არის, რომ თემთან მუშაობა იყო ჩემთვის ძაან მნიშვნელოვანი, ეგ იყო ახლოს გულთან. კი, იქ საერთაშორისო დონეზეც ვიყავი ჩართული რაღაც ორგანიზაციის წარმომადგენლობაში და ა.შ., მაგრამ უფრო თემში მუშაობაზე მქონდა ეს ვნება“ (რ9. მ. 6წ. 23.03.2024).

4 „დედა, მამა, მე გეი ვარ“ – ლია ჯაყელის დოკუმენტური ფილმი (StudioMobile – Accent on Action, 2013).

* * *

უთანასწორობის ის განზომილებები, რაც თემის შიდა დინამიკას ახასიათებს, სათემო არასამთავრობო ორგანიზაციების შიგნითაც მეორდება და, როგორც თავად აღწერენ, არაჯანსაღ კონფლიქტებს აჩენს. აქტივიზმისა და სათემო მუშაობის გამოცდილების მქონე რესპონდენტები ხშირად ბრაზითა და წუხილით ჰყვებიან მათი გენდერით, სოციალური სტატუსით, მუშაობის გეოგრაფიული ადგილითა და ასაკით განპირობებული დისკრიმინაციის თაობაზე, რაც დომინანტური ჯგუფების მხრიდან ხვდებოდათ. ქვიარაქტივისტურ სივრცეებში, რომელიც გამოკითხულთათვის იდეალისტურად, წინასწარი წარმოდგენით, ინკლუზიისა და თანასწორობის მიკრომოდელი უნდა იყოს, ხშირია მათთვის უკიდურესად იმედგამაცრუებელი ჩაგვრისა და უსამართლო მოპყრობის შემთხვევები.

ინტერვიუების დროს, რესპონდენტების მიერ, ქვიარ სივრცეებში რამდენიმე ტიპის თვისებრივად ერთმანეთისგან განსხვავებული დომინაციის ფორმა დასახელდა: **სისგენდერი გეი კაცების** დომინაცია, რომელიც რესურსებისა და გავლენისკენ სწრაფვით ხასიათდება, უკიდურეს შემთხვევაში იყენებს ისეთ ძალაუფლებრივ ბერკეტებს, როგორიცაა თანამშრომლების კონტროლი, შანტაჟი და პირადი განვითარების შესაძლებლობების შეზღუდვა; **ლეგალისტი ფემინისტების დომინაცია,** რომელიც ქვიარ ინდივიდების მიმართ ნაკლები სოლიდარობით ხასიათდება და აღიქმება, რომ ჩრდილავს და განდევნის არაფორმალურ, რადიკალურ ქვიარ და ფემინისტურ აქტივისტურ ინიციატივებს; **ქვიარ-ფემინისტური ორგანიზაციების შიდა დომინირების სისტემა,** სადაც მართალია დანახულია არაფორმალური და რადიკალური ძალისხმევის მნიშვნელობა, მაგრამ ხშირად იგნორირებულია თანამოაზრეებისა თუ თანამშრომლების ინდივიდუალური ბრძოლები და საჭიროებები, რაზე საუბარი ან რომლის შესაბამისად მოქმედებაც სისუსტედ ან ღალატად აღიქმება და განკითხვისა და დამუნათების საგნად იქცევა; **გეოგრაფიული ცენტრის დომინაცია,** რომელიც თბილისში მდებარე ორგანიზაციებისა და ჯგუფების რესურსებზე მეტი ხელმისაწვდომობითაა განპირობებული და, მაგალითად, რეგიონული ოფისების კონტროლში, ძალაუფლების ჩვენებასა და ავტონომიური გადაწყვეტილებების შესაძლებლობების შეზღუდვაში ვლინდება.

* * *

რესპონდენტები ასევე საუბრობენ ამ სივრცეების კიდევ ერთ მანკიერ თავისებურებაზე, რაც რესურსებისთვის მეტოქეობაში გამოიხატება. დაფინანსების საშუალებების სიმწირე ქმნის გარკვეულ კონკურენტულ პირობებს, რომელიც ხშირად აჩენს სხვადასხვა ჯგუფსა და ინდივიდს შორის არაჯანსაღ კონფლიქტებს. ეს კონფლიქტები არა მხოლოდ პოტენციურად ამცირებს ქვიარ აქტივიზმის ეფექტიანობას, არამედ ასევე მტკივნეულ კვალს ტოვებს ინდივიდუალური აქტივისტების მოტივაციასა და შრომისუნარიანობაზე.

დაფინანსების საშუალებათა სიმწირე, ეკონომიკური სიდუხჭირე და უკეთესი პირობებისთვის ბრძოლის რწმენა აქტივიზმს სპეციფიკურ შრომით კატეგორიად აქცევს საქართველოში. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა ნაწილს, ფორმალური აქტივიზმის შემთხვევაშიც, – ანუ როდესაც ისინი დასაქმებული არიან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში, – ორ ან მეტ ადგილას მუშაობა უწევთ. და მაშინაც კი, როდესაც ისინი სრული განაკვეთით არიან დასაქმებული, განსაკუთრებით რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ანაზღაურება უკიდურესად დაბალია, ხოლო სამუშაო დატვირთვა – ზოგჯერ გაუსაძლისად მძიმე.

აქტივისტური შრომის გაუსაძლისად მძიმე ბუნებაა სწორედ ის საკითხი, რომელიც ხშირად გვხვდება აქტივისტების და სათემო მუშაკების მონათხრობში. რესპონდენტები აღწერენ შრომის მუდმივ მოთხოვნას, რომელიც მათ უწყვეტ რეჟიმში მუშაობის შინაგან ვალდებულებას უჩენდა. ზოგიერთი მათგანისთვის ეს ავტონომიური, შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებისა და ერთგვარი წინააღმდეგობის ფორმაც კი იყო: როდესაც ძირითადად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, პროექტით განპირობებული, ამოცანებზე ორიენტირებული პრინციპით მუშაობა არ კმაროდა რეალურად განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, თემის საჭიროებების საპასუხოდ მეტი ძალისხმევის, ზეგანაკვეთური შრომის აუცილებლობა დგებოდა.

> *„როცა დირექტორი წერს პროექტს, დიდად არ აინტერესებს და შენ ცხვირს ვერ ყოფ, სამუშაოში ხარ დამოუკიდებელი და არა დონორებთან ვალდებული. ვამჩნევდი, რომ ჩემი სამუშაო საათები გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, რომ შესრულებულიყო ესა თუ ის საქმე, რაც იყო განსაზღვრული და დონო-*

რის მიერ მოცემული ფინანსები ვერანაირად ვერ წვდებოდა დასახულ გეგმებს. იმდენად რთული იყო მაშინდელი სამუშაო პირობები და მოცემული ბიუჯეტი ან თუნდაც დრო. მაგრამ დროსთან დაკავშირებით პრობლემა არ იქნებოდა ისევ იმის ხარჯზე, რომ დამატებით სამუშაოს ვიღებდი თავზე. თითქმის ყოველდღე. თვეები გადიოდა ესე, რომ მე უნდა მემუშავა 10-12-14 საათი, ხანდახან შაბათი, კვირა, იმიტომ რომ ვმუშაობდი ორ და სამ ქალაქში. მაგრამ ეს იყო საჭირო შრომა ნდობის მოსაპოვებლად. შენ უნდა ყოფილიყავი უსაფრთხო. რაც უფრო ადრეულია დრო, მით უფრო მნიშვნელოვანია ეს უსაფრთხოება. დასაწყისში, ალბათ, ნებისმიერი, თუნდ პატარა გადაცდომაც კი, ითვლებოდა ძალიან სერიოზულ პრობლემად" (რ20. მ. 6წ. 10.05.2024).

აღსანიშნავია, რომ ეს ქცევა ხშირად გადიოდა ორგანიზაციული იერარქიული სუბორდინაციის წესრიგიდან, რასაც ამ კონკრეტული რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანი ავტონომიურობის, საქმეში დამოუკიდებლობისა და კმაყოფილების განცდა მოჰქონდა.

საზრისის ერთგულებითა და ცვლილების რწმენით ნაკარნახევ თავდადებულ ძალისხმევას ზოგიერთი რესპონდენტი რეტროსპექტიულად თვითექსპლუატაციად, ზოგიც – ბუნებრივ მოცემულობად აღიქვამს. ყველა შემთხვევაში, სხვა აღწერილ ორგანიზაციულ და სათემო გამოწვევებთან ერთად, რესურსების სიმწირის პარალელურად, მისი შედეგები როგორც ფსიქო-ემოციურ, ისე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, გარდაუვალია.

„ეს მუშაობაც გაძლევს ბევრს, არ გტოვებს სამყაროში მარტო... მაგრამ, მერე კიდევ უფრო დიდი კითხვები შემოდის: გაუძლებს თუ არა ამას შენი ნერვული სისტემა და რას ისურვებდა შენი ნერვული სისტემა, რომ ყოფილიყო უფრო მყარი. ხვდები, რომ შენი ნერვული სისტემა ამას ვერ გაუძლებს – ძალიან აშკარაა ამაზე პასუხი" (რ20. მ. 6წ. 10.05.2024).

„თითქმის ყველას ორგანიზაციაში გვებარა რამდენიმე პროექტი ერთდროულად. და ეს ხელს უწყობს გადაწვას. იმასთან ერთად, რომ შენ თან სულ, ამ პროექტების განხორციელების

პარალელურად, უნდა იფიქრო, როგორ მოიძიო ახალი, იმიტომ რომ სხვანაირად სტაფს ვერ შეინარჩუნებ. და ნუ, ეგეც იყო ალბათ, ყველაზე მეტად რამაც დამაზიანა ზოგად ფონთან ერთად" (რ26. მ. 7წ. 11.06.2024).

„ჩემი გამოცდილებიდან, სამუშაო და ცხოვრება-სამსახურის ბალანსის არარსებობა იმიტომ, რომ რესურსი არასდროს არის საკმარისი. chasing deadlines [ბოლო ვადების დევნა] არის ყოველთვის, ყოველთვის მუშაობ, მახსოვს, იმეილებს ვაგზავნიდი ახალი წლის საღამოს, პირველი რომ თენდებოდა, ანუ, მოლოდინიც არის, რომ ხელმისაწვდომი ხარ სულ, ყოველთვის თითქოს მზად უნდა იყო დისკუსიაში შესასვლელად, ყოველთვის აბჯარი გაქვს ასხმული, ვერ დუნდები. ეს ძალიან ცუდ გავლენას ახდენს, ჩემზე მოახდინა, ყოველი შემთხვევისთვის, ძალიან ცუდი გავლენა მენტალურად. [...] რეალისტური არ არის, რომ ადამიანი 24 საათი კვირაში 7 დღე ხელმისაწვდომი იქნება შენთვის. ის 8 საათი ან რამდენი საათიც არის დღეში, უნდა იყოს – ადამიანი წავიდა და სხვა საქმეებიც აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი გაგებით გვიწევს იმიტომ, რომ გამოწვევები გვაქვს სოციო-ეკონომიკური თვალსაზრისით, გვჭირდება რესურსები ან უბრალოდ ეს მოტივაცია გვაქვს, რომ მნიშვნელოვანია ეს საქმე ჩვენთვის და გვინდა, რომ საუკეთესო გავაკეთოთ, რაც ბოლოს გვწვავს" (რ5. მ. 4წ. 19.03.2024).

„burnout [გადაწვა] არ იყო მხოლოდ იმის, რომ, ვთქვათ, ოფიცრად ვმუშაობდი. იქ იყო შიდა ორგანიზაციული პრობლემებიც, რამაც ხელი შეუწყო. მგონი, რომც არ მქონოდა დაგეგმილი საქართველოდან წამოსვლა, მაინც შევწყვეტდი [სათემო ორგანიზაციაში] მუშაობას, სამწუხაროდ" (რ9. მ. 6წ. 23.03.2024).

აქტივისტებსა და სათემო მუშაკებს ხშირად უჭირთ პირად და სამსახურებრივ ურთიერთობებს შორის ზღვრის დადგენა, რაც სპეციფიკურ ინტერპერსონალურ დინამიკას და დამატებით სირთულეებს ქმნის.

„იყო 24-საათიან კონტაქტზე თემის წევრებთან, ფიზიკურ სივრცეში და მერე ვირტუალურადაც, ანუ უამრავ ადამიანთან ინტენსიური კონტაქტი. ეს ნიშნავს ასევე ინტენსიურად პირისპირ თემის წევრების პრობლემებთან, რაც საკმაოდ ტვირთია და სჭირდება რაღაც სპეციფიკური მუშაობა საკუთარ თავზე, რომ ეს ძალიან არ შემოვიდეს შენში“ (რ9. მ. 6წ. 23.03.2024).

„ძალიან რთულია, კონკრეტული ურთიერთობები რომ გაიმიჯნოს, ანუ ბარიერები ირღვევა ყველანაირი. თუნდაც ის, რომ აი, როდესაც ვმუშაობდი და მეგობარს უწევ სერვისს, ამ დროსაც, რა თქმა უნდა. ყოველდღიურობაში ირღვეოდა ის ბარიერები, რაც უნდა იყოს დაბალანსებული, თუ როგორ გაქვს კომუნიკაცია მეგობართან და როგორ უნდა გქონდეს შენს ბენეფიციართან თუნდაც ან თუნდაც შენს კოლეგასთან“ (რ24. თმ. 5წ. 27.05.2024).

აქტივისტებისა და სათემო მუშაკებისთვის სპეციფიკურ სირთულეს ქმნის საკუთარი ცხოვრებისა და პროფესიული როლების გამიჯვნა, რაც ზოგიერთისთვის ბუნებრივ და ლოგიკურ მოცემულობადაა აღქმული, თუმცა, უმეტესობა აღნიშნავს მისგან მიღებულ ზიანს, რაც ხშირად მეორადი ტრავმატიზაციისა და პროფესიული გადაწვის გამოცდილებებში ვლინდება.

„ჩემთვის პირადად, ყველაზე დამამძიმებელი ალბათ იყო ემოციური კუთხიდან, რაღაც ზღვრების არარსებობის და მთლიანად, რასაც მე ემპათიას ვეძახი, ცოტა ჩემი ალბათ არაჯანსაღი იყო ან გადამწვარი, არ ვიცი. ანუ, ემოციურად აღარდარჩენა, სად იწყები, სად მთავრდები, სხვა ადამიანი, სხვა ადამიანები სად იწყებიან, სად მთავრდებიან, ანუ მთლიანად გადართვა იმაზე, რომ შენ უნდა დაეხმარო. ჩემი აცდენაა ამაში და ჩემი პრობლემაა, თუმცა ხო, ყველაზე რთული ეს იყო, როცა ემოციურად მთლიანად გადართული ხარ. სხვადასხვა ადამიანების სხვადასხვანაირი გამოცდილებების მთლიანად შენზე გადმორთვა და ყველანაირად გახსნა,

რაც კარგია, მაგრამ ჩემი მხრიდან, ბევრ შემთხვევაში, იყო დაკარგვა ან შეზღუდვა ჩემი ემოციური მომენტის ჩაკეტვის, რის გამოც მთლიანად ვიყავი მიმღები სხვადასხვა ემოციის და ამის გადამუშავების. ყოველთვის ჯანსაღად არ გამომდიოდა" (რ25. მ. 26. 14.06.2024).

რამდენადაც ამ სფეროში საქმიანობას, გამოკითხულები, უპირველესად, სოციალური გარემოს, ქვიარ თემისა და ინდივიდების მდგომარეობის გაუმჯობესების იდეალისტური მიზნით იწყებენ, იმდენად გამოფიტულად და უძალოდ გრძნობენ თავს გარკვეული პერიოდის შემდეგ.

ზოგიერთისთვის გადაწვა კავშირშია დაუფასებლობისა და არაღიარების განცდასთან. ეს განცდა, რომელიც თითქმის ყველა რესპონდენტს აერთიანებს, აქტივისტური შრომის უხილაობაზე მიუთითებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის არ იყენებს მეინსტრიმულ მეთოდებს – მეტად ორიენტირებულია თემის მიკროდონეზე გაძლიერებაზე.

გადაწვას და აღწერილ განცდებს ზოგჯერ მოაქვს იმედგაცრუება და ეჭვები – ობიექტურად, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ინდივიდუალური კონტრიბუცია საერთო კეთილდღეობის საქმეში, რამდენად ღირდა ამისთვის საკუთარი რესურსის დახარჯვა; რეტროსპექტიული სინანული „დაკარგული" წლების, საკუთარი რესურსების უმიზნოდ მიმართვის გამო.

გადაწვის, იმედგაცრუების, ეჭვებისა თუ სინანულის მიუხედავად, რესპონდენტებისთვის, უფრო ხშირად, განცდისეულად წამყვანი იმ საზრისების რწმენაა, რის გამოც ჩაერთნენ აქტივისტურ საქმიანობაში. როგორც უკვე ვთქვით, ეს საზრისი უპირველესად გულისხმობს ქვიარ ინდივიდებისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფას, სხვადასხვა გზით, მათში იმედის გაღვივებას და, ასევე, მეტად ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობაში წვლილის შეტანას. ეს იდეალისტური საზრისები ხშირად ნაკარნახევია ქართულ სოციალურ და პოლიტიკურ ველზე ქვიარ აქტივიზმის, როგორც მისი აუცილებელი კრიტიკული ელემენტის, მნიშვნელობის გაცნობიერებით. რესპონდენტები საკუთარ როლს ხედავენ არა მხოლოდ მყისიერი საჭიროებების დაკმაყოფილებაში, არამედ, ასევე, სამართლიანობისა და თანასწორობისათვის ბრძოლის უფრო ფართო მოძრაობის ნაწილად.

წასვლის კომპლექსური გადაწყვეტილება

ქვიარ ინდივიდებისთვის, რომელთაც საქართველოში პერსონალური, სოციალური და სისტემური გამოწვევებით სავსე გარემოში უწევთ ნავიგირება, მიგრაციის გადაწყვეტილება იშვიათად არის მარტივი ან სრულად გააზრებული. კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა ისტორიებში, საქართველოს დატოვება ხშირად აღწერილია არა იმდენად როგორც ემოციური არჩევანი, არამედ უფრო ინერციით ანდა სხვადასხვა გარე ფაქტორით, სირთულეებით განპირობებული რეაქცია. თუმცა წასვლა, ხშირად, გადაუდებელი საჭიროება ან ხანგრძლივი ფიქრის შედეგია, რესპონდენტების დიდი ნაწილის თქმით, ეს სპონტანური აქტია – მზარდ გამოწვევებზე პასუხი უფროა, ვიდრე ფრთხილი და ღრმად გააზრებული გეგმა. ეს ტენდენცია ხაზს უსვამს იმ სტრუქტურულ პრობლემებსა და წნეხს, რომლებიც ინდივიდებს მიგრაციისკენ უბიძგებს.

> *„ჩემს შემთხვევაშიც არ იყო დაგეგმილი, იმპროვიზაციით ვთქვი, რომ ვსიო, აქ ჩემი ადგილი არ არის და დავიწყე ფულის შეგროვება, რომ წამოვსულიყავი“ (რ19. თმ. 3ნ. 01.05.2024).*

> *„ძაან სპონტანურად წამოვედი. ეს პროცესები მიდიოდა ჩემში, მაგრამ წამოსვლის მომენტი, რომ რადიკალური გადაწყვეტილება მივიღე, მაინც უცბად მოხდა“ (რ8. თმ. 2ნ. 20.03.2024).*

> *„უბრალოდ, ვენდე ჩემს თავს და მართლა გეუბნები, იმ პერიოდში უბრალოდ მჭირდებოდა გასვლა. პროსტა ისედაც რომ წავსულიყავი და აქ არაფერი გამეკეთებინა და დავბრუნებულიყავი საქართველოში, მაინც სხვაგან წავიდოდი, შეიძლება. იმ დროს მე არ მიფიქრია მასშტაბურ მომავალზე. იმ დროს სულ სხვანაირი ფიქრები მქონდა, სასიყვარულოც იყო და უფრო იყო ბავშვური, რომ რაღაცებს გავაკეთებ მეც და წავალ, ვისწავლი ან რაღაც ამდაგვარი“ (რ11. მ. 07.04.2024).*

> *„დიდად არ ვიცოდი, რა ხდებოდა. უფრო აქ ჩამოსვლის მომენტში გავიაზრე რაღაცები. მანდ ერთადერთი რაც იყო, ვიცოდი, რომ უნდა წამოვსულიყავი. დანარჩენი, ასე გათვლი-*

ლად რამე გეგმა არ მქონია, თუ რა მოხდება ან რაში უნდა ვიცხოვრო და ა.შ. წამოსვლა მინდოდა და ვსიო, დანარჩენს მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც იქნება, იქნება-თქო" (რნ. თმ. 26. 19.03.2024).

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მიგრაციის გადაწყვეტილებას ახასიათებს, როგორც მყისიერი საჭიროებით ნაკარნახევს ან/და იმპულსურს და არა წინასწარგანზრახულსა თუ თვითმყოფს. წასვლის გადაუდებლობის განცდა ზოგჯერ დაკავშირებულია ძალადობის და დისკრიმინაციის შემთხვევასა ან საფრთხესთან. ნაგულისხმევი საფრთხე საერთოა რესპონდენტებისათვის სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორის მიუხედავად – რამდენად უსაფრთხოა მათი ინდივიდუალური ყოველდღიურობა, რამდენად რეალიზებული არიან პროფესიულად, რამდენად მყარად არიან ფინანსურად, როგორი ურთიერთობა აქვთ პირველადი მხარდაჭერის ქსელთან – ოჯახსა თუ თემთან, რამდენად გენდერულად კომფორტულად გამოხატავენ თავს, აქვთ გაცხადებული საკუთარი იდენტობის შესახებ თუ არა. მიგრაციის გადაწყვეტილების რეაქციულობაზე მიგვანიშნებს მკაფიო გეგმის არარსებობაც, რაც თავშესაფრის მაძიებლების შემთხვევაში, პროცედურებზე ბუნდოვან წარმოდგენებში ვლინდება. რესპონდენტების მიერ ის დანახულია, როგორც მყისიერი საფრთხისგან გაქცევის ეფექტიანი საშუალება, სისტემურ დაბრკოლებებზე პასუხი.

ამ კონტექსტშივე, როგორც მიგრაციის გადაწყვეტილების ფაქტორს, რესპონდენტთა ნაწილი იხსენებს ქვიარ თემისათვის ისეთ კოლექტიურად მატრავმირებელ მოვლენებს, როგორიც 2021 წლის 5 ივლისია. ზოგიერთი მათგანი სწორედ ამ თარიღს უკავშირებს წასვლის საბოლოო გადაწყვეტილებას, რაც მონათხრობში ძირითადად უსაფრთხოების გამოწვევების გაცნობიერებას და დაუცველობის განცდას უკავშირდება, რომლის მაპროვოცირებლად, გარდა ჰომოფობიური ჯგუფების მხრიდან თავდასხმებისა, ორგანიზაციების გულგრილობაც სახელდება. მიუხედავად იმისა, რომ სხვა კონტექსტებში რესპონდენტთა უმეტესობა პრაიდ ღონისძიებებს თავისი ფუნდამენტური უფლებების ნაწილად მოიაზრებს, ნაწილი საქართველოს რეალობაში ამგვარ აქტივობებს პრივილეგირებული ცენტრის ინიციატივად აღიქვამს. ეს შეფასება კი, ზოგიერთ შემთხვევაში, სცდება ღონისძიებების უშუალო ორგანიზატორებს და ზოგადდება ყველა ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციაზე.

„2021 წლის აგვისტოში წამოვედი. ივლისის ამბები რომ იყო, პრაიდი და ჟურნალისტების დარბევა და ა.შ. მაგ დროს დაძაბული სიტუაცია იყო თბილისში და სადღაც ერთი კვირის განმავლობაში, მგონი, ორჯერ მოხდა ფიზიკური თავდასხმა ჩემზე. არა სადღაც აქციაზე, ან ცხელ წერტილში, არამედ უბნის მაღაზიასთან. ქვა ჩამარტყა თავში ვიღაც ადამიანმა და კლუბშიც მოხდა ფიზიკური შემოხლა... ადრეც ხდებოდა მსგავსი ფაქტები, მაგრამ ამ მთელმა კონტექსტმა, ამ აქციებმა, ტელევიზიიდან სიძულვილის ნიაღვარმა, კი არ განაპირობა ჩემი წამოსვლა, არამედ უფრო ბიძგი მისცა ჩემს წამოსვლას, უფრო შემაგულიანა“ (რ2. თმ. 3წ. 13.03.2024).

„მე მანამდე მქონდა ბევრი მცდელობა, რომ საქართველოდან წავსულიყავი, მესწავლა, საცხოვრებლად წამოვსულიყავი, მაგრამ რაღაცნაირად ისე ხდებოდა, რომ ბოლომდე არ გამომდიოდა და ეს გადაწყვეტილება უკვე ძაან ისეთი იყო. საბოლოოდ იმან მიმიყვანა, რომ 5 ივლისის ამბები რომ მოხდა, ჩემთვის იდეალური ცხოვრება მქონდა, ერთი შეხედვით – სამსახური კარგი, შემოსავლის კვალობაზე კარგი ხელფასი, სახლი, ეს რაღაც ბეისიქ პირობები ძალიან კარგად მქონდა დაკმაყოფილებული და გვერდიდან რომ შეგეხედა, იტყოდი, იდეალური ცხოვრება აქვს, რა უჭირს ამ ადამიანსო. მაგრამ რეალობა ის იყო, რომ ეს ყველაფერი არ არის ჩემი მთავარი მამოძრავებელი წერტილი, რომ მქონდეს კარგი სამსახური, სახლი და ა.შ. ამ ყველაფერთან ერთად არ მქონდა მთავარი – უსაფრთხოების შეგრძნება. არც საკუთარ თავად ყოფნა შემეძლო ბოლომდე“ (რ7. თმ. 3წ. 20.03.2024).

„ჩემთვის სინანულის, იმედგაცრუების და ბრაზის მოჭიდების ამბავი ის არის, რომ ეს ყველაფერი არ იყო ჩემი გადაწყვეტილება და ეს ყველაფერი მე მომიწია იმ გარემოს შექმნის გამო. სპონტანურად და იმპულსურად იმიტომ გადავწყვიტე, რომ ეგეთი გარემო შეიქმნა 2021 წლის მეორე ნახევარში, როცა მივხვდი, რომ მეტის გაძლება არ შემეძლო და მაგიტომ წამოვედი. არ ვიცი, ის ჯობდა, რომ დამალულად ჩემი ცხოვრებით

მეცხოვრა თუ, პირობითად, ჩემი გადაწყვეტილებით, აუთ ვყოფილიყავი და ჩემივე გადაწყვეტილებით, კონფლიქტში შევსულიყავი და ბრძოლები დამეწყო, მაგრამ ის, რაც მოხდა, ეს ჩემი არჩევანი არ ყოფილა. [...] ყველაზე უფრო სევდიანი და გულდასაწყვეტი ამ ყველაფრის დაკარგვაში და ნულიდან დაწყებაში ისევ ეგ არის, რომ ეკონომიკური გაჭირვებაც კი არ ყოფილა ამის მიზეზი, რაც ძირითადი და საბაზისოა ხოლმე. ჩვეულებრივად გადარჩე, უსაფრთხოებისთვის ის იყო. ეგეც საბაზისოა, ცხადია. მაგრამ რის გამო მომიწია, რომ მერე ვილაც ადამიანებს მაგითი კარიერა ჰქონოდათ? ძაან სევდიანი და უსამართლოა" (რ3. თმ. 3ნ. 14.03.2024).

„პრაიდის თემები რომ იყო, 5 ივლისი. მაგ პერიოდში ვილაც კაცი გამოვარდა, თქვენ იმნაირები ხართო და მერე წავიდა როგორი სიტუაცია, იცი, რომ თქვენ კაცის ალერსი არ გიგრძნიათ არასდროსო და მაგიტომ ხართ, ეტყობა, მაგნაირებიო. [...] თბილისში რომ ეგ ამბები იყო, ჩვენ მაგ დროს ბათუმში ვიყავით. მაგრამ ეგ ნაკადი მერე წამოვიდა ბათუმისკენაც. ბათუმშიც იყო შემთხვევები. მაგ პერიოდში ყველა ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ თავი შეიკავოთ გარეთ გასვლისგან და იყო ეს თავდასხმები და ვცდილობდით, ჩვენც ჩვენთვის ვყოფილიყავით. მაგრამ იქაც იყო – ბარში ვმუშაობდი და ორი ტრანსგენდერი ცემეს ტყუილუბრალოდ მაქედან გამომდინარე. ორგანიზაციებში ბევრია, ვისაც თავი ქუდში აქვთ, ხვდებით? და ისეც იქცევიან, რომ მათ ხელს არავინ დააკარებს, იმიტომ რომ მაინც მფარველობა აქვთ, და დანარჩენი ადამიანები, ვინც მათ უკან დგანან, ძაან იჩაგრებიან, ხვდები? და ანუ, აგრესიას იწვევენ, თვითონ არაფერი არ მოსდით, თავი ქუდში და ის ხალხი, ვინც უკან არის, იმათ უკვე ზედ გადასდიან" (რ23. თმ. 2ნ. 15.05.2024).

წასვლის გადაწყვეტილებაზე საუბრისას, ინტერვიუების ნაწილში ირიბად ან პირდაპირ ჩანს რეტროსპექტიული სინანული. რესპონდენტები იდენტობის გამო სისტემური მარგინალიზებისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ბარიერების შედეგად მიღებულ ემოციურ ზიანზე საუბრისას,

ხშირად გამოხატავენ სინანულს, რომ წასვლის გადაწყვეტილება უფრო ადრე არ მიიღეს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათი გამოცდილება ემიგრაციაში შორსაა იდეალურისგან:

> *„აქაც მქონდა რთული პერიოდი: მე მომიწია თავშესაფარში ცხოვრება კარანტინის დროს, კორონას პერიოდში და ეს კიდევ გაცილებით უფრო რთულს ხდიდა თავშესაფარში ცხოვრებას, რის შედეგადაც, დამეწყო ფსიქიკური პრობლემები. დამჭირდა მედიკამენტური ჩარევაც და ჰოსპიტალში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ვიყავი 40 დღე და ვმკურნალობდი მედიკამენტურად, ეს უკვე ბოლოს. თუმცა ეს ეტაპობრივად იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და შემდეგ უკვე ერთიანად იჩინა თავი და საჭირო გახდა ჰოსპიტალიზაცია. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა ამ ოთხ წელში, იმაზე არ ვფიქრობდი, რომ უკან დაბრუნდე, მაგრამ იმას ვფიქრობდი, რომ მალე გავიდოდა ეს 5 წელი და სხვა რაღაცებით ვიქნებოდი დაკავებული. ხანდახან იმასაც ვფიქრობ უფრო, რომ პატარა ასაკში უნდა წამოვსულიყავი, ასე აჯობებდა“ (რ24. თმ. 5ნ. 27.05.2024).*

იმ შემთხვევების ნაწილშიც კი, როდესაც რესპონდენტები დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ წასვლაზე, მიგრაცია უფრო ინერციითაა განპირობებული, ვიდრე წინასწარგანსაზღვრული გეგმით. ზოგიერთი რესპონდენტი საქართველოში საკუთარ ცხოვრებას აღწერს, როგორც გარემოებების შესაბამისად დინებადს, რომელიც ავტონომიურობისა და აქტიური აგენტობის ნაკლებ საშუალებას იძლევა, სადაც მიგრაციაზე ფიქრი თანდათანობით, მეტად გაუცნობიერებლად მწიფდებოდა. რესპონდენტებს, რომლებსაც აქვთ ზრუნვის ვალდებულება ოჯახის წევრებზე, უმეტესად სისგენდერ ქალად სოციალიზაციის გამოცდილების მქონეთ, ამის გამო ხშირად უწევთ წასვლის გადადება.

> *„მე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მქონდა წასვლა გადაწყვეტილი. უბრალოდ, რატომღაც ვერ გადავდგი ეს ნაბიჯი, რადგან შვილები მყავს და მაშინ პატარები იყვნენ. მაგრამ, როდესაც ორივე სტუდენტი გახდა, უკვე მათი მხარდაჭერაც*

მქონდა და ეს იყო ჩემთვის ძალიან ძლიერი კედელი, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა. და თვითონ შვილებმა მითხრეს, რომ შენ თავს არ უნდა მიხედო ბოლოს და ბოლოს? სულ ასე უნდა იყო? ვიღაცის დამხმარედ?" (რ1. თმ. 3ნ. 11.03.2024).

„ბებიაჩემის მდგომარეობა დამძიმდა. სულ ვიღაც უნდა ყოფილიყო სახლში იმიტომ რომ ერთხელ გამეპარა სახლიდან, მარტო ვიყავი და კარი არ დავკეტე. ჩემი ძმა მეგონა, რომ ღამე დაბრუნდებოდა და რომ არ გავეღვიძებინე, დავტოვე და ეს დამეკარგა, პოლიცია და რა ვიცი, ძლივს ვიპოვეთ. მოკლედ, სულ ვენაცვლებოდით რა, ასე სულ ვიღაც უნდა ყოფილიყო სახლში, რომ ყურადღება მიექცია" (რ14. თმ. 2ნ. 11.04.2024).

ასეთი შემთხვევები მკაფიოდ აჩვენებს სოციალური მოლოდინების სისტემისა და ზრუნვის ვალდებულებების მჭიდრო ინტერსექციას ქვიარ მიგრაციასთან და, ასევე, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს პერსონალურ დონეზე მის სირთულეს, რამდენადაც გადაწყვეტილება შეჭიდულია ცხოვრების სხვადასხვა განზომილებასთან, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობებთან.

ინტერვიუთა ნაწილში, მიგრაციის გადაწყვეტილებაზე საუბრისას, ვხვდებით პრაგმატიზმსაც. მიუხედავად იმისა, რომ წასვლის საპირწონედ რესპონდენტების ეს ნაწილი ასახელებს საკუთარ ქალაქს, ქვეყანასთან მიკუთვნებულობას, ოჯახსა თუ მეგობრებს, მათთვის ორჭოფობის საგანია არა წასვლა-არწასვლა, არამედ „სად წასვლა". ეს რესპონდენტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მკაფიო გეგმით გამოირჩევიან, პრიორიტეტს ანიჭებენ ისეთ ქვეყნებს, სადაც ინტეგრაციის ნაკლები ბარიერი ექნებათ ან/და სადაც საემიგრაციო პროცედურები ქვიარებისთვის მეტად ინკლუზიურია. შესაბამისად, ეს შედარებით კალკულირებული გეგმებიც მოწმობს, რომ მიგრაციის გადაწყვეტილება გარემოებებით განპირობებული აუცილებლობა უფროა, ვიდრე ფლობილი არჩევანი.

ზოგიერთი რესპონდენტისთვის წასვლა ხელშეწყობილი და წახალისებული იყო მეგობრებისა და ოჯახის წევრების მიერ. სხვათა მსგავსად, ასეთ შემთხვევებშიც წასვლის გადაწყვეტილება ისეთი გარემო ფაქტორებითაა განპირობებული, როგორიცაა უსაფრთხოების რისკები, ჯანმრთელობის პრობლემები ანდა ფსიქო-ემოციური სირთულეები. კეთილისმსურველი

ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები ხშირად არწმუნებენ რესპონდენტებს, მოშორდნენ ჰომოფობიურ გარემოს საქართველოში, მიუთითებენ რა მათი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ჯანმრთელობისთვის მიყენებულ რეალურ თუ ნაგულისხმევ ზიანზე.

> *„მე ჩვეულებრივად ჩამოვედი და ჩავბარდი, როგორც ლტოლვილი. ჩამოსვლაში ფინანსურად დედაჩემი დამეხმარა, თვითონ გამომიშვა. [...] რა თქმა უნდა ტრანსფობია იყო გადამწყვეტი მიზეზი, მაგრამ უფრო ოჯახის თხოვნა იყო, რომ „გაასწარი აქედან!" და არ ვნანობ. ახლა სიტუაციას რომ ვუყურებ, ისე დამძიმდა საქართველოში. იმის გამო არა, რომ მანდ არ მინდა ყოფნა, პირიქით, ძალიან მინდა საქართველოში ყოფნა. უბრალოდ, მე რომ აქ ჩამოვედი, დამისვეს პოსტტრავმული აშლილობის და [სხვა თანმდევი ფსიქიკური მდგომარეობის] და გამიმართლა იმაში, რომ მე დაზღვევა მინაზღაურებს ყველანაირ მედიკამენტს და საქართველოში ეს ძალიან ჭირს, როგორც იცი. საქართველოში უბრალოდ ფსიქიატრიულში გამომკეტავდნენ, როგორც ხდება ხოლმე, თან ძალიან ცუდ პირობებში და ამ მხრივ გამიმართლა, რომ აქ ვარ" (რ21. თმ. 5ნ. 14.05.2024).*

ასეთი შემთხვევები აჩვენებს, რომ ჰომოფობიური გარემო ფრუსტრაციაში ამყოფებს როგორც თავად ქვიარებს, ისე მათ ახლობლებს და მიგრაციის გადაწყვეტილებები ზოგჯერ იძულებითი ნაბიჯი უფროა გადარჩენისთვის, ვიდრე ნებაყოფლობითი სწრაფვა უკეთესი ცხოვრებისკენ.

რესპონდენტების მონათხრობში, წასვლის გადაწყვეტილების მიღების გადამწყვეტ ფაქტორებად ხშირად გვხვდება ჰომოფობიური გარემოთი და სისტემური მარგინალიზაციით გამოწვეული ქრონიკული სტრესი, შფოთვა და დეპრესია – და არა იმდენად ახალ ადგილას ახალი შესაძლებლობების ძიება. შესაბამისად, მიგრაცია გამოკითხული ქვიარ ინდივიდების შემთხვევაში სხეულებრივი და ფსიქოლოგიური თვითზრუნვის გამოხატულება უფროა, ვიდრე მარტივი გეოგრაფიული ტრანზიცია. ჯამში, კვლევის ფარგლებში გაანალიზებული ნარატივები მკაფიოდ აჩვენებს, რომ საქართველოდან ქვიარ მიგრაცია უნდა განვიხილოთ, როგორც უფრო მყისიერი საჭიროება და ნაკლებად – ავტონომიურობის გამოვლინება.

ყოვლისმომცველი და სისტემური ექსკლუზია, რომელზეც რესპონდენტები ლაპარაკობენ, ქვიარ ინდივიდების მიგრაციის იძულებით ხასიათზე მიუთითებს. თუმცა, მიგრაციის გადაწყვეტილებათა კომპლექსურობა სცდება მარტივ დებატს მის ნებაყოფლობითობასა და იძულებითობაზე, რამდენადაც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა იდენტობა, უსაფრთხოება, ურთიერთობები, ჯანმრთელობა და ადამიანის ფუნდამენტური სწრაფვა ღირსეული ცხოვრებისა და თვითგამორკვევისკენ.

კვლევის შედეგები: ქვიარ ყოფა მიმღებ ქვეყანაში

ახალ ქვეყანაში ტრანზიციის შესახებ რესპონდენტთა მონათხრობი სავსეა როგორც მდგომარეობის შემსუბუქების განცდით, ისე სპეციფიკური გამოწვევებით. რამდენადაც მიგრაცია უსაფრთხოების და ღირსეული ცხოვრების მოლოდინს უკავშირდება, ეს გზა, რომელიც რთულ ბიუროკრატიულ პროცესებზე, სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციასა და კულტურულ ადაპტაციაზე გადის, ხშირად, ქვიარ მიგრანტებში ფრუსტრაციასა და დისტრესს იწვევს.

თავშესაფრის მაძიებელი ქვიარებისთვის ამ მდგომარეობას ამწვავებს მათი ლტოლვილის სტატუსი, რადგან პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან, ლგბტქ+ თემთან ურთიერთობასა თუ საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობებთან. ამავე დროს, თავისუფლების განცდა, თვითრეფლექსიისა და თვითაქტუალიზების სივრცე, რაც ეძლევათ, ტრანსფორმაციულ გავლენას ახდენს მათ ყოფაზე.

ბიუროკრატიულ სისტემაში ნავიგაცია

მიმღებ ქვეყანაში ლეგალური ბინადრობის უფლების მოპოვება, თავშესაფრის, ვიზისა თუ მოქალაქეობის გზით, მიგრანტებისთვის სხვადასხვაგვარ დაბრკოლებას უკავშირდება. ეს სისტემები კომპლექსური ბიუროკრატიული პროცედურებით და ცვალებადი პოლიტიკით ხასიათდება და, შესაბამისად, ხშირად, წინასწარგანუსაზღვრელ ველს ქმნის მიგრანტებისთვის. რესპონდენტთა უმრავლესობა თავშესაფრის პროცედურებშია ჩართული, თუმცა, სხვები ტიპური ვიზის, ბინადრობის ნებართვის ან მოქალაქეობის მიღების გზაზე არსებულ გამოწვევებზეც გვესაუბრებიან. მაგალითად, ჰყვებიან, რომ სტაბილური და გრძელვადიანი ლეგალური ბინადრობის პროცედურები ხშირად გამორიცხავს ადამიანებს არაფორმალური ან პრეკარიული შრომის ისტორიით, რაც საქართველოში ცხოვრებისას გარდაუვალი მოცემულობაა მრავალი ქვიარისთვის. ამ შემთხვევებში ქვიარ მიგრანტებს, – და, როგორც თავად ამბობენ, არა მხოლოდ მათ, – ხანგრძლივად ტოვებს მოკლევადიანი დოკუმენტების პროცედურების პირისპირ, რაც მათ კვლავ აშორებს პერსონალურ მისწრაფებებს და სურვილებს, რამ-

დენადაც პრეკარიული შრომის აუცილებლობაში აბრუნებს. თუმცა, მიმღებ ქვეყნებში შედარებით დაბალანაზღაურებად და დატვირთულ შრომით პირობებშიც კი, რეგულირებული შრომითი ურთიერთობების დამსახურებით, რესპონდენტები უფრო ღირსეულად გრძნობენ თავს და, შესაბამისად, მათი ცხოვრების ხარისხი ცალსახად უმჯობესდება.

> *„მე ვმუშაობ ნაყინების ფაბრიკაში. მზა ნაყინები მოდის ჩემთან და პადონებზე ვაწყობ. საკმაოდ შრომატევადი სამსახურია და ამტკივდა მუხლი. უფროსმა გამოიძახა ექიმი, ექიმმა გამსინჯა და მანქანა გამოიძახა, მანქანით წაიყვანეთო. მძღოლმა რომ შემხედა, ცოტა უხეში გამოხედვა ჰქონდა და მუშაობო? მკითხა. კი-მეთქი. როგორც კი გაიგონა, რომ ვმუშაობდი, მობრძანდი, დაბრძანდი, აქ კონდიციონერია ჩართული. არ უყვართ უმუშევარი ხალხი. არ უყვართ ჩამოსულები, რომლებიც არ მუშაობენ და სახელმწიფოზე არიან ჩამოკიდებულები. […] ჩემი მეგობარი, მაგალითად, ოფიციალურად სასტუმროშია, მაგრამ დამლაგებლად მუშაობს და დრო სულ რჩება, რადგან ასეთი კანონია, 8 საათზე მეტს არ გამუშავებენ. თუ დაჭირდათ ზედმეტი დღე, რომ გამუშაონ, გინაზღაურებენ ორმაგად. ისიც, გეკითხებიან, თუ გაქვს დრო. არავინ დაგაძალებს... მე მაქვს, მაგალითად, 40-საათიანი კონტრაქტი კვირაში, ორი დღე ვისვენებ, 5 დღე ვმუშაობ, 8 საათის განმავლობაში. ზუსტად 8 საათი რომ შესრულდება, მოდის სხვა სმენა და ჩვენ გავდივართ. ზედმეტს არ გამუშავებენ“ (რ1. თმ. 3ნ. 11.03.2024).*

თავშესაფრის მაძიებელი ქვიარებისთვის ბიუროკრატიული დაბრკოლებები კიდევ უფრო მკაფიოა. რესპონდენტების გამოცდილებებს ხშირად განსაზღვრავს მიგრაციის პერიოდი – ისტორიები ცხადად ასახავს, თუ როგორ რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს საიმიგრაციო პოლიტიკა გეოპოლიტიკური პრიორიტეტების მიხედვით. არაერთი რესპონდენტი აღნიშნავს რუსეთ-უკრაინის ომის გავლენას ევროკავშირის ქვეყნების საიმიგრაციო პოლიტიკაზე, როდესაც პრიორიტეტი უკრაინელი დევნილების მიღება გახდა და სხვებისთვის პროცედურები, საჭიროების სიმძიმის მიუხედავად, ბევრად გართულდა.

რესპონდენტების მიერ ევროკავშირის ქვეყნების საიმიგრაციო პოლიტიკის კრიტიკა, მის საფუძველმდებარე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყენებულ ქვეყნების შეფასების მეთოდოლოგიაზეც ვრცელდება. რესპონდენტთა ნაწილის შეშფოთებას იწვევს ფორმალური მარკერები, რომლითაც ესა თუ ის ქვეყანა ქვიარებისთვის უსაფრთხოდ ფასდება. ასეთია, მაგალითად, საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც, თუმცა, ხშირად ქვიარების სამართლებრივი დაცვის ერთადერთი ინსტრუმენტია, არასაკმარისი და არაეფექტიანია სისტემური და ინტერსექციური ჩაგვრის პირობებში. ეს გარემოება, ჰომოფობიის ყოვლისმომცველობა კი, ხშირად გამოტოვებულია, ქმნის ზედაპირულ ნარატივს საქართველოში ლგბტქ+ ინდივიდების სოციალური მდგომარეობის შესახებ და ეჭვქვეშ აყენებს მათ პერსონალურ გადაუდებელ საჭიროებებს საიმიგრაციო პროცედურების გზაზე.

„ძალიან უსამართლოდ იზომება, იმიტომ რომ ჩვენი ხელისუფლება, მგონია, შიდა პრობლემებს უბრალოდ არ ანახებს ევროპულ საზოგადოებას. შესაბამისად, მგონია, რომ ინფორმაციის ნაკლებობა აქვთ. ის რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი გვქონდა, იმას არ ნიშნავდა, რომ ის გამოყენებაში იყო და არ იყო უბრალოდ ფარატინა ფურცელი“ (რ21. თმ. 5წ. 14.05.2024).

„კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი არის, რომ მართლა ბევრი იწყებს იმგვარ შეზღუდვას, რომ თუ მართლა პირადი ქეისი არ გაქვს იმისა, რომ ვიღაცა პირადად დაგდევს მოსაკლავად და საცემად, და გცემა და რაღაცა დაგმართა, უფრო მეტი ინსენტივი აქვთ, რომ თქვან, რომ არა, აგერ ქვეყანაში ანტიდისკრიმინაციული კანონია. ანუ, ეს რას ნიშნავს ესე იგი, რომ ჩვენ აღარ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ქვეყანაში მდგომარეობა გაუმჯობესდეს?“ (რ26. მ. 7წ. 11.06.2024).

„პრობლემა არ მდგომარეობს ჩემთვის იმაში, რომ ილგა[5] აკეთებს ამ მეფს, ამას როგორ უკეთებს კომუნიკაციას, აი,

5 იგულისხმება ILGA-Europe-ის ცისარტყელას რუკა და ინდექსი არის ყოველწლიური საზომი ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს 49 ევროპულ ქვეყანას LGBTQ+ თანასწორობის კანონებისა და პოლიტიკის მიხედვით.

მაგაშია ძაან დიდი პრობლემა, რა უფლებით აკეთებ იმას, რომ შენ, ბრუსელში დაფუძნებული ადამიანი, თუნდაც ქვიარი, მეუბნები, ჩემთვის რამდენად უსაფრთხოა საქართველოში ცხოვრება, როგორც ქვიარისთვის. ეს არის ჩემთვის white supremacist [თეთრკანიანთა უპირატესობა] მიდგომა, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, როცა ქართველებს უარი მოსდით ხოლმე, გამოიყენება ეს უსაფრთხო ქვეყნების ლისტიდან ამოღება და ილგა იუროფის რეპორტები" (რ12. მ. 12წ. 08.04.2024).

ამავე კონტექსტში, ზოგიერთი რესპონდენტი საქართველოში ადგილობრივი ლგბტქ+ ორგანიზაციების როლზეც საუბრობს: მათი აღქმით, ისინი საერთაშორისო პარტნიორებს პროგრესის გადაჭარბებულად ოპტიმისტურ სურათს აწვდიან და დისტანცირებული არიან თემის ფუნდამენტური საჭიროებებისგან. რესპონდენტებს მაგალითად მოჰყავთ საკლუბო ღონისძიებები, ასევე, საზოგადოებრივ განწყობებში ჰომოფობიის შემცირების შესახებ კვლევები და კამპანიები, რომლებიც, მათი თქმით, არ ასახავს ლგბტქ+ ინდივიდების რეალურ მდგომარეობას, მათ შორის, უპირველესად, სოციალურ და ეკონომიკურ სიდუხჭირეს. ამგვარი ნარატივების წარმოებით, ლგბტქ+ არასამთავრობო ორგანიზაციები, – უმეტესად საუბარია თბილისში დაფუძნებულ შედარებით დიდ ორგანიზაციებზე, – ნებით თუ უნებლიეთ, ქმნიან არარეალისტურ წარმოდგენას საქართველოში ქვიარების უსაფრთხოების შესახებ და თავშესაფრის მაძიებელ ქვიარებს უჭრიან გზას.

„ყველაზე მეტად, რაც იდეაში ჩვენ აქ გვიშლის ხელს, რომ მივიღოთ დადებითი პასუხი ამ მთავრობისგან, ეგ არის, რომ ერთ-ერთ პუნქტად, რასაც გვისახელებენ, არის ქართული ქვიარ ენჯიოები და არასამთავრობოები აძლევენ დადებით ანგარიშს ევროკავშირს, რომ თურმე საქართველოში მოსახლეობა იღებს ქვიარ ქომუნითის და არ არის არანაირი პრობლემა ამ მხრივ, თუმცა ნებისმიერი ქვიარი ადამიანი, რომელიც აქ ჩამოდის, ყველა ამბობს, რომ არის რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ, რომ რაღაცა გამოასწორონ, თუმცა მათი, ელემენტარულად,

ბიუჯეტი იმდენად მიზერული და შეზღუდულია, რომ არ შეუძლიათ. [...] გასაგებია, რომ ისინიც იღებენ რაღაც დაფინანსებას ევროკავშირისგან და იღებენ დაფინანსებას იმიტომ, რომ საზოგადოებრივი განწყობები შეცვალონ ამ საკითხების მიმართ, თუმცა ძაან გული მწყდება, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ ანგარიშები, რასაც აგზავნიან, არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ რომ, რამდენი ქვიარიც ჩამოდის აქ, ჩამოსული 10 ქვიარიდან, შეიძლება 1-ს ჰქონდეს ნასარგებლი მათი სერვისებით" (რ16. თმ. 16. 07.04.2024).

„გიმტკიცებენ, რომ ანუ, გამოდის, რომ საქართველო არის მხოლოდ ტრანსფობიური. იმიტომ რომ ტიპები იმას გიმტკიცებენ, რომ ლესბოსელი ხარ თუ გეი ხარ, არ გაქვს პრობლემა. ეს დამოკიდებულება მოდის ორგანიზაციებიდან გამომდინარე. [...] ეგ დამოკიდებულება მოდის მაქედან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კი, შეიძლება, რომ კარგია, რომ ბევრი კარგი კეთდება, რეალურად ამ კარგს ვერავინ ვერ ხედავს, სიმართლე რომ გითხრა, თემის წევრებიდან, მარტო ორგანიზაციები ხედავენ, მე მგონი. მაგრამ მარტო კარგს რომ აჩვენებ, თუნდაც, ეხლა პრაიდის გვერდზე რომ შევედი, იმნაირი განათებულია, მე მგონი, მართლა კარგი ხდება თემის წევრებში და ის, რაც იმის იქით ხდება, არ ჩანს, გაიგე? ანუ, ყველაფერი კარგი – ის გავაკეთეთ, ის ივენთი გავაკეთეთ, ეს გავაკეთეთ, კარგია, მაგრამ ისიც გვანახე, რომ იმ რაღაც ორგანიზაციის უკან, ხალხი, ვინც ვერ მუშაობს, ვინც საცხოვრებელს ვერ შოულობს იმის გამო, რომ ტიპები არ გიღებენ და არ გაქირავებენ ბინას. [...] თუ ორგანიზაციასთან ეგეთი აქტიური დამოკიდებულება არ გაქვს, როგორც ბევრს აქვს მანდ, თუ ორგანიზაციის წევრებთან ახლობელი ან მეგობარი არ ხარ, ან ნაცნობი არ ხარ, ან თუნდაც ნაცნობი რომ იყო, ხო, არ გაქვს არანაირი უფლება, მაგათ უფრო აქვთ თუნდაც დახმარების თემა და რაღაცეები, ვიდრე სხვებს. ძალიან ბევრია საქართველოში, ვინც პროსტა ხმას ვერ იღებს. ვისაც მართლა ისიც არ შეუძლია, ჩვენ როგორც ვიყავით. [...] იმ ივენთზეც თუ ვერ მიდის თემის წევრი, თუ ფული არ აქვს? ერთი წერდა, რომ მე

ვერ დავდივარო. რატოო და იმიტომ, რომ საშუალება არ მაქვსო. და მერე მიდის როგორი თემა, იცი, რომ ადრე ხომ დადიოდიო, კიო, მეგობრების ხარჯზე დავდიოდიო, მეგობრები მპატიჟებდნენო. იქაც კი დისკრიმინაცია მიდის, რომ შენ თუ ფული არ გაქვს, არავინ არ ხარ" (რ23. თმ. 2ნ. 15.05.2024).

„ბოლო ხანებში უფრო დაიწყო, 2023 წელს და ალბათ ეს სწორედაც უკავშირდება პოლიტიკურ საკითხებს და ვიზგის კვლევას[6]... ერთმანეთთან არის დაკავშირებული ყველაფერი... გერმანიიდან რომ დაიწყო დეპორტაცია არა ქვიარ თავშესაფრის მაძიებლების, მაგალითად... ევროკავშირს არ შეუძლია, დეპორტაცია გაუკეთოს დევნილობის მაძიებელს, თუ მიმღები სახელმწიფო არ დათანხმდა. მაგის პრობლემა აქვთ, მაგალითად, აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ვერ გზავნიან, იმიტომ რომ თავიანთი ქვეყნები არ ღებულობენ და საქართველო იღებს. დამატებით ინფორმაციას უგზავნის, რომ ჩვენთან ყველაფერი კარგად არის, დაცული და უსაფრთხოა... ეს ყველაფერი ალბათ დაუკავშირდა ზუსტად ქართველი ქვიარებისთვის გაზრდილ ნეგატიურ პასუხებს" (რ2. თმ. 3ნ. 13.03.2024).

სისტემური და ორგანიზაციული გარემოებების მიღმა, ქვიარი თავშესაფრის მაძიებლები არანაკლებ სირთულეებს აწყდებიან საემიგრაციო ცენტრებშიც. რამდენადაც ადმინისტრაციული დაწესებულებები და თავშესაფრები შერეულ დემოგრაფიულ ჯგუფებს ემსახურება, ქვიარები ხშირად ერთ სივრცეში ხვდებიან სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან, მათ შორის, კონსერვატიულად განწყობილ ქართულ ოჯახებთან. რესპონდენტების გამოცდილებებში არის ჰომოფობიისა და კულტურული უთანხმოების საფუძველზე დაწყებული კონფლიქტები და თავდასხმები. თუმცა, მტრული განწყობების გამოვლენის გარეშეც, ამგვარი გარემო, და ხშირად საზიარო საყოფაცხოვრებო სივრცეები თავშესაფრებში,

6 იგულისხმება „წინარწმენიდან თანასწორობამდე. Vol.2.„, რომელიც, რესპონდენტთა მტკიცებით, ლეგალურ სტატუსზე უარის საფუძვლად ეგზავნებათ თავშესაფრის მაძიებელ საქართველოდან ლტოლვილ ლგბტქ+ ინდივიდებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საემიგრაციო სამსახურების მიერ მოცემული კვლევის შედეგების რეინტერპრეტირება ხდება თვითნებურად.

არაერთ რესპონდენტს ბიუროკრატიული პროცედურის პერიოდში ემოციურ ფრუსტრაციაში ამყოფებს. ასეთ დროს, საბაზისო უსაფრთხოების გარანტია ინდივიდუალური, იზოლირებული ოთახია, რომელიც მკაცრად განსაზღვრულ პროცედურებში საკმაოდ რთული მოსაპოვებელია.

> *„ძალიან კარგად ჩანს თუნდაც [სისტემის] ჰეტერონორმატიულობა და სისნორმატიულობა, ბანაკებში როცა გადანაწილებული არიან ადამიანები, იქ არის ხოლმე ხშირად, რომ ცხოვრობენ 6 ქალი ან 6 კაცი, ბინარული გაყოფა ან ოთახები ოჯახებისთვის. შეიძლება ეს ბანაკი იყოს 300-ადამიანიანი, შეიძლება იყოს 100, 500 ან 1000, მაგრამ არანაირი აქტივობა არ კეთდება იმისთვის, რომ სოციალური cohesion [შეკავშირება] მოხდეს ამ ბანაკში, როგორ შეიძლება, რომ ერთ საცხოვრებელში, სადაც ვიყოფთ აბაზანებს, სამზარეულოებს, საპირფარეშოს ა.შ. და ქო-სფეისებს, 500 ადამიანი შეუშვა და თქვა, რომ ესენი შეძლებენ თანაცხოვრებას ძალიან მარტივად. [...] „მოდი, ჩვენ ეხლა ერთად შეგყრით და მოხდეს სოციალური კოეზია ესე, ერთი ხელის მოსმით". რადგანაც არანაირი აქტივობა და რესურსი არ იდება იმაში, რომ ნაკლებად რასისტები გახდეს, ქართველი არაქვიარები გახდნენ უფრო ქვიარმიმღებლურები, რადგანაც ჩამოვიდნენ ამ ქვეყანაში და ითხოვენ თავშესაფარს. ქვიარ ფასინგ[7] ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ამ ბანაკებში, არიან ყოველდღიურად აგრესიის, შევიწროების მიზანში ძალიან, ძალიან ხშირად. რა თქმა უნდა, ეს ხდება ყველა ქვიარ ადამიანის თავს, მაგრამ თუ ტრანს ადამიანი ხარ, კი ვიცით ხოლმე, ადამიანებს უფრო უჩნდებათ იმის სურვილი, რაღაც დაგიზიანონ, დაგიშავონ" (რ12. მ. 12წ. 08.04.2024).*

> *„სრულიად მზად ვერ იქნები ვერანაირად, მაგრამ მზად ვიყავი რა, ასე თუ ისე. ქვიარებს რომ შეყრი ისეთ სასტავში, სადაც მარტო ირანელები და არაბები არიან და მარტო შენ,*

7 Queer Passing – თვითგამოხატვით, ქცევით ან სხვა სოციალური მახასიათებლით აღქმადი ქვიარ იდენტობა.

პარტნიორთან ერთად, იჩითები ლგბტ თემის წარმომადგენელი, ძაან რთულია. უმეტესად ეგეთი სიტუაციაა საერთო საცხოვრებლებში, რომ ერთი პატარა 8 კვ/მ ოთახი იყო, ვერ ვტრიალდებოდით. ეგ იყო პირველი შოკი. პირველად მომივიდა მაშინ პანიკური შეტევა, არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. მერე ადამიანი ვითომ ეჩვევი, მაგრამ რეალურად მართლა ძაან რთულია. მერე ფსიქოლოგის დასკვნით გადაგვიყვანეს სოციალურ სახლში. მაგრამ, გადაგვიყვანეს როგორ სოციალურ სახლში, იცი, რომ ძალიან პატარა სოფელში იყო, ყველაფერი 5 წუთის სავალზე იყო და ეს ავტობუსები მოძრაობდნენ როგორ, იცი, სკოლაზეა მორგებული, დღეში ორჯერ დადიან და რეალურად, ვერ გადიხარ ვერსად" (რ23. თმ. 2წ. 15.05.2024).

„სომალელი ოთახის მეზობლები მყავდნენ, რომლებსაც შეიძლება მთელი ღამე ეხმაურათ. მე ცოტა ეგეთი ვარ, რომ ხმის ამოღება და ბლატაობები არ შემიძლია. მერე ვცდილობდი, რომ ეგ ოთახი შემეცვალა. [საემიგრაციო ორგანიზაცია] ძაან ცუდია, ჩემი აზრით. ბევრჯერ მომატყუეს, რომ ეძებდნენ ჩემთვის ახალ ოთახს. ორი თვე ეგრე მატყუებდნენ. მერე გადავედი სხვა ოთახში, ცოტა ნაკლები ვიყავით – ოთხნი, მაგრამ მაინც მსგავსი სიტუაცია იყო, რა, ახალი არაფერი" (რნ. თმ. 2წ. 19.03.2024).

აღწერილიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ხშირად, საემიგრაციო ბიუროკრატიული სისტემები – ვიზისთვის, თავშესაფრისა თუ ბინადრობის უფლებისთვის – სრულყოფილად ვერ პასუხობს ქვიარ ინდივიდების მოწყვლადობას. ეს სისტემები, სტრუქტურული, კულტურული და ინსტიტუციური ფაქტორების გამო, ქვიარებისთვის ზოგჯერ თავად ხდება დისტრესის წყარო.

სოციო-ეკონომიკური ინტეგრაცია

სოციო-ეკონომიკური ინტეგრაცია პერსონალური უნარ-ჩვევებითა და მიმღები სოციუმის თავისებურებით განსაზღვრული საკმაოდ ნიუანსური პროცესია. მიგრანტები ახალ ქვეყანაში ცხოვრებას ინდივიდუალუ-

რი მიზნებით, უნარებითა და მოწყვლადობით იწყებენ; მათი გზა სტაბილურობამდე კი, ხშირად, დამოკიდებულია მათსავე შესაძლებლობებზე – „გაძვრნენ“ სისტემაში, რომელიც შესაძლოა, ერთდროულად მკაცრიც იყოს და მხარდამჭერიც.

რესპონდენტები ხშირად აღწერენ ინტეგრაციას, როგორც არაერთგვაროვან ველს, სადაც წარმატება არის არა გარანტირებული, არამედ დიდწილად, პიროვნულ რესურსებზე დამოკიდებული. ბუნებრივია, რომ ამ რესურსებზე საუბრისას, უპირველესად, ენის ცოდნა სახელდება. კომუნიკაციის შესაძლებლობა დასაქმების, სოციალური კავშირებისა და სერვისებზე წვდომისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნდამენტია. შესაბამისად, არაერთი რესპონდენტისთვის, მიმღები ქვეყნების საიმიგრაციო სამსახურების მიერ შეთავაზებულ ენის კურსებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ის დრო და ძალისხმევა, რაც ენის ათვისებისთვისაა საჭირო, ზოგიერთს დაუსრულებლად და დამთრგუნველად ეჩვენება, ზოგს კი, სხვა სისტემურ ხელშეწყობასთან (საცხოვრისი და ფინანსური სოციალური დახმარება) ერთად – განვითარების უანგარო შესაძლებლობად.

> *„არიან ადამიანები, ვინც აქ ჩამოდიან ელემენტარულად ინგლისური ენის ცოდნით და არიან ადამიანები, ვინც უბრალოდ არცერთი ენა არ იცის, ან იცის ძალიან დაბალ დონეზე. ეს უფრო განაპირობებს ყველაფერს. როდესაც ინგლისური არ იცი, [ადგილობრივ ენას] თან სწავლობ, თან ვერ სწავლობ, რთულია ლოკალ, კოსმოპოლიტურ საზოგადოებასთან ურთიერთობა“ (რ2. თმ. 3ნ. 13.03.2024).*
>
> *„განათლება ვისაც აქვს, ვინც მინიმუმ ინგლისური იცის, ჩათვალე, რომ 50% გაკეთებული აქვს გადარჩენისთვის. მეორე არის ეგ, რომ ვისაც საქართველოში ჰქონდა რაღაც გამოცდილება, როგორ გადარჩე, როგორ დაგუგლო ქვიარ ორგანიზაცია, ვის დაუკავშირდე, ვის შესთავაზო შენი პერფორმანსი, ვებშოუ იქნება ეს, ნახატი თუ რაღაც, ანუ, ისევ იმ ადამიანებს. გენდერთან ძაან არის დაკავშირებული“ (რ3. თმ. 3ნ. 14.03.2024).*

„ვისაც ვიცნობ, ცოტა ყველას გაგვიჭირდა. მე გამიჭირდა იმიტომ, რომ შეხება არ მქონია დიდად სხვა ქვეყნებთან, ანუ არ ვყოფილვარ. ალბათ იმ ადამიანებს უფრო უმარტივდებათ, ვისაც ჰქონია შეხება სხვა ქვეყნებთან, უფრო მეტი განათლება აქვს და უფრო მეტი იცის. იმ ადამიანებსაც უმარტივდებათ, ვისაც ჰყავს აქ ვინმე. ჩემი აზრით, სამსახურიც ძაან ეხმარება, როცა შეხება გაქვს სულ აქაურ ხალხთან. მე ძაან გამიჭირდა და ჯერ კიდევ ძაან ბევრი სიახლე არის და ვიგებ ხოლმე ისეთ რაღაცებს, რაც მეგონა, რომ საერთოდ არ არსებობდა. როცა არ იცი და იგებ, რთულია ეგრე მარტივად ინტეგრირდე, მით უმეტეს, სხვა ქვეყანაში“ (რნ6. თმ. 2ნ. 19.03.2024).

„ადაპტაციის ნაწილში, ვფიქრობ, რომ მე პირადად დამეხმარა ის, რომ ძალიან ხშირად ვიყავი საზღვარგარეთ და ვმოგზაურობდი. ჩემთვის არ იყო ბევრი დეტალი უცხო, რომელ ჩელენჯებსაც აქ ადამიანები აწყდებიან. აღმოვაჩინე, რომ თითქოს ძალიან მარტივი სქილები, აქ ძალიან ბევრ ადამიანს არ ჰქონდა, რაც ძალიან ურთულებდა იმ პროცესს, რომ ადაპტაცია გაევლო, იმ ბიუროკრატიულ ნაწილში გარკვეულიყვნენ. ინგლისურად მაინც ძალიან ცოტას გესაუბრებიან აქ, მაგრამ ნუ, მაინც არის, თუნდაც რომ სოციალიზდე, გახვიდე სადმე და გაიცნო ადამიანი, ენის ბარიერიც ბევრ ადამიანს აღმოაჩნდა“ (რ7. თმ. 3ნ. 20.03.2024).

რესპონდენტთა მონათხრობის მიხედვით, სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, მოქნილობა და მოტივაცია თანაბრად მნიშვნელოვანია: მათ წინ, ვინც უფრო მედეგია და ადვილად ადაპტირდება, მეტი კარი იხსნება. მეორე მხრივ, ეს მოცემულობა, მზაობისა და უნარიანობის მტკიცების მუდმივი აუცილებლობა, ტრავმასა და სისტემურ ბარიერებთან გამკლავების პარალელურად, ერთგვარი წნეხია.

„ეს კომისარიატი მოგცემს ცხოვრების უფლებას, რეზიდენტობას თუ არა, მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, შენ რა ინფორმაციას მიაწვდი და როგორ აუხსნი, რატომ გემუქრებოდა შენს ქვეყანაში საფრთხე და ა.შ. ბევრ ადამიანს არ აქვს

ამ ყველაფრის რესურსი, თუნდაც სიტყვებს მოუყაროს თავი, ჩამოაყალიბოს თავისი აზრი ვერბალურად და გადასცეს და არც მენტალური მდგომარეობა აქვს, ბევრ ადამიანს კი არა და, თითქმის ყველას, ვინც საქართველოდან ჩამოდის" (რ7. თმ. 3წ. 20.03.2024).

საიმიგრაციო სერვისები ქვიარ მიგრანტებს მიმღებ ქვეყნებში სხვადასხვა ხარისხის მხარდაჭერას სთავაზობს – დროებითი საცხოვრისიდან, დასაქმების პროგრამებამდე. მართალია, თავშესაფრის მაძიებელ რესპონდენტთა უმეტესობა აცნობიერებს ინსტიტუციური მხარდაჭერის კრიტიკულ მნიშვნელობას, ეს ინტერვენციები ყველასათვის თანაბრად ეფექტიანი არ არის და მათი მიზანი, რომ მიგრანტი რაც შეიძლება ცოტა ხნით იყოს დამოკიდებული სერვისზე, სხვადასხვაგვარად აღიქმება. აქაც, მონათხრობთა მიხედვით, ქვიარ მიგრანტთა დამოკიდებულებას, ისევე როგორც სერვისისგან მაქსიმალური სარგებლის მიღების შანსებს, ისეთი პერსონალური მახასიათებლები განაპირობებს, როგორიცაა მოტივაცია, სითამამე და მკაფიო მიზნები.

„30 წლამდე ვინც არიან, მოდიან განსაზღვრული მიზნით, რომ აქ კარგად უნდა იცხოვრონ. მერე რა გამოსდით, ეგ ცალკე საკითხია, მაგრამ ჩამოყალიბებულები არიან, რომ მივდივარ ევროპაში, ჩემი იდენტობა, ჩემი გეი ორიენტაცია და ა.შ. და ასაკოვნები, როგორც მანდ აქვთ უკანა პლანზე, დამალული, ისე არიან აქაც" (რ4. მ. 18წ. 16.03.2024).

„რომ გქონდეს ქვეყანაში დაბრუნების საშუალება, არცთუ ისე რთულია: ერთ-ერთი ენა უნდა იცოდე მინიმალურ დონეზე. ასევე ინტეგრაციის კურსი, რაც უნდა გაიარო აქ, შემდეგ მიდიხართ ცენტრში, წერ გამოცდას და არცთუ ისე რთულია, თან შესაძლებლობას გაძლევენ, ეს გაიარო ინგლისურად, რუსულად, ზოგ ქალაქში თურმე ქართულადაც ყოფილა. [...] საქართველოდან მაინც მარტივად ჩანდა, რომ ორ კურსს გაივლი, იქ სამსახური და უცებ გახდები მოქალაქე და აქ იმდენი სირთულე იმალება ამ ბიუროკრატიაში და გაწელილ პროცედურებში, დრო ძაან მიაქვს" (რ24. თმ. 5წ. 27.05.2024).

მუშაობა, თუნდაც პრეკარიული, ერთ-ერთი ცენტრალური თემაა მიმ-ღებ ქვეყანაში ინტეგრაციაზე საუბრისას. მომსახურების სფეროში ან დროებითი კონტრაქტებით მუშაობა მიგრანტებისთვის არა მხოლოდ შე-მოსავლის წყარო, არამედ ერთგვარი პროგრესის მარკერია. გარდა ამისა, მართალია, ამგვარი შრომისათვის დამახასიათებელი არასტაბილურობა ზოგს საკუთარი მისწრაფებებისგან აშორებს და ფრუსტრაციაში აგდებს, ბევრის მიერ წინსვლის საწინდრად და გრძელვადიანი თვითგანვითარების გეგმის დასაწყისად აღიქმება.

„ჩემი ბექგრაუნდი საერთოდ არ შეესაბამება იმას, რასაც დღეს ვაკეთებ, არ შეესაბამება ჩემს ღირებულებებს საერ-თოდ, მაგრამ რადგანაც საქართველოდან ხარ, კრედიტები ბევრი არ ითვლებოდა და უნდა გამეკეთებინა რაღაც, რომე-ლიც დაკავშირებული იყო ჩემს ბაკალავრთან და მაგიტო გა-ვაკეთე კომუნიკაციები, რომელსაც არა უშავს, not the best, but ok [არ არის საუკეთესო, მაგრამ არა უშავს]. მერე სამ-სახური ვიპოვე კორპორაციაში, მარკეტინგში ვმუშაობდი 2 წელი. და პასპორტი რომ ავიღე, იმ დღეს პირველი თუ ორი საათი იყო, მეორე დილას სამსახურში დავწერე განცხადება და წამოვედი, ეს იყო ძაან ბედნიერი დღე და [ხელი მოვკიდე საქმიანობას, რომელიც მაინტერესებდა და შეესაბამებოდა ჩემს ინტერესებს]“ (რ12. მ. 12წ. 08.04.2024).

„აქ ვისწავლე მოთმინება და საკუთარი თავის კონტროლი. საქართველოში ეს კონტროლი მერღვეოდა, იმიტომ რომ ვიღაცა რაღაცას არასწორს რომ გეტყოდა ან შეგეხებოდა, ვფეთქდებოდი და ადვილად გამოვყავდი წყობიდან. ეს მნიშ-ვნელოვანია, ანუ გავიზარდე. ადამიანს, რომელიც დალაგ-დება, სახელმწიფო აქ გაძლევს ყველაფერს იმისთვის, რომ ახალი ცხოვრება დაიწყო. თავიდან შეიძლება ბევრი მოგიწი-ოს იქ დილაუთენია ადგომა და ინტერვიუებზე სიარული და არ უნდა გააცდინო, შეიძლება დილის 6 საათზე იყოს, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია მომავლისთვის. რთულია ძალიან, მაგრამ მერე, შედეგი სახეზეა“ (რ19. თმ. 3წ. 01.05.2024).

„აქ ჩვეულებრივ ქარხანაში ვმუშაობდი თავიდან, ზოგჯერ არალეგალურადაც სხვადასხვა ადგილას. ძაან ძნელი იყო ჩემთვის, თან ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს. მაგრამ ეგრე მივუდექი თავიდანვე – ეს არის, რაც გამომადგება. ანუ, მე მჭირდება, რომ ეხლა გავიჭირვო“ (რ17. თმ. 4წ. 14.04.2024).

არაერთი რესპონდენტისთვის, ინტეგრაციის პროცესი, სოციალურად აქტიურობის თუ ლეგალური პროცედურების პასიურად ლოდინის პარალელურად, ასევე გულისხმობს თვითრეფლექსიის და თვითაქტუალიზების, მათ შორის, გენდერული თვითგამორკვევის პერიოდს – ერთგვარ პაუზას საკუთარ წარსულ გადაწყვეტილებებსა და მომავალ შესაძლებლობებზე დასაფიქრებლად. რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ საქართველოს რეალობიდან ფიზიკურმა დისტანცირებამ, მით უფრო, მხარდამჭერ ინსტიტუციურ ზრუნვაში მოხვედრის შემთხვევაში, პირველ რიგში, უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფით, მათ მისცა დრო და სივრცე საკუთარ მისწრაფებებზე დასაფიქრებლად, რისი ფუფუნებაც საქართველოში ყოფნის პერიოდში, მუდმივად თვითგადარჩენაზე ორიენტირებულებს, არ ჰქონიათ.

„აქ თავიდან, ექვსი თვე მომიწია სოფელში ცხოვრება, სადაც სულ ორი სახლი იდგა მგონი. მანამდე მსგავსად და ასეთ სიმშვიდეში არ ვყოფილვარ და გავიაზრე, რომ მთელი ცხოვრება ვფართხალებ, თავს ვიცავ, ვიბრძვი და აქ უცებ ისიც გავიაზრე, რომ როგორ უნდა მოვეშვა და მოვდუნდე, ეგეც არ ვიცი. სულ დაძაბული ვარ და ახლა და ახლა ვცდილობ, რომ განვიკურნო მაგ ყველაფრისგან. ძაან ბევრი რაღაცები ავიკიდე, რა, იმდენად სტრესული გარემოა. [...] რა დონეზეც შესაძლებელი იყო, რომ საქართველოში ამაზე მეფიქრა, იმ დონეზე, მანამდეც ვფიქრობდი. მაგრამ, როდესაც ამ ყველაფრიდან გამოდიხარ და შორიდან აკვირდები და გაანალიზებას უკეთებ, ეს კიდევ სხვა რაღაც არის. საქართველოში ორი დღეც არ იქნებოდა, რომ იმ საზოგადოებასთან შეხება არ მქონოდა. როგორ შეიძლება მანდ, ანუ ძაან რთული არის, რომ მსგავსი გადააზრება მოხდეს“ (რ8. თმ. 2წ. 20.03.2024).

„ჩემი [ტრანს] იდენტობა მე სულ ყოველთვის მახსოვს. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, ვინც ვიყავი. მაგრამ არც მქონია სურვილი, რომ ვინმესთვის მეთქვა. ჯერ ერთი, არც ვიცოდი, როგორ მეთქვა. ეგ ერთი. მერე არ არსებობდა ტერმინები. ვერ დაიწყებდი ლაპარაკს... მერე იყო, რა თქმა უნდა, ნდობის მომენტი. არავის არ ვენდობოდი საერთოდ. არც მიფიქრია, საერთოდ. რომ ვთქვა, რომ მინდოდა ჩემს თავში გამორკვევა, არ მქონია. [...] დაპაუზებულივით ვიყავი, როცა იცი, რაღაც უნდა გააკეთო, მაგრამ ჯერ არა... მიზანთან რომ მიდიხარ ახლოს და უკვე ხელის გაწვდენაზე ხარ, აქ უკვე ასეთი რაღაც იყო, რა... მანდაც მეგონა, რომ ყველაფერი იქნებოდა ძალიან რთული... და როცა აღმოჩნდა არართული... წავედი თემის ფსიქოლოგთან, რაღაც ველაპარაკე... პროტოკოლია ასეთი... გიკეთებს ყველანაირ კვლევას და გინიშნავენ მერე, რაც არის საჭირო. როცა მივედი ოჯახის ექიმთან და ჩვეულებრივად რომ დამელაპარაკა და მიმართვა მომცა. მერე ფსიქიატრთან რომ მივედი და ისიც ჩვეულებრივად დამელაპარაკა, მერე ენდოკრინოლოგთან რომ მივედი და ისიც ჩვეულებრივად დამელაპარაკა, მერე ვიფიქრე, რომ აქამდე რატომ არ [დავიწყე ტრანზიცია]...“ (რ4. მ. 18წ. 16.03.2024).

„სიმშვიდე იმან მოიტანა, რომ აღარ ვხედავდი იმ ჭაობს, რა ჭაობსაც ვხედავდი და გავდიოდი ყოველდღე საქართველოში. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება აქ არის სხვა. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება თბილისში იყო სხვა. [...] ჩემი ცხოვრება აქ იწყება დილით ყავით, მთელი დღე ჩემს თავთან ყოფნით, სამეგობრო წრეში გასვლა. საქართველოში არასდროს მქონდა, იქ სულ უნდა გემუშავა, სულ უნდა გეფიქრა „არიქა, ქირა!“, „არიქა, ქუჩაში არ დავრჩე!“, საჭმელი და მსგავსი რაღაცები. სულ ასე ვიყავი. აქ მსგავსი პრობლემა არ მაწუხებს და ამიტომ ვცხოვრობ აქ მშვიდად და ამიტომ მოვიპოვე ეს სიმშვიდე“ (რ18. თმ. 1წ. 30.04.2024).

„რაღაც ეტაპზე ძალიან რთული იყო და, სიმართლე გითხრა, არც მქონდა დიდად ადამიანებთან კომუნიკაციის სურვილი,

იმიტომ რომ მთლიანად იმ სტრესების ჩამორეცხვაში ვიყავი, თერაპიას გავდიოდი და უფრო მეტად ვცდილობდი, რომ მენტალურად და ფიზიკურად აქ დავმიწებულიყავი, პირველ ეტაპზე, სანამ სხვა ადამიანებთან დავიწყებდი ურთიერთობას, მეგობრობას, გაცნობას, გინდ საქმიანს, გინდ მეგობრულს, იმიტომ რომ საქართველოდან მიღებული ეს სიმძიმე და ტრავმა ძაან დიდი ხნის მანძილზე მომყვებოდა ემოციურად" (რ7. თმ. 3ნ. 20.03.2024).

ეს მიგნებები მიგვითითებს, რომ სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს ვერ დავიყვანთ ინდივიდუალური და ინსტიტუციური პასუხისმგებლობების მარტივ განსაზღვრებებამდე – ის ამ ორი განზომილების დინამიკური ურთიერთკავშირია. ამასთან, გამოკითხული ქვიარ მიგრანტების ისტორიებში ჩანს, რომ ინტეგრაცია არა უბრალოდ ახალ გარემოზე მორგებას, არამედ იდენტობისა და მიკუთვნებულობის ხელახალ განსაზღვრებას მოიცავს.

სოციალური და კულტურული ადაპტაცია

სოციალური და კულტურული ადაპტაციის პროცესი ქვიარ მიგრანტებისთვის უპირველესად მათი იდენტობების ინტერსექციით, მოლოდინითა და მიმღები ქვეყნების წესრიგითაა განსაზღვრული. როგორც უკვე ვნახეთ, რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის, მიგრაციის გადაწყვეტილება საქართველოსგან განსხვავებული რეალობისკენ, უსაფრთხოებისა და აღიარებულობისაკენ სწრაფვითაა ნაკარნახევი. თუმცა, ახალ სოციო-კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია არაერთგვაროვანი, დინამიკური პროცესია, რომელიც უსაფრთხოების, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და სისტემური გამოწვევების რიგ თავისებურებებს უკავშირდება.

მოლოდინი და რეალობა

უკვე ნაწილობრივ ვნახეთ, რომ ერთ-ერთი პირველი, რასაც მიმღებ ქვეყანაში ცხოვრების დაწყებისას რესპონდენტთა დიდი ნაწილი აცნობიერებს, ისაა, რომ უსაფრთხოება და აღიარება არსად, – მათ შორის, არც სტერეოტიპულად მეტად ინკლუზიურ ევროკავშირის ქვეყნებში, – უნივერსალური

არ არის. მზარდი ანტიგენდერული თუ ანტიმიგრანტული მოძრაობები და რიტორიკა ქვიარ მიგრანტებს კვლავაც ტოვებს მარგინალურ მდგომარეობაში, დაუცველობის განცდით. ამ საკითხებზე რეფლექსირებისას, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ანტიმიგრანტული მოძრაობა და განწყობები, ძირითადად, რასობრივია, საქართველოდან მიგრირებულ ქვიარებს ნაკლებად მიემართება და მას უფრო მწვავედ ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან ჩასულები გრძნობენ. იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს მოძრაობები პოლიტიკურად მოტივირებულია და გავლენას ახდენს მიკროსოციუმებსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე – კერძოდ, რაც უფრო აქტიურია პოლიტიკურ ველში მიგრაციითა და გენდერული საკითხებით მანიპულაცია, მით მეტი გასაქანი ეძლევა საზოგადოებაში მტრულ განწყობებს, დისკრიმინაციასა და ძალადობას. შესაბამისად, რესპონდენტები ხშირად გამოხატავენ სოლიდარობას სხვა მიგრანტთა ჯგუფების მიმართ.

> *„მაგ მხრივ ძაან კარგად ვიყავი და ეხლაც, პრინციპში. როგორი რაღაცაა, იცი, რომ ჩემს გენდერულ თვითგამოხატვას აქ დიდად არავინ არ უყურებს. ყველას კიდია ეგ. საქართველოში როდესაც ჩამოვდივარ, ვგრძნობ, რომ იწყება „ეს საერთოდ ვინ არის – ტატუები აქვს, ფეხები გაუპარსავი!“ და ნუ, ხო ხვდები. ეს რაღაც, ბავშვები რომ ეკითხებიან მშობლებს, რომ „ეს გოგოა თუ ბიჭი, დედიკო?“. ხოდა, აქ არ არის ეს მომენტი, არ არის საერთოდ. მაგრამ აქ რაც არის კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი სათქმელი, რაშიც მე საკმაოდ გამიმართლა, არის, რომ კანის ფერი მაქვს საკმაოდ ღია. აქ ვისაც ძაან უჭირს, არიან ადამიანები, ვისაც უფრო მუქი ფერის კანი აქვთ, იმათ ბევრად მეტად მიემართებათ ეს [სიძულვილი]. მაგალითად, ჩემს თანამშრომელს, რომელიც არის სომხეთიდან, წინასაარჩევნო პერიოდში მიაჩეჩეს ბუკლეტი, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ „მიგრანტებო, წადით სახლში!“. გოგო არის ესპანეთის მოქალაქე. ხო, ეგეთი რაღაცეები უფრო მეტად არის. უფრო გამოხატულია, რაც ახალი მთავრობა მოვიდა, იმიტომ რომ რასიზმის და ჰომოფობიის გაცხადებული რუპორია. ანუ, უფრო გაცხადებული გახდა და ამიტომ რასიფიცირებულ ადამიანებს უფრო უჭირთ ამ მხრივ და უფრო ეჩხირებიან თვალში“ (რ26. მ. 7წ. 11.06.2024).*

„დამარეგისტრირეს კურსზე „როგორ გამოვიყენო კომპიუტერი“ და მე მაგ კურსზე ვუთხარი უარი, მეთქი, არ მჭირდება ეგ კურსი, არიან ადამიანები, ვისაც კომპიუტერი არ ჰქონია, არ უნახავს და სჭირდება და იმათ მე რატომ უნდა დავუკავო ადგილი, ხო? ერთ დღეს ვიღებ ძაან აგრესიულ ზარს, ქალბატონო, სად ხართ, რატომ არ მოხვედით შეხვედრაზეო? მეთქი, რა შეხვედრაზე და კომპიუტერის გამოყენება რომ გასწავლოთო. მერე ვურეკავ ამ სოცმუშაკს და ვეუბნები, მე ხომ შენ გითხარი, რომ არ მჭირდებოდა ეს კურსი და რატომ არ გააუქმე-მეთქი? და პირდაპირ მეუბნება, რომ უმეტესობამ არ იცის, უმეტესობას ტუალეტი არ უნახავს და უნიტაზის გამოყენება და სარეცხი მანქანის ჩართვა უნდა გვესწავლებინაო, ეგ კურსი აგცდათო, რა, მაგაზე ადგილი არ იყოო, მანდაც უნდა ჩამესვით, ტექნიკა როგორ გამოიყენოთ, რომ ისწავლოთო. ეგეთ დონეზე იწყება ეს რასიზმი. ქართველი რომ ხარ და თეთრი რომ ხარ, ეგ სითეთრის პრივილეგიები მოდის მერე და მერე, ვთქვათ, უნივერსიტეტში, როცა მე და, პირობითად, შავკანიან სტუდენტს, მე უფრო მარტივად მაპატიებენ რაღაცას და იმას უფრო რთულად. პირველ ეტაპზე ყველანი ვართ „არაბები“ (რპ. თმ. 3ნ. 14.03.2024).

თუმცა, ეს სოლიდარობა სისტემური დისკრიმინაციის ინტერსექციური ბუნების გაცნობიერებას მოჰყვება. არიან ისეთებიც, რომელთათვისაც მიგრანტთა სხვა ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი, გენდერისა და სექსუალობისადმი მათი განწყობაა.

„ქართველები არ აღიქმებიან როგორც თეთრი, აღიქმებიან როგორც არაბები, ამ ქვეყანაშიც, ჩვენთანაც, სამწუხაროდ, რასიზმი იმდენად არის გამჯდარი, რაც უფრო ეტყობა, რომ არ არის აქაური, გარემო სხვანაირად უდგება და ეპყრობა. სოციალური მუშაკიც მასე უდგება. მაგრამ ასევე ძაან რთული იყო ჩემთვის და დღემდე რთულია ბევრ ქართველ ქვიარ მიგრანტთან სივრცის გაზიარება. როცა მაქვს ხოლმე შეხვედრა, მხარდაჭერის რაღაცებს რომ ვთავაზობთ, ძალიან ხშირად ისმის რასისტული ფრაზები მათი მხრიდან, როცა საერთოდ

არ აქვს მნიშვნელობა, ვიღაცამ მოგაყენა შეურაცხყოფა, საშინელებაა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რატომ ვუსვამ ხაზს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ მეგობრები არ ვართ და მე მიზიარებ შენს გამოცდილებას, როგორც კოლექტივს, მოხალისეს, რომელმაც უნდა დაგიჭიროს მხარი. ძაან არის ჩვენშიც რასიზმი, მაგრამ იმის გამო, რომ რასიზმი იმდენად არ გვაქვს გააზრებული და ჩვენში არის, მე მგონი, ძაან ბევრი ქართველი ვერ ხვდება, რომ their struggle is intensified by the race struggle [მათ ბრძოლას რასობრივი ბრძოლა ამძიმებს], თვითონ აქვთ რასისტული განწყობები, როგორც აღვნიშნე, ძაან ხშირადაა, რადგან საკუთარ თავს არ აღიქვამენ მაგ ნაწილად. თუნდაც ის, რომ საცხოვრებლებში სოცმუშაკები ცუდად ეპყრობიან ან არ ეპყრობიან ისე, როგორც იმსახურებენ, ლინკს ვერ აკეთებენ, რომ ეს შეიძლება ასევე რასიზმთან იყოს დაკავშირებული" (რ12. მ. 12ნ. 08.04.2024).

ნებისმიერ შემთხვევაში, მიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული წინარწმენები თუ განწყობები ყველასათვის ქმნის მწვავე დაძაბულობის კერებს და ართულებს ურთიერთსოლიდარული კავშირების დამყარებას. ამგვარი წინააღმდეგობრივი მოცემულობები კი ცხადყოფს, რომ სტრუქტურული და ინტერპერსონალური დისკრიმინაცია ურთიერთდაკავშირებულია და გავლენას ახდენს როგორც ჩაგვრის გამოცდილებებზე, ისე სოლიდარობის შესაძლებლობაზე.

ადგილობრივი კულტურები

ადგილობრივ კულტურებთან ადაპტაციის გამოცდილება სხვადასხვაგვარია. რესპონდენტების მონათხრობთა შედარება აჩვენებს, რომ ქვიარ მიგრანტებს ადაპტირება ისეთ კულტურებში უფრო უადვილდებათ, სადაც ხალხის ტემპერამენტი ჰგავს ქართულს, – კერძოდ, ასახელებენ თბილ განწყობებს, სტუმართმოყვარეობასა და კოლექტივისტურ წესრიგს. ამისგან განსხვავებით, ჩრდილოეთის, მაღალი ინდივიდუალიზმით განსაზღვრულ კულტურებში ადაპტაცია მეტი გამოწვევით ხასიათდება. ყველა შემთხვევაში, მიმღები კულტურების ხალხთა მხრიდან ერთგვარი პერსონალური საზღვრების პატივისცემა და კეთილგანწყობა ბევრისთ-

ვისაა საერთო, როგორც ხელშემწყობი ფაქტორი უსაფრთხოების, ვალიდაციისა და ავტონომიურობის განცდისა – რაც საქართველოში მრავალ რესპონდენტს აკლდა.

„რაც შეეხება საზოგადოებას, ბებიაჩემი დამცინოდა, აქ იყო ჩამოსული, შენ აქაური ხარო, იმიტომ რომ რაღაცნაირად, ბევრს აქაურები არ მოსწონს, მაგრამ მე მომწონს, იმიტომ რომ ჩემნაირი ტიპაჟები არიან რაღაცებში, რომ არავის საქმეში არ ერევიან, ცდილობენ დიპლომატიურად მიუდგნენ და ა.შ. მომწონს ეს, კულტურის მაჩვენებელია, ჩემი აზრით. ერთმანეთთან რომ არ მიდიან, არ ახურებენ, როგორც საქართველოში, ძაან კარგია, რა“ (რ21. თმ. 5წ. 14.05.2024).

„ხო, აქ რომ ჩამოვედით, ხალხი რომ მიღიმოდა, რეალურად შოკში ვიყავი, მეთქი, ეს რა ხდება? სად ვართ? რომ გიახლოვდებიან ტიპები და გგონია, რომ აგრესიით მოდიან და სინამდვილეში, არა. იცი, როგორი განსხვავებული შეგრძნებაა?.. ძაან სხვანაირია“ (რ23. თმ. 2წ. 15.05.2024).

შესაბამისად, ადაპტაცია, თვითონ აქაურების მენტალიტეტიდან გამომდინარე, ჩემთვის ადვილი იყო. ძალიან ტოლერანტული ხალხი. აი, როგორი ტოლერანტული ხალხია, იცი? აი, ფაშისტი ტიპი რომ არის, ხომ იცი? აქაც არიან, ეგეთი ძალიან ბევრია. „ეს გეები, ეს ზანგები, ეს არაბები“ – ასე რომ ლაპარაკობენ. პირისპირ ეგეთი ტიპი რომ დაგიდგეს და რომ მოუყვე, რომ მე გეი, ზანგი, არაბი ვარ, შეიძლება სახლში დაგპატიჟოს. ადამიანურ დონეზე ეგრე არიან... პოლიტიკური გავლენა რაღაც ჯგუფებს ეტყობათ, მაგრამ მერე უკვე პირად ურთიერთობაში, მენტალობა აქვთ ძალიან ღია. რბილია და თბილი ხალხია. მართლა ძალიან ადვილი იყო, შესაბამისად...“ (რ4. მ. 18წ. 16.03.2024).

„სიმართლეს გეტყვი, აქცენტი ჩემთვის ყოველთვის ამაზე იყო. ორი წელი და სამი თვეა, რაც აქ ვართ და ცოტა ძნელი დასაჯერებელია, საერთო გარემოდან გამომდინარე, მაგრამ

სულ რაღაც ბოლო პერიოდში დავიწყე ის, რომ შეიძლება ხელჩაკიდებული ვიყო ჩემს პარტნიორთან ერთად და ამაზე აქცენტს მე თვითონ არ ვაკეთებდე. საკუთარ თავთან ჰომოფობიური დამოკიდებულება უკვე მე თვითონ მქონდა იმის გამო, რომ საქართველოს სიტუაციას ვიყავი მორგებული, ანუ ვუკრძალავდი ჩემს თავს ძალიან ბევრ რაღაცას და ამისი გახსნა ახლაღა დავიწყე. შეიძლება რაღაც გამოხედვა, ან რაღაც ესეთი ჰქონდეთ, რაღაც მომენტში, მაგრამ არავინ ამას არ გამოხატავს სიტყვიერად და არავინ ამას არ გამოხატავს აგრესიით, იმიტომ რომ იციან – შენ ხარ დაცული" (რ10. თმ. 26. 06.04.2024).

ამავე, უსაფრთხოების, ვალიდაციისა და ავტონომიურობის განცდაში დიდია დამცავი კანონმდებლობისა და მხარდამჭერი სერვისების არსებობისა და ეფექტიანობის როლი. რესპონდენტები ხშირად საუბრობენ როგორც „სხვა", მაგალითად, ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მიგრირებული ხალხის, ისე – ადგილობრივი ევროპელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ ჰომოფობიურ თუ რასისტულ ნიადაგზე. ეს გარემოება ზოგჯერ კონტრასტულად განსხვავდება მათი წარმოდგენილი რეალობისაგან და სწორედ ამ კონტექსტში, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს კანონის უზენაესობასა და ინსტიტუციურ მხარდაჭერას.

„მე არ ვთხოვ არავის, რომ [გულწრფელად] ფიქრობდეს ყველა ისე, როგორც ჩვენ გვაწყობს, არა უშავს, სახლში წადი, იფიქრე, რაც გინდა. მაგრამ გარეთ რომ გახვალ, რაღაცებს პატივს სცემ. მე ზუსტად ვიცი, რომ მატარებელში მიზის 14 მილიონი ნაცისტი ჩემ გარშემო, დარწმუნებული ვარ, მაგრამ ხმას ვერ ამოიღებენ, არ არსებობს" (რ13. მ. 96. 08.04.2024).

„თავშესაფარში რომ გადამიყვანეს, არ ვგავდი ქართველს, გარეთ ვიჯექი სკამზე და ორი ქართველი მომიჯდა, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, რომ შოკოლადები მოიპარეს და ძაან ბედნიერები იყვნენ და არ იცოდნენ, რომ ქართველი ვიყავი, მერე ვიღაცაზე გაიგეს, რომ ის დაუჭერიათ, ბიჭო, გაიგე და

ძაან საინტერესო იყო. ეგეთი ადამიანები რომ იგებდნენ, რომ ჩვენც ქართველები ვიყავით, ისე გვიყურებდნენ, რა, ეხლა საქართველოში იყოთ, ვიცით რასაც ვიზამდით და რას იზამ-დით-მეთქი, საქართველოდან იმიტო წამოვედი, რომ ეგეთ ხალხთან კომუნიკაცია არ მქონოდა და აქაც რომ იგივესთან მიწევს კომუნიკაცია, აქ სხვანაირად ვგრძნობ თავს, რა, უფ-რო ვუწევთ წინააღმდეგობას, უფრო გინდა, რომ შეხვიდე კა-მათში და ეკამათო, იმიტომ რომ იცი, რომ აქ ვერ გაგიბედავს იმდენს და თუ გაგიბედავს კიდე, შეიძლება შენც ეგ გინდო-დეს" (რ16. თმ. 1ნ. 07.04.2024).

„აქ უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს, რადგან თითიც რომ დამადონ ზედმეტად, ზუსტად ვიცი, რომ პოლიცია იმოქმედებს. მარტო პოლიცია კი არა, ორგანიზაციებიც იმოქმედებენ, პროსტა ერ-თი სმს-ი რომ გავუგ ზავნო და help me რომ დავწერო, მიპოვნიან თვითონ და ყველაფერს გააკეთებენ" (რ22. თმ. 2ნ. 15.05.2024).

„ამას წინ გეი აღლუმზე ვიყავით წასულები მე და ჩემი მეგო-ბარი. გამოვდივართ სახლიდან, ერთ-ერთ მეგობარს ლგბტ დროშა აქვს და მეორეს საქართველოს დროშა. ამ დროს ჩაი-არეს ქართველებმა და რაც არ უნდა აგრესიული იყოს და არ მოწონდე, ვერ გეუბნება ვერაფერს, იმიტომ, რომ იცის, ერთი ხმა თუ ამოვიღე, მაგარ დღეში ჩავარდება. უნდათ, არ უნდათ, იცავენ კანონს" (რ1. თმ. 3ნ. 11.03.2024).

„აქ ქუჩაში მართლა ტრანსუხული ვიდი რომ გქონდეს და არც ქალი იყო, არც კაცი, ვაბშე უჟასი რომ იყო და ქუჩაში ფეხებგა-უპარსავი გახვიდე, მაღალქუსლიანებით, თითს ზედმეტად არა-ვინ არ დაგადებს, არავინ არ შემოგხედავს, არავინ არ გეტყვის «ეს რატომ გაცვია?". აქ საზოგადოება არ ინტერესდება ამით. შეიძლება ათასში ერთი ასეთი გამოვიდეს, მაგრამ ან არაბი, ან თურქი და ქართველი ისევ, თორემ თვითონ გერმანელი, შანსი არ არის, რომ აგრესია გამოხატოს, არ არსებობს. მეტად სიმ-შვიდე არის და მეტად დაცულობა არის, იმიტომ რომ აქ არის ძალიან მკაცრი კანონები" (რ18. თმ. 1ნ. 30.04.2024).

„რაც არ უნდა იყოს, ეგ მომენტი გიქმნის უსაფრთხოების განცდას, რომ შეიძლება მორალურად რაღაცები ვერ მოითხოვო, მაგრამ შეგიძლია შენი უფლებები დაიცვა. თუმცა, აქაც არის შემთხვევები, როცა შეიძლება პოლიციამ რაღაცაზე დაგცინოს და თავისი სუბიექტური დამოკიდებულება გამოხატოს, რა საზოგადოების წარმომადგენელი ხარ, შეიძლება მაგის მიხედვით გაუჩნდეს წარმოდგენა შენ მიმართ, მაგრამ იშვიათია, არ აქვს უფლება და რომ უჩივლო და ბოლომდე მიიყვანო საქმე, ძაან ცუდი რაღაც დაემართება“ (რ8. თმ. 2წ. 20.03.2024),

ამ ერთმნიშვნელოვანი უპირატესობების მიუხედავად, მიგრანტობა ბევრისათვის რჩება იმგვარ სტიგმად, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს როგორც სოციალურ ინტერაქციებზე, ისე მიკუთვნებულობის ზოგად განცდაზე. სტიგმა მოქმედებს ყოფით სიტუაციებზე, არასათანადო დამოკიდებულებებით სოციალურ და ინსტიტუციურ კონტექსტში.

„ერთხელ პარკში ვისხედით, როცა გადმოვიდა ორი პოლიციელი და ჩვენი ისეთი ჩხრეკა დაიწყეს, რომ საფულეებიც გახსნეს და ეს პოლიციელების მიმართ შიში ქართველებს ხომ ძაან გვაქვს და ეგრევე ისტერიკა დამემართა, მეთქი, ვსიო, მაგდებენ აქედან. თავიდან რომ ჩამოდიხარ, არ იცი შენი უფლებები კარგად და ისევ გგონია, რომ იქ ხარ და ის უნდა მოხდეს, რაც იქ უნდა მომხდარიყო. რომ დაგვიწყეს ჩხრეკა, მაგ მომენტში რომ გამეცნობიერებინა, რომ არ ჰქონდათ მაგის უფლება და რას ნიშნავს, რომ საფულეს მიხსნი?! იმიტომ რომ დილერები ვეგონეთ. იმიტომ ვეგონეთ, რომ ვიზუალურად ისე გვეცვა – ჰიპ-ჰოპს ვუსმენ და ისე მევასება ჩაცმა, ანუ სტერეოტიპულად შემოგვხედეს და დაგვსტრესეს. ეგრევე დაგვიწყეს აგდებული ლაპარაკი: „ა, თქვენ რეფუჯები ხართ, ხო?“ და რაღაცები და ძაან ცუდად ვიგრძენი თავი. მე ტირილი დავიწყე, რადგან ძაან დავისტრესე, მაგრამ მაინც არ გაჩერდნენ. ბოლოს, რომ მიხვდნენ, არაფერი არ გვქონდა, შეგვეშვნენ“ (რ8. თმ. 2წ. 20.03.2024).

„აქ პირველ დღესვე ჩავბარდით. გუშინ მოგწერე კიდეც, რომ თავშესაფრის მაძიებლებთან და არალეგალურად მცხოვრებლებთანაც ძაან საინტერესო ინფორმაციას მიიღებ, იმიტომ რომ შენ ადამიანად აქ მაშინ გთვლიან, როცა გაქვს საბუთი. სანამ შენ ხარ თავშესაფრის მაძიებელი, სანამ შენ დგახარ იმ რიგში, არავინ არ ხარ, სულ რომ კვდებოდე, სასწრაფოს გამოძახების უფლება არ გაქვს“ (რ3. თმ. 3წ. 14.03.2024).

„აქაური სიტუაცია ჯანდაცვის მხრივ და, მით უმეტეს, ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ, არის კატასტროფა, უარესდება და უარესდება. რესურსები აქვთ ძალიან მწირი და შეიძლება თვეები მოგიწიოს ლოდინი. ქვიარობა იმდენად არა, უფრო ჩემი მიგრანტობის ბექგრაუნდი იყო და არის ის, რაც მოწყვლადს მხდიდა ამ ჯანდაცვის სფეროში. მერჩივნა ხოლმე, მანდ ჩამოვსულიყავი და მანდ მივსულიყავი ექიმთან“ (რ9. მ. 6წ. 23.03.2024).

„რაც შეეხება ზოგადად უსაფრთხოების თემას, რა თქმა უნდა, გააჩნია, საიდან მოდიხარ, რომელ ქვეყანაში იყავი როგორც ქვიარ ადამიანი. ზოგისთვის არის, რომ გადავრჩე და ქუჩაში ვიღაცამ არ მომკლას. ჩემთვის ეს არ უნდა იყოს რეფერენსი და ზღვარი, უსაფრთხოება არის მაშინ, when you have the feeling of belonging [როგა გრძნობ მიკუთვნებულობას]. ამის შეგრძნება ამ ქვეყანაში, ქვიარ მიგრანტისთვის, ძალიან რთულია. გარდა იმისა, რომ ეს ინსტიტუცია და სისტემა საერთოდ გინგრევს შეგრძნებას, რომ რამე ღირებულება გაქვს, მერე არის, რომ ქუჩაში, მაგალითად, ძაან ხშირია ჰარასმენთი. მაგრამ [...] ეს ლტოლვილის და თავშესაფრის მაძიებლის იარლიყი მოგდევს სულ. ძალიან ბევრ ადამიანთან მქონია ლაპარაკი, მითხოვია, რომ შეგიძლია სამსახური დააწყებინო? ერთი თავშესაფრის მაძიებელია ჩამოსული და მითხოვია fellow queer person who i think is a kind person [მეგობარი ქვიარისთვის, რომელიც კეთილი ადამიანი მგონია] და უხსენებია, რომ if your refugee friend wants to send me a message [თუ შენი ლტოლვილი მეგობარი მომწერს – „ლტოლვილზე“ ხაზგასმით].

მაშინაც კი, როცა რაღაც სერვისები არის და ინიციატივები, რეალურად კარგი განზრახვით და კარგი ინიციატივები, რომლებსაც შეუძლიათ მართლა დაეხმარონ ადამიანს, სულ არის ხოლმე REFUGEE-ებისთვის [ხაზგასმით, ლტოლვილებისთვის]. თავშესაფარში რეფიუჯი ხარ, სოცმუშაკისთვის რეფიუჯი ხარ, დათას მეგობრებისთვის რეფიუჯი ხარ და ინტერვიუზე მიდიხარ და იქაც რეფიუჯი და ირგვლივ რეფიუჯიები, სკოლაში მიდიხარ, რომ ისწავლო და იქაც, ამ მასწავლებლებშიც ძაან იგრძნობა ეს ფამილარული, „როგორ არის თქვენ ქვეყანაში...?" და ვფიქრობ, ძაან ბევრ ქვიარ ადამიანს ეს წლების განმავლობაში მიყვება და, ჩემი აზრით, უსაფრთხოებისა და მიკუთვნებულობისთვის ძაან მნიშვნელოვანია, რომ ეს ესე არ იყოს, მაგრამ ამას დასჭირდება სოციუმის ცვლილება და სისტემური ცვლილება, რომელიც ძაან დაფუძნებულია ამ დისკრიმინაციაზე" (რ12. მ. 12წ. 08.04.2024).

ტრავმა და ჰიპერვიგილანტობა

სისტემური ძალადობის, ჰომოფობიისა და არასტაბილური საცხოვრებელი პირობების გამოცდილება, როგორც საქართველოში, ისე მიმღებ ქვეყნებში, მნიშვნელოვან ემოციურ სტრესს იწვევს. რამდენიმე რესპონდენტი აღწერს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) ნიშნებს, როგორიცაა მუდმივი ჰიპერმგრძნობელობა და უნდობლობა სოციალური სისტემების მიმართ და უსაფრთხოების განცდის სირთულე, დეკლარირებულად მხარდამჭერ გარემოშიც კი.

რესპონდენტთა ნაწილისთვის ტრავმა მხოლოდ წარსულით არ შემოიფარგლება და მათი ყოველდღიური ცხოვრების განმეორებად მდგომარეობად იქცევა. ისინი აღწერენ მუდმივ ჰიპერვიგილანტობას, რომელიც თავდასხმის ან დისკრიმინაციის შიშზეა დაფუძნებული. ეს გავლენას ახდენს ქვიარ მიგრანტების შესაძლებლობაზე, დაამყარონ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, თავისუფლად ისარგებლონ საჯარო სივრცეებით და ინტეგრირდნენ ადგილობრივ საზოგადოებებში. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დამცავი კანონები მოქმედებს, რესპონდენტებს ხშირად უჭირთ უსაფრთხოების განცდის მიღწევა, რადგან ხანგრძლივი მოწყვლადობის ისტორია განსაზღვრავს მათ ქცევას და ემოციურ რეაქციებს.

ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქვიარ მიგრანტთა უსაფრთხოების განცდა და ადაპტაცია მჭიდროდაა დაკავშირებული მიმღები ქვეყნის სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ წესრიგთან. უსაფრთხო და თავისუფალი თვითგამოხატვის ხელშემწყობი კულტურები ქვიარ მიგრანტთა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ფუნდამენტური ბაზისია, მაგრამ მათ ყოველდღიურ ყოფას მეტწილად ფართო პოლიტიკური და სოციალური კლიმატი და ინსტიტუციური დაცვის მექანიზმები განსაზღვრავს.

თემი, ურთიერთშეხვედრა და მედეგობა

რესპონდენტების ლგბტქ+ სათემო ჩართულობისა და თემთან მიკუთვნებულობის დინამიკა განსხვავდება მიმღები ქვეყნის, კულტურული გარემოსა და ინდივიდუალური გამოცდილებების მიხედვით. კვლევის მონაცემების თანახმად, თემის კონცეფცია ფლუიდური და სიტუაციურია ქვიარ მიგრანტებისათვის, რომელთათვისაც თემთან მიკუთვნებულობა მოიცავს როგორც სოლიდარობის, ისე ახალ კულტურასთან ადაპტაციის გამოცდილებას.

იქ, სადაც საქართველოდან მიგრირებული ქვიარების რაოდენობა შედარებით მცირეა, რესპონდენტთა უმეტესობისთვის თემი მოიცავს სხვადასხვა კულტურული გამოცდილების ქვიარებს ნაკლებად პრივილეგირებული ქვეყნებიდან.[8] როგორც თავად აღნიშნავენ, ამ კონტექსტში, მარგინალიზაციის მსგავსი გამოცდილებები, იქნება ეს გენდერის და სექსუალობის თუ მიგრანტის სტატუსის ნიშნით, ერთგვარ მაკავშირებლად მუშაობს; ზოგჯერ კი – მოიცავს ქართველების მცირე ჯგუფს, რომელთანაც წარსულში მეგობრობა ან ნათესაობა აკავშირებთ. ეს ურთიერთობები ურთიერთმხარდაჭერაზე დგას, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად თანაბრად გააზრებული და გაზიარებულია საქართველოში გამოვლილი ქვიარ გამოცდილებები.

> *„კულტურული განსხვავებები არის ძაან მნიშვნელოვანი, რაც მე, მაგალითად, ძალიან დიდი ხანი ხელს მიშლიდა, და ეხლაც ხელს მიშლის იდეაში, რომ რაღაცა სხვადასხვა წრეში ვინტეგრირდე სოციალურად ადამიანებში, რა. და ამიტომ, ჩემი*

8 გლობალური სამხრეთის ან განვითარებადი, პოსტიმპერიალისტური ქვეყნები.

ძირითადი ბირთვი ადამიანების და თემის არიან აქაური, მაგრამ საქართველოში გაცნობილი, იმიტომ რომ საქართველოში მუშაობდნენ, ჩემი პარტნიორი და კიდევ ერთი მეგობარი, რომელიც ასევე ქართველია, მაგრამ აქ ცხოვრობს ეხლა და ასევე ქვიარია. და ნუ, კიდევ რამდენიმე ესეთი ადამიანი და პლიუს ამას, თანამშრომლები, რომლებიც გახდნენ ჩემი მეგობრები და არიან აღმოსავლეთ ევროპიდან, სამხრეთ კავკასიიდან ქვიარები. ანუ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან დიასპორას ვამაგრებთ ჩემს არჩეულ ოჯახში" (რ9. მ. 6წ. 23.03.2024).

„ეგ არის ჩემთვის უსაფრთხო სივრცე. უსაფრთხო სივრცე ჩემთვის თემია სინამდვილეში, რომ მინდა ქვიარ ადამიანების გარემოცვაში ვიყო, ქვიარ – ეს ზოგადი გაგებით, ლგბტქი – ყველა... განსაკუთრებით, უფრო არასისგენდერი კაცები. თუმცა, ეგენიც ხანდახან საყვარლები არიან. ეგენიც მყავს უფრო wider თემში, მაგრამ ახლო მეგობრები უკვე აუცილებლად ქვიარ უნდა იყოს, ეგ ის არის... მთავარი. და მერე უკვე მოდის, რომ მირჩევნია იყვნენ ან მიგრანტები, ან bipoc[9] ადამიანები. მაგრამ ვიღაცეები მყავს თეთრკანიანი ამერიკელი მეგობრები, კარგი, პრინციპში, ეხლა გამახსენდა. მაგრამ ნუ, მე უკვე იდენტობის პოლიტიკას გაცდენილი ვარ, უკვე ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ კარგი ადამიანი იყოს, კარგი ღირებულებები ჰქონდეს და ამ ღირებულებებს პრაქტიკაში ახორციელებდეს. ძაან მკიდია, ჰეტერო ხარ თუ თეთრი ხარ თუ ვინ" (რ27. მ. 11წ. 7.06.2024).

ქვეყნებში კი, სადაც თავშესაფრის მაძიებლები ერთგვარ ქართულ ქვიარ დიასპორას ქმნიან, – და ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს ბელგიაში, სადაც შედარებით დიდი ქართული ქვიარ სათვისტომოა, – კოლექტიური ორგანიზების და აქტივიზმის სხვადასხვაგვარ ფორმებს ვხვდებით. რესპონდენ-

9\ Black, Indigenous, people of color (bipoc, ბაიფოქ) – შავკანიანი, მკვიდრი და ფერადკანიანი ხალხები. რასობრივი და ეთნიკური ჯგუფები, რომლებსაც ისტორიულად აქვთ ჩაგვრის გამოცდილება.

ტების დიდი ნაწილი ამბობს, რომ აქტიურადაა ჩართული სპეციფიკურად ქართველი ქვიარ მიგრანტების საჭიროებებზე საპასუხო თანასწორთა მხარდაჭერის ქსელსა და ადვოკატირების ინიციატივებში. ამ ერთგვარი ქსელის უპირველესი ფოკუსი საემიგრაციო პროცედურების, სირთულეებისა და ბენეფიტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაა. რესპონდენტთა ნაწილი მიმღებ ქვეყანაში პროცედურებისა და ყოფის შესახებ სხვადასხვა ფორმალური საინფორმაციო მასალის თარგმნა-გაზიარებითაა დაკავებული სპეციფიკურად ქართველი ქვიარებისთვის, რომელთაც ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრირებულებისაგან განსხვავებით, ხშირად მწვავედ უდგათ ინსტიტუციური თუ ინტეგრაციის სირთულეები. ფორმალური ინფორმაციის გარდა, რესპონდენტთა უმეტესობა ზეპირსიტყვიერად უზიარებს საკუთარ პირად გამოცდილებას ქვიარების ფართო ქსელს. ზოგიერთი ინიციატივა საერთოდაც სცდება ქვიარ თემს და უფრო ფართო სპექტრის დისკრიმინაციას მიემართება. როგორც მონათხრობებიდან ჩანს, თავშესაფრის პროცედურების, ბინადრობის აპლიკაციებისა და ბიუროკრატიული სირთულეების შესახებ პირველადი გამოცდილებების გაზიარება არა მხოლოდ პრაქტიკულად ამარტივებს გამოწვევებს, არამედ ახალჩამოსულებს იზოლაციის განცდასაც უმცირებს.

„მანდ დიდად არ ვიყავი თემში, იმიტომ რომ კი ვიცნობდი, მაგრამ მეგობრობით არ ვმეგობრობდი და მაინც მარტო ჩემი თავი მყავდა. აქ ძაან დიდ საფორთს ვგრძნობ ხოლმე ჩემი მეგობრებისგან და ადამიანებისგან, ვინც ახლოს მყავს. დღემდე ძალიან ბევრ რამეში მეხმარებიან და აი, მაგათ გარეშე რას ვიზამდი, ზუსტად ეგ სიტუაციაა. სხვა ქვიარ ადამიანებიც ერთმანეთს ძაან გვერდში უდგანან აქ უფრო, ვიდრე მანდ, ჩემი აზრით“ (რნ. თმ. 26. 19.03.2024).

„მომიწია რაღაც ინფორმაციების დაორგანიზება, იმიტომ რომ ძაან ბევრი რამე რომ ვიცი, მეც ჩემი ცხოვრება მაქვს, ვსწავლობ, ვმუშაობ, ყველა ადამიანს ვერ მივაწვდენდი ხმას და ვიპოვე ის ადამიანები, რომლებიც ჩემზე დიდი ხანია აქ ცხოვრობენ, რაღაცა პროექტებს წერენ, თავის პლატფორმები აქვთ და დავიწყეთ მაგ ყველაფრის ორგანიზებული სახის მიცემა და დასაბუთება, რომ მნიშვნელოვანი არის, რომ

ადამიანები გადარჩნენ. [...] თავიდან მარტო ქართველებს ვეხმარებოდით. თავშესაფრებში მივყვებოდით, სადაც ქუჩაში რჩებოდნენ კაცები, ანუ ახლაც ეგრე არის – მარტოხელა კაცი თუ ხარ, გეი ხარ თუ არა, არ აქვს მნიშვნელობა, არ არის თავშესაფრებში ადგილები და შეიძლება თვეები დაგტოვონ ქუჩაში. მაგ დროს არსებობს სასწრაფოს მაგვარი სოციალური სერვისი და ქუჩაში თუ ცხოვრობ და ყინავს, მოვლენ და რაღაცა სასტუმროში წაგიყვანენ; თუ არ ყინავს, მოვლენ და საბანს დაგაფარებენ და, მინიმუმ, მაგათთან ვაკავშირებდით და იმ ადგილებში, სადაც დღის განმავლობაში მისვლა, გათბობა, ჭამა შეეძლოთ. ძაან ბევრგან ვთარგმნიდი, მე გუგლ თრანსლეითში მეწერა ტექსტი გამზადებული, მაგრამ იმათ მაგის პასუხიც არ ჰქონდათ, რომ გამართულად წაეკითხათ, რისი თქმა უნდოდათ. [...] ვინც არიან თურქეთიდან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ძაან საშინელ, ყველანაირ ისეთ დისკრიმინაციას გადიან, რომ პირი მაქვს ღია დარჩენილი. და დავიწყეთ მოძებნა, ამ მასალის გადათარგმნა არაბულად, თურქულად, სხვა ენებზე და საჯარო გახდა ეს პლატფორმა. [...] კიდევ რა გამოცდილებაც მაქვს ფულის გასესხების, აქ არასოდეს არ შემქმნია პრობლემა, 5 ევრო იქნება თუ 200, უეჭველი თვის ბოლოს ყველას ერთნაირად ერიცხება, ხელფასი იქნება თუ დახმარება და ერთმანეთს ვუბრუნებთ. ამიტომ ქუჩაში არავინ ასე არ დარჩენილა. ვისზეც ვიცით, რომ ქუჩაში რჩება, ყველას გვაქვს რაღაცნაირი პასუხისმგებლობა ერთმანეთზე აღებული“ (რ3. თმ. 3ნ. 14.03.2024).

„ზუსტად ეგ არის ჩემი მიზანი, რომ ფოკუსი მქონდეს მაქსიმალურად იმაზე, რომ – მე ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, სხვადასხვა ჩატები, ჯგუფები მაქვს შექმნილი თემის წევრებთან, ახალგაზრდა თემის წევრებთან, მით უმეტეს, და გვინდა, რომ ინტეგრირებას, ზუსტად ეგ არის ჩემი მიზანი, რომ მაქსიმალური ადგილობრივ ახალგაზრდებთან ინტეგრირების კუთხით რაღაც ნაბიჯები გადავდგა. [...] ბევრი ადამიანი, თემის წევრები, მათ შორის, მეუბნება, რომ რაღაც სხვა აინტერესებს ან უბრალოდ ადამიანის გაცნობა უნდა და უამრავი

პროექტი არის, მათ შორის, ლგბტ კუთხით, სადაც მე აქტიურად ჩართული ვარ და ვუზიარებ ამ ადამიანებს ინფორმაციას. [...] შესაბამისად, თემი აქ, მე ვიტყოდი, რომ აქ კიდევ უფრო მეტად აქტიურია. აქ საპროტესტო აქციებს რომ ვმართავთ, 90% თემის წევრი დგას, თუ მოხოდილი ვინმე არის აქ, არის თემის წევრები და, შესაბამისად, თან იდეები აქვთ, გიჟური იდეები აქვთ, რომლის კეთებაც უნდათ, რომელსაც იქ ვერ აკეთებდნენ, იქ ვერ ახორციელებდნენ და ახლა აქ ერთად ვცდილობთ" (რ28. თმ. 5წ. 06.06.2024).

აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველ მიგრანტებთან ყველა კომუნიკაცია არ არის პოზიტიურ გამოცდილებად აღქმული. რესპონდენტთა ნაწილის თქმით, საქართველოდან წამოსული ქვიარები ხშირად თავიდანვე დისტანცირდებიან უფრო ფართო ქართველ მიგრანტთა ჯგუფისაგან, უმეტესად ჰომოფობიური ინციდენტების თავიდან ასარიდებლად – იქნება ეს საემიგრაციო დაწესებულებებში თუ ყოველდღიურ კონტექსტში. მაშინ როდესაც სხვა მიგრანტები შესაძლოა ნაკლებად, ან საერთოდ არ იყვნენ სოლიდარული ქვიარების მიმართ, ქვიარების ჯგუფებში ურთიერთობებიც საკმაო კომპლექსურობით ხასიათდება. ზოგიერთი რესპონდენტი ამბობს, რომ თავს არიდებს ქართველების ლგბტქ+ ჯგუფებს, რადგან ხშირია არაკეთილმოსურნეობა, ემპათიის ნაკლებობა და კონკურენცია, რაც დაძაბულ და უსიამოვნო დინამიკას ქმნის.

„ლგბტ თემის ყველა წევრს რაც განასხვავებს სხვა მიგრანტებისგან, არის ის, რომ თვითონ მიგრანტები, რომლებიც ჩამოდიან, ეგრევე ქართველებს ეძებენ და ლგბტ თემის წევრები ყველანაირად ერიდებიან ქართველებს" (რ4. მ. 18წ. 16.03.2024).

„ისევ ჰომოფობია. მე აქ ჩამოვედი იმისთვის, რომ ნორმალურად ვიცხოვრო და ისევ იმ ლაფში არ ჩავჯდები, რა ლაფშიც საქართველოში ვიყავი. ეგ რომ მდომებოდა, დავრჩებოდი" (რ1. თმ. 3წ. 11.03.2024).

„რეალურად, აქ ჩამოსული ქართველების უმეტესობა, თემის წევრების უმეტესობაც, იმ დონემდე მიგიყვანენ, რომ თვითონ ეს ქეისად დაიდონ. თემის წევრებშიც ხდება ეგ. თან, ყველა ყველაზე ლაპარაკობს. [...] საქართველოშიც და აქაც გვყავს ძალიან ვიწრო წრე, ვისაც შეგვიძლია ვენდოთ და ვისთანაც ვმეგობრობთ, იმის იქით, ვსო, თემის წევრებთან არ მინდა არანაირი შეხება. მიუხედავად იმისა, რომ მეც მაგათი თემის წევრი ვარ, ისე იქცევიან, რომ ჩემთვის მიუღებელია ბევრი რაღაცა. მირჩევნია, ისეთ ადამიანთან ვიმეგობრო, ვისთანაც ვიცი, რომ ნორმალურად ვიაზროვნებ და ვილაპარაკებ. ხან გაგინებენ, ხან გემუქრებიან, ხან გცემენ, რატომ გცემენ, თვითონაც არ იციან... რატომ გაგინებენ, ეგეც არ იციან. ისიც მეყოფა, საქართველოში ჰეტეროები რომ მაგინებდნენ და აქ კიდე თემის წევრები რატომ მაგინებენ, არ ვიცი. ბზარებია წასული ძაან თემში. გონიათ, რომ ვიღაცაზე მაღლა დგანან, მე მაგალითად არასოდეს არ გავაკეთებ ისე, რომ მე რომ რაღაცა საქმე წინ წავიგდო, მაგის გამო, ვიღაცას ვუპოდლო, ასე ვთქვათ. და ამათ მართლა ფეხებზე კიდიათ ყველაფერი. არც ადამიანობა გააჩნია ბევრს, არც შეგნება და არც არაფერი“ (რ23. თმ. 2წ. 15.05.2024).

აღწერილი ურთიერთმიმართებები ხაზს უსვამს თემის ფორმირების სირთულეებს ამ მცირე დიასპორულ ჯგუფში, რომელსაც იერარქიულობა და ინტერპერსონალური კონფლიქტები ახასიათებს, რაც რესპონდენტებს ხელს უშლის ჯგუფთან მიკუთვნებულობის ჩამოყალიბებაში.

ამ გამოწვევებით სავსე კონტექსტში, უსაფრთხო სივრცის კონცეფცია ცენტრალური აღმოჩნდა მიმღებ ქვეყნებში სათემო დინამიკაზე საუბრისას. არაერთი რესპონდენტი ლაპარაკობს საკუთარ სურვილებზე ან უკვე რეალიზებულ ძალისხმევაზე, შექმნას კოლექტიური სივრცე თავისუფალი თვითგამოხატვის, ურთიერთგაზიარებისა და განმრთელებისთვის. ასეთ სივრცეებს ვხვდებით სხვადასხვა ფორმით – ძირითადად, ეს არის არაფორმალური შეკრებები ან შემოქმედებითი ინიციატივები, როგორიცაა მუსიკალური სტუდია, კულტურული ღონისძიებები და თანამშრომლობითი სახელოვნებო პროექტები. ზოგიერთი მათგანი სპეციფიკურად საქართველოდან მიგრირებული ქვიარებისთვისაა განკუთვნილი, ზოგი

– ფართოდ, ქართველი ემიგრანტებისთვის, თუმცა, უმეტესობა მიმართულია ფართო აზრით მარგინალიზებულ ქვიარ ჯგუფებზე. რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ შემოქმედებითი ურთიერთკავშირები სცდება ეროვნულ და კულტურულ საზღვრებს და, ამდენად, მნიშვნელოვანია ამგვარი ინიციატივების უფრო ფართო აზრით ინკლუზიურობა. ეს სახელოვნებო სივრცეები თავს უყრის ქვიარ მიგრანტებს სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონიდან და კროსკულტურული გაცვლის ფუნქციას ითავსებს. ისინი არა მხოლოდ თავისუფალი თვითგამოხატვის საშუალებას იძლევა, მრავალფეროვან ლგბტქ+ მიგრანტთა პოპულაციაში სოლიდარობის ხელშეწყობას ემსახურება, არამედ, ზოგჯერ, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ქვიარ მიგრანტების მხარდაჭერის საქმეში.

> *„საქართველოში რეალურად ნაკლებად ვიყავი აქტივიზმში ჩართული და აქ უფრო მივხვდი, რა არის მნიშვნელობა და რამდენად საჭირო არის და აქ უფრო მეტად დავიწყე საკუთარი თავის შინაგანად გაზრდა, როგორც აქტივისტის, მეტი ინფორმაციის მოძიება და რა ფორმით შეიძლება გამოხატო. ამ ეტაპზე ჩემთვის ხელოვნებაა ეგ, რაშიც ვხედავ, რომ თუნდაც ყველა ჩემი დიჯეისეტი მოიცავს იმას, რომ რაღაცას ვდებ, არ არის just [უბრალოდ] მუსიკა, რომელზეც მოვლენ ადამიანები და იცეკვებენ. ყოველთვის მაქვს რაღაც ტექსტი ან მუსიკა, ან იდეა ჩადებული, რაც კავშირშია სოციალურ თანასწორობასთან, იმ პრობლემებთან, რაც გვაქვს, რაც იქნება იმ მომენტში, ომი თუ ქვიაროობა, ყველაზე მეტად რაზეც ვფიქრობ და რის გამოკვლევაშიც ვარ. […] ვიცი, როგორ გვჭირდება, რომ ერთმანეთი გავაძლიეროთ და დავეხმაროთ. ამიტომ მივხვდი, რომ ჯგუფს უფრო მეტი ძალა აქვს ამ ქვეყანაში, ვიდრე ინდივიდს. ამან მიმიყვანა იქამდე, რომ კოლექტივი შემექმნა და კოლექტიურად დაგვემკვიდრებინა ახალ ქალაქში თავი და გვებრძოლა ჩვენი ვნებებისთვის, მიზნებისთვის და ა.შ. მოკლედ, ძალიან ბევრ რაღაცას აერთიანებს ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივი“ (რ7. თმ. 3წ. 20.03.2024).*

„ესე მოხდა, რომ 5 ივლისის მერე დამიკავშირდა ორი კვირის განმავლობაში 6 ქართველი ქვიარი ადამიანი, არ ვიცი საიდან ქონდათ ჩემი კონტაქტი იმიტომ, რომ არასდროს მიმუშავია არც მიგრაციაზე და არც თავშესაფარზე და ა.შ. ჩემი აზრით, ასე მიიღეს ინფორმაცია, რომ ქართველი ადამიანია, ქვიარია და იქნებ დაგეხმაროს რაღაცაში. მოკლედ, ესე მოხდა, რომ ამ ექვს ადამიანს რომ შევხვდი, ყველა იყო ქვიარი, ქართველი თავშესაფრის მაძიებელი და ყველას აერთიანებდა ის, რომ ცხოვრობდნენ ქუჩაში. ჩემთვის იყო, რომ თუ ეს ესეა, რა დროს სხვა პროექტების კეთებაა, მოდი, რაც რესურსი მაქვს, პატარა ორგანიზაციაა, სულ 2-ნახევარი ადამიანი ვართ, მაგრამ რა რესურსიც გვქონდა, ყველაფერი მოვახმარეთ ამას და დღემდე on a voluntary basis [მოხალისეობრივ საწყისებზე] ვცდილობთ, რომ სოციალური სამუშაო გავაკეთოთ, თარგმნაც გავაკეთოთ, თერაპიაც, რაც შეიძლება რომ გაკეთდეს იმისთვის, რომ ადამიანმა არ დაკარგოს საკუთარი თავი. მე რომ დამტოვო ქუჩაში 2-3 დღე, მე ვერ შევძლებ გადარჩენას და აი, ეგრე დაიწყო ეს ყველაფერი, რომ ყველა პროექტი, რაც გვქონდა, კულტურული და სოციო-კულტურული პროექტები, ეხლა არის ყველაფერი ქვიარ მიგრაციაზე და ქვიარ მიგრანტებთან ერთად ან ქვიარ მიგრანტებზე“ (რ12. მ. 12წ. 08.04.2024).

ცალკეული რესპონდენტებისათვის აქტივიზმის როლის აღქმა ასევე წარმოაჩენს ლგბტქ+ თემის პოსტმიგრაციულ თავისებურებას. არის ერთი სპეციფიკური მახასიათებელი, რომელიც მართალია, სხვა ქვიარ მიგრანტებთან ინტერვიუებშიც გხვდება, თუმცა, განსაკუთრებული სიმძაფრით და სიხშირით გამოკითხული აქტივისტებისა და სათემო მუშაკების მონათხრობში ჩანს. ეს არის ერთგვარი გადარჩენილის დანაშაულის გრძნობა,[10] რაც ცხოვრების უკეთეს პირობებში მიგრაციის შედეგად ჩნდება და ზოგჯერ, წლებიც გრძელდება. ეს წინააღმდეგობრივი მიმართებები ერთგვარ ემოციურ დისონანსს ქმნის – ისინი იბრძვიან ორი სურვილის შესაჯერებლად: კავშირი შეინარჩუნონ საქართველოსთან და თან გაემიჯნონ იმ სისტემებს, რომლებიც მათ მარგინალიზაციას და ჩაგვრას იწვევდა.

10 Survivor's Guilt.

„აქტივისტი როცა ხარ, ნუ, მე მქონდა ეგ სინდისის ქენჯნა იმასთან დაკავშირებით, რომ მე, სიტყვაზე, აქტიური ადამიანი, რომელსაც შემეძლო, რომ ღია ვყოფილიყავი. ანუ, რეალურად ცარიელ სივრცეს ტოვებ შენს მერე და ფიქრობ, როგორ განვითარდება. თემის დაღალატების და ორგანიზაციის და თანამებრძოლების დაღალატების მომენტია. [...] რეალურად, მართლა ეს იყო, რომ თემს ვტოვებ, თემის წევრებს ვტოვებ, როცა სიტუაცია უკეთესობისკენ არ იცვლება. და ოკ, ანუ... ვინ უნდა გააკეთოს, თუ არა მე?“ (რ26. მ. 7წ. 11.06.2024).

„პირველად, როცა წავედი, თავი ამოვყავი სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში, განსაკუთრებით საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მათ შორის, ქვიარ აქტივიზმის მდგომარეობის მხრივ. ძაან უცნაური იყო ყველაფერი. ინტენსიურად – უცებ ამ ვაკუუმში თავის ამოყოფა. არ ვიყავი დარწმუნებული, მსიამოვნებდა თუ არა. რაღაც მომენტებში დანაშაულის გრძნობაც კი მიჩნდებოდა ხოლმე, რომ არ შეიძლება ასე მოსცილდე და unaware [არ იყო საქმის კურსში] იყო სიტუაციების, მაგრამ, ასე თუ ისე, ფსიქიკური ჯანმრთელობის დონეზე, მომიხდა. იქ ხშირად ვხვდებოდი ხოლმე ისეთი ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც იყვნენ gender blind [გენდერულად ბრმა, გულგრილი გენდერული საკითხების მიმართ] ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ მჭირდებოდა დისტანცირება და რაღაცები, რეაქციები მაინც მქონდა ასეთ რაღაცებზე, უცებ აპოლიტიკური ვერ გავხდებოდი. სტუმრებს თუ გამოვრიცხავ, იქაც საკმაოდ უმცირესობაში ვიყავი, ამ ჩემი ქვიარობით“ (რ9. მ. 6წ. 23.03.2024).

ამ რესპონდენტთა ნაწილი მიმღებ ქვეყანაში უფრო მასშტაბურ პლატფორმებზე იწყებს ლგბტქ+ ადვოკატირებისთვის მუშაობას, უმეტესად საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში, და აგრძელებს ადგილობრივი თემის მხარდაჭერას. როგორც აღნიშნავენ, ახალ პლატფორმებს, საერთაშორისო ინსტიტუციური ჩარჩოებიდან გამორიცხული მარგინალიზებული ჯგუფების ხმების წინ წამოსაწევად იყენებენ. ამ კონტექსტში, უპირველესად, იგულისხმება საქართველოში NGO-დომინირებულ ქვიარაქტივისტურ

ველზე, მცირე, თვითორგანიზებული საინიციატივო ჯგუფების ინსტიტუციური ან მოხალისეობრივი მხარდაჭერა და, ასევე, ლეგალისტური და მეინსტრიმული ჩარჩოთი მოსაზღვრული საერთაშორისო ორგანიზაციების ხედვებსა და მიდგომებში მეტი მოქნილობის შეტანა ქვიარრეალობების მრავალფეროვნების წარმოჩენით.

> *„თავიდან ძალიან მქონდა, რა თქმა უნდა, ეს Survivor's Guilt [გადარჩენილის დანაშაულის გრძნობა], იმიტომ რომ ისეთი კონტრასტი იყო სიმშვიდეში ყოფნა უცებ მაგის მერე. და პრინციპში, უსაფრთხოებაში. ვებრძვი ამას და ვაცნობიერებ, ვიცი რაცაა და რისთვისაც... ახლა უფრო პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რომ რაღაცეები უნდა გავაკეთო – მოხალისეობრივად ვეხმარები ვიღაცეებს. მანდ ყოფნის დროსაც სულ ქუჩაში ვიყავი და სოციალურ მედიაში ვაქტიურობდი. ეს არის bare minimum [მინიმალური], რაც შემიძლია რომ გავაკეთო – თანხის გადარიცხვა კიდევ რაღაც ინიციატივებისთვის. პასუხისმგებლობის მომენტი მაქვს, რომ რა შემიძლია გავაკეთო აქედან" (რ27. მ. 11წ. 7.06.2024).*

> *„ჩვენ [დონორი ორგანიზაცია, რომელშიც მუშაობს რესპონდენტი] რასაც შევეცადეთ, არის, რომ გაგვეყო ინსტიტუციურად ძლიერი ორგანიზაციებისთვის დაფინანსება და ვინარჩუნებთ გარკვეული რაოდენობის პარტნიორები და გავხსენით უფრო მცირე გრანტების პროგრამა ისეთი ჯგუფებისთვის, რომელიც არის მცირე, მუშაობს თემის კონკრეტულ სეგმენტებთან, მუშაობს ცენტრიდან გარეთ და რაღაც შემთხვევებში მოვახერხეთ, რომ არარეგისტრირებული ჯგუფებისთვის მიგვეცა ფული" (რ26. მ. 7წ. 11.06.2024).*

რესპონდენტების ნაწილი, უკვე მიმღებ ქვეყანაში, გავლილ გამოცდილებებზე რეფლექსიის კვალდაკვალ იახლებს საზრისის განცდას და საკუთარი ძალისხმევების დაფასებას იწყებს. ისინი ამ პროცესში ეყრდნობიან აქტივიზმში კონტრიბუციის შესაძლებლობების აღმოჩენასა და სოციოპოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის აუცილებლობის დანახვას.

ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტები აღნიშნავენ მიმღებ ქვეყანაში ადგილობრივ ლგბტქ+ თემთან კავშირების სირთულეს. მაშინ როდესაც დამცავი კანონმდებლობა და ინსტიტუციური მხარდაჭერა მათ უსაფრთხოების კრიტიკულად მნიშვნელოვან განცდას უქმნის, რესპონდენტები ადგილობრივ თემში ინტეგრაციის კულტურულ და სოციალურ ბარიერებზე საუბრობენ. მაგალითად, ჩრდილოევროპულ ქვეყნებში მეტად ინდივიდუალისტურ კულტურებში თითქოს ნაკლებია თანაზიარობის განცდა და თემთან ემოციური კავშირები უფრო რთულად მიიღწევა. ამგვარ გარემოში, საქართველოში ნაჩვევ სოციალურ ინტერაქციებს, რომელიც სითბოსა და ემოციების მძაფრი გამოხატვით ხასიათდება, ერთგვარი გათიშვა ანაცვლებს. ამის საპირისპიროდ, როგორც უკვე ითქვა, როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე თემში ინტერაქცია ქვიარ მიგრანტებს უმარტივდებათ ისეთ კულტურებში, სადაც სოციალური ურთიერთობები შედარებით ღია და ექსპრესიულია – ეს ადაპტაციის მხარდამჭერ ფაქტორად არის აღქმული და, შესაბამისად, უფრო მარტივია შესაკუთრება და მიკუთვნებულობის ფორმირება.

ჯამში, ლგბტქ+ სათემო დინამიკა ქვიარ მიგრანტებისათვის ხასიათდება მედეგობით, ადაპტაციურობითა და ურთიერთმხარდაჭერით. თანასწორთა ინფორმირების ქსელებით, უსაფრთხო შემოქმედებითი სივრცეებითა თუ საერთაშორისო საადვოკაციო ძალისხმევებით, რესპონდენტებს აქტიურად შეაქვთ წვლილი სათემო სტრუქტურების ფორმირებაში, როგორც პრაქტიკული, ისე ემოციური საჭიროებების საპასუხოდ. თუმცა, ამის პარალელურად, გამოკითხულთა გამოცდილებები წარმოაჩენს კულტურული ადაპტაციის, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და კავშირების შენარჩუნების სირთულეებს.

„სახლი“ და მომავლის ხედვა

მომავლის პოზიტიური ხედვა, დაგეგმვისა და გრძელვადიან გეგმაზე ფოკუსირების უნარი მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან. ქვიარ მიგრანტებს კი, როგორც ვნახეთ, ამ მდგომარეობის მიღწევის გზაზე მრავალი დაბრკოლება ხვდებათ. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მიკუთვნებულობის განცდის მიღწევის სირთულეა.

მიკუთვნებულობის განცდა, სხვაგვარად – საკუთარ სახლში ყოფნის შეგრძნებაა, რაც ნიშნავს ღრმა ემოციურ კავშირს ადგილთან,

საზოგადოებასთან ან ჯგუფთან, სადაც თავს მიღებულად, უსაფრთხოდ და აღიარებულად გრძნობ. სახლის განცდას უშუალო გავლენა აქვს ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნაზე, სტაბილურობის განცდაზე და, შესაბამისად, მომავლის გააზრების, დაგეგმვისა და გრძელვადიანი პერსპექტივის წარმოდგენაზე.

* * *

სახლის ცნება გამოკითხული ქვიარ მიგრანტებისათვის ძალიან პირადი და მრავალმხრივია; ზოგიერთისათვის სახლი კონკრეტულ ადგილებთან ასოცირდება, როგორიცაა მეგობრების ბინები ან პირველადი ოჯახის სახლი. ზოგისთვის კი ის ადგილია, სადაც მათთვის მნიშვნელოვანი კავშირები ჩამოყალიბდა – ჰყავთ ახლო მეგობრები და მიკუთვნებულობას გრძნობენ. გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის ეს კონცეპტუალური აღქმები უმეტესწილად საქართველოსთანაა დაკავშირებული – როგორც სამშობლოს იდეასთან, რომელთან მიკუთვნებულობაც თითქოს ავტომატური და ძალდაუტანებელი მოცემულობა უნდა იყოს. თუმცა, ადგილთან დაკავშირებული ტრავმული გამოცდილებებისა და ახალ კულტურასთან ასიმილაციის კვალდაკვალ, ეს აღქმა ქვიარ მიგრანტებისთვის იცვლება. ჯამში, სახლზე ფიქრი წინააღმდეგობრივია, რადგან გადის სხვადყოფნის მუდმივ განცდაზე, მიკუთვნებულობის კომპლექსურობასა და უსაფრთხოების განცდაზე.

რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც შედარებით ნაკლები დრო აქვს ემიგრაციაში გატარებული, მომავალი გაურკვეველი და განუსაზღვრელია. ისინი ამბობენ, რომ არ გააჩნიათ მკაფიო გეგმა და მომავლის ხედვა ბუნდოვანია. ეს გაურკვევლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული უსაფრთხოების განცდის ნაკლებობასა და უსამართლობის/უთანასწორობის მწვავე შეგრძნებასთან, რასაც ოჯახის და მეგობრების მხარდაჭერის არსებობა-არარსებობის მიუხედავად, კვლავ ძლიერი გავლენა აქვს რესპონდენტთა ყოფაზე. ზოგიერთი რესპონდენტი მომავალში საქართველოში დაბრუნებას არ გამორიცხავს, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ეს გეგმა ძალიან შორეულია, დაკავშირებულია სიბერესთან ან სამშობლოში გარემოებათა უკეთესობისკენ, ზოგჯერ რადიკალურად მოაზრებულ, ცვლილებასთან.

„ბოლომდე ასე ვერ ვხედავ მომავალს. ჩემს მოძლიერებას და უფრო მიმოსვლაში ვხედავ ჩემს თავს, დამკვიდრების ეგ რაღაც წამეშალა. არ ვიცი, ემიგრაციამ გამოიწვია თუ რამ... ხო, რამ გამოიწვია, ზუსტად არ ვიცი. ალბათ, უფრო ეგ მომენტია, რომ ქვიარობა საქართველოში – ასე დავარქმევდი. სტაბილურობის არქონის, თუ ვერშეგრძნების, თუ ნდომის, მაგრამ არსებობის. სტაბილურად ვერ ვხედავ ჩემს თავს ვერსად“ (რ25. მ. 2წ. 14.06.2024).

„ახლა ძაან არეულია. უფრო არტში, მუსიკა, ეგეთ რაღაცებში წარმოვიდგენ ჩემს თავს, ისევ საკლუბო სივრცეში და შოუებში, ვიდრე სხვა რაღაცებში, მაგრამ ჯერ ასე კონკრეტულად არ მაქვს არჩეული. მოკლედ, ძაან არეულია“ (რ6. თმ. 2წ. 19.03.2024).

„საერთოდ ვერ ვხედავ მომავალს. მივყვები ყოველდღიურობას და ვნახოთ. რაღაცა რომ დავინახო, მომავალი, ჯერ უნდა გავიგო – საერთოდ, სად ვარ, ვინ ვარ?...“ (რ29. თმ. 1წ. 10.06.2024).

„მომავალზე ვფიქრობ, რომ ჯერ აქ მინდა განვვითარდე და ჩამოვყალიბდე, როგორც დამოუკიდებელი, ზრდასრული ადამიანი და მერე, თუ მექნება შესაძლებლობა და საშუალება, – საშუალებაში იმას ვგულისხმობ, რომ თუ უსაფრთხო იქნება ჩემთვის საქართველოში ჩამოსვლა, – ჩამოვალ, მინიმუმ ტურისტულად, 2 თვით, 3 თვით, რომ ისევ ვიცხოვრო მანდ რაღაც პერიოდი, თუმცა არა მგონია, რომ სულ საცხოვრებლად მანდ დავბრუნდე. ჯერჯერობით ასე ვფიქრობ, მაგრამ მერე შეიძლება შეიცვალოს რაღაცები, არ ვარ დარწმუნებული“ (რ16. თმ. 1წ. 07.04.2024).

გრძელვადიანი არც სხვათა გეგმებია – რესპონდენტთა უმეტესობა ყურადღებას ამჟამინდელ პრიორიტეტებზე ამახვილებს. პირველ რიგში, ეს არის პიროვნული და პროფესიული განვითარება სტაბილური ყოველდღიურობის უზრუნველსაყოფად. თვითგანვითარებაზე ფოკუსირება, ამ

შემთხვევაში, არის როგორც გამკლავების მექანიზმი, ისე პრაქტიკული სტრატეგია მყიფე და არამდგრადი ცხოვრების პირობების დასაძლევად. თუმცა, ამის პარალელურად, ამგვარი პირადი მისწრაფებები ხშირად სხვებზე ზრუნვითაა გაჯერებული.

> *„მინდა სოციალურ მუშაკად მუშაობა. დიდი სურვილი მაქვს უშუალოდ კომისარიატში მუშაობის, სადაც განიხილება ეს ქეისები ან მიგრაციის მართვაზე მუშაობა. ძალიან მაინტერესებს. ახლა ზუსტად ისეთ ეტაპზე ვარ, რომ მალე უნდა მივიდე დასაქმების სააგენტოში, სადაც ყველას ინდივიდუალურად, თუ ვის რა შესაძლებლობები აქვს, იმის მიხედვით, განიხილავენ ამ დასაქმებას და უნდა ვცადო სოციალურ მუშაკად დავიწყო რამე სამსახური. თუ რამე ისეთი იყო, რაც ჩემს კვალიფიკაციას აკლია, ესენი აქ გიმატებენ იმ საჭირო კვალიფიკაციას, რომ სამსახური ვიშოვო. ხუთი წლის შემდეგ, ალბათ თავშესაფარში მუშაობა და ქვიარ მიგრანტების დაცვა, ესაა ჩემი ძირითადი მოტივი“ (რ24. თმ. 5წ. 27.05.2024).*

> *„მომავალში... პირდაპირ ვიტყვი, ალბათ, უბრალოდ თავისუფლებაში ვხედავ. ვიქნები ადამიანი, ალბათ, რომელიც იქნება ძაან ვიწრო დონეზე მუდმივად ცვლილების მომტანი. ანუ, რა იგულისხმება ამაში – ჩემთან ვინც მოვლენ ადამიანები, ჩემთან შეხებაში და ჩემთან ურთიერთობაში, ჩვენი საუბარი თუ ჩვენი ურთიერთგავლენა უფრო, იქნება ყოველთვის ორიენტირებული, რომ ჩვენ ერთმანეთი უკეთესი გავხადოთ და არასდროს არ იქნება სტანდარტულად „როგორ ხარ“. ანუ, ესეთ ადამიანად წარმომიდგენია თავი. არ მგონია, უფრო დიდ მასშტაბებზე გავიდე. არ მაქვს ამის სურვილი. [...] რაღაც დაახლოებით ასეთი ამოცანები მექნება ჩემი თავის წინაშე, რომ რთულ მდგომარეობაში მყოფ რამდენიმე და თითო-ოროლა ინდივიდთან მქონდეს შეხება და ეს ჩემი პატარა აქტივისტური შესაძლებლობები აქ დავიწროვდეს, რა. მეტს მე ვეღარ გავწვდები“ (რ20. მ. 6წ. 10.05.2024).*

ქვიარ მიგრანტების მისწრაფებები ძირითადად ფუნდამენტური ადამიანური საჭიროებებითაა განსაზღვრული: ჰქონდეთ სახლი, უსაფრთხოება და მნიშვნელოვანი ადამიანური კავშირები. ეს მიზნები, მიუხედავად მათი სიმარტივისა, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სისტემური უსამართლობის ღრმა გავლენას ქვიარ ინდივიდების ცხოვრებაზე და, ასევე, სიმტკიცესა და მედეგობას, რაც მათ ახალ სოციალურ გარემოში მიკუთვნებულობის განცდისა და სტაბილურობის მოსაპოვებლად სჭირდებათ.

> *„პერსპექტივას, დიდად რომ გითხრა, ვხედავ-თქო, ვერა, ამ ეტაპისთვის. მაგრამ რაღაც რომ იყოს და ამ ქვეყანაში მე მოვაწყო, საქართველოში მინიმუმ 15 წელი არ ჩამოვალ. ჩემი მიზანი ცხოვრებაში არის, რომ მქონდეს ჩემი სახლი და მქონდეს ჩემი პირადი, პატარა ბიზნესი, რითაც ჩემს თავს ვირჩენ და ვიღაცასთან 100 ლარზე და 50 ლარზე არ მომიწევს, ხო ხვდები რაც. ეს არის ჩემი მიზანი და რა ვიცი, ღმერთის იმედი მაქვს, რომ მე ყველაფერს მივაღწევ“ (რ18. თმ. 1წ. 30.04.2024).*

> *„ჩემი მომავალი ის არის, რომ რაც მთელი ცხოვრების ოცნება მქონდა, ეგ არის პრინციპში ჩემი მომავალიც, რომ დაწყებული მაქვს პროცედურა – ბავშვის მინდობით აღზრდის პროცედურა, ძალიან მინდა, რომ მყავდეს ბავშვი და მასზე ვიზრუნო. პრინციპში, პროექტებზე და რაღაცებზე არ ვილაპარაკებ, სოც. მუშაკობას ვაპირებ, გავაგრძელო და აქეთ [ჩემს დაფუძნებულ ორგანიზაციაში] ვაპირებ, რომ უამრავი რაღაცა ვაკეთო, მაგრამ ჩემი მომავალი არის, რაც მტკიცედ რაც მინდა და რაც ვიცი, რომ მინდა მყავდეს და დაწყებულიც მაქვს პროცესი, ეს არის, რომ რამდენადაც შესაძლებელია მალე მყავდეს ბავშვი“ (რ28. თმ. 5წ. 06.06.2024).*

„აქ ნელ-ნელა ჩამოვყალიბდი, რომ სწავლა მინდა და რაღაც უნივერსიტეტებს ვეძებ, ვიკვლევ, რომ კარგად ჩამოვყალიბდე. აქ კიდევ ეგ არის, რომ ასაკობრივად არ გზღუდავენ. საქართველოში 30 წლის რომ ხარ, თითქოს უკვე გადადებული ხარ, უკვე პენსიონერი ხარ. აქ ეგრე არ არის, აქ 30 წლისები ბაკალავრზე აბარებენ და ეგ დამოკიდებულება ძაან მომეწონა. თავიდან რომ არ იცი, გგონია, აქაც ეგრეა და გიჭირს, ფიქრობ, სირცხვილი ხომ არ არის, 30 წლის რომ გამოვეჭიმები, თუ რაღაც, და არა, ეგრე არაა და ეგ მომენტი აღარ გაქვს. პირიქით, შენ უნდა იყო იმაზე ორიენტირებული, რა გინდა, რა გაინტერესებს და უფრო დამშვიდდები“ (რმ. თმ. 26. 20.03.2024).

დასკვნა

საქართველოში ქვიარ ინდივიდების მდგომარეობა, მათ შორის მათი, ვინც სოციალური და პოლიტიკური ჰომოფობიის წინაპირობით ტოვებს ქვეყანას, საჭიროებს მრავალშრიან მიდგომას, რომელიც უნდა აერთიანებდეს აქტივიზმს, კვლევასა და პოლიტიკურ ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ+ აქტივიზმმა უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში ხილვადობისა და პოლიტიკის მიმართულებით ქვიარ ინდივიდების კეთილდღეობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, გამოწვევები კვლავ ღრმად ფესვგადგმულია იერარქიულ სტრუქტურებსა და სოციო-პოლიტიკურ უთანასწორობაში. მოცემული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, უფრო მდგრადი და ინკლუზიური მოძრაობის უზრუნველსაყოფად, მომავალში გასათვალისწინებელია:

1. **სოციალურ და პოლიტიკურ ჰომოფობიასთან დაპირისპირება:** საქართველოში ჰომოფობია არათუ სოციალური პრობლემა, არამედ პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებული იარაღია, რომელიც განსხვავებული აზრისა და კონსერვატიული ნაციონალისტური დღის წესრიგის გასაძლიერებლად გამოიყენება. ამ კონტექსტში, დისკრიმინაციული კანონმდებლობით გამოწვეული ჩაგვრისა და უსამართლობის აღმოსაფხვრელად, ადვოკატირების ძალისხმევა საჭიროა მიმართული იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების შენარჩუნებასა და, ასევე, ლგბტქ+ პირთა დამცავი სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებაზე. ასევე, მიზანმიმართული კამპანიები საჭიროა წარმოაჩენდეს ანტი-ლგბტქ+ რიტორიკისა და უფრო ფართო ავტორიტარული ტენდენციების თანაკვეთებს;
2. **ქვიარ ძალისხმევის გაძლიერება:** ეფექტიანობის უზრუნველყოფის პარალელურად, მოძრაობაში გრასრუთ შინაარსებისა და სულისკვეთების შესანარჩუნებლად, ქვიარ ძალისხმევა საჭიროა ორგანიზდებოდეს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ კავშირებად და ქსელებად. ეს, უპირველესად, უნდა გულისხმობდეს ისეთი ინკლუზიური სტრუქტურების შექმნასა და ხელშეწყობას, სადაც არსებული ძალაუფლებრივი დინამიკა გათვალისწინებული და შიდა იერარქიების აღმოფხვრისკენ მიმართული იქნება, – ენთუზიაზმით სავსე, მარ-

გინალიზებული მონაწილეების გარიყვის თავიდან ასაცილებლად. ადვოკატირების ქსელებმა უნდა იმუშაონ ქვიარ თემის მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, განსაკუთრებით იმ პირთა საჭიროებების წინ წამოსაწევად, რომლებიც დამატებით დისკრიმინაციას განიცდიან სოციო-ეკონომიკური კლასთან ან სხვადასხვა მარგინალიზებულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო;

3. **კვლევა და საქართველოში ქვიარ ყოფის მეტად ფრთხილი რეპრეზენტაცია საერთაშორისო ანგარიშებში:** ადგილობრივი აქტივისტური ჯგუფებისა და სათემო არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტიზა და გამოცდილება, ისევე როგორც პოლიტიკური მიღწევები, კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროგრესის მარკერია ქვიარ ინდივიდების ყოველდღიური ყოფისათვის. თუმცა, ადგილობრივი ლგბტქ+ თემის მდგომარეობის მეტად მგრძნობიარე და სრულყოფილი შეფასებისთვის, საჭიროა ქვიარ პირების ყოველდღიური რეალობის კვლევა. მათ შორის, ისეთი თვისებრივი მონაცემების წარმოება და რეპრეზენტაციაში ინტეგრირება, რომლებიც სიღრმისეულად აღწერდა ყოფითი დისკრიმინაციის, ეკონომიკური დაუცველობისა და სოციალური ექსკლუზიის გამოცდილებებს. ამგვარი რეპრეზენტაცია თავის წვლილს შეიტანს საერთაშორისო დონეზე ქვიარ ყოფის შეფასების არსებული ლიმიტირებული კრიტერიუმების გადახედვისა და გაუმჯობესების საქმეში;

4. **ინტერსექციური მიდგომის დანერგვა მიგრაციისა და ადვოკატირების საქმეში:** ქვიარ მიგრაციის გაგება შეუძლებელია ფართო სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებისგან დამოუკიდებლად. იმისათვის, რომ შემდგომი ინტერვენციები სათანადოდ მოერგოს ქვიარ მიგრანტების საჭიროებებს, საჭიროა ადვოკატირების ჯგუფების თანამშრომლობა იმ ჯგუფებთან, რომლებიც მუშაობენ შრომითი უფლებების, ლტოლვილთა მხარდაჭერის, გენდერული თანასწორობისა და ეკონომიკური სამართლიანობის მიმართულებით. ამგვარი პარტნიორობების შექმნა და ხელშეწყობა აუცილებელია გადაკვეთის წერტილებზე არსებული მოწყვლადობების – როგორიცაა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაცია, საბინაო დაუცველობა, თავშესაფრის, ბინადრობის მოპოვების სამართლებრივი ბარიერები და სხვა – ეფექტიანად და სრულყოფილად დასაძლევად.

ამგვარი სტრატეგიების დანერგვით, ლგბტქ+ ადვოკატირება საქართველოში მეტად წარმომადგენლობითი, ინკლუზიური, მედეგი და ეფექტიანი გახდება. მდგრადი კავშირები და თანამშრომლობები, ინტერსექციური ანალიზი, გრასრუთ ინიციატივების ერთგულება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა ფუნდამენტური იქნება არათუ ქვიარ ხმების წარმოსაჩენად და გასაგონად, არამედ იმისთვისაც, რომ მათ საფუძველზე განისაზღვროს პოლიტიკა, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს ლგბტქ+ პირთა ყოველდღიურობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

აღდგომელაშვილი, ე, მჭედლიშვილი, ნ. ხუციშვილი, ქ. (2018). ლგბტქ+ ჯგუფის დისკრიმინაციის კვლევა. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.

აღდგომელაშვილი, ე. ლაფერაძე, თ. მჭედლიშვილი, ნ. ხუციშვილი, ქ. (2022). COVID-19-ის გავლენა ლგბტ(ქ)ი თემზე. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.

აღდგომელაშვილი, ე. (2016). წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე: კვლევა ლგბტ თემის და მათი უფლებების მიმართ სოციალური დამოკიდებულებების, ცოდნისა და ინფორმაციის შესახებ. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.

აღდგომელაშვილი, ე. ლაფერაძე, თ. მჭედლიშვილი, ნ. (2022). წინარწმენიდან თანასწორობამდე. Vol. 2 | საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.

თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი 9.0. (მაისი, 2023). ტერმინთა უკეთესი თავსებადობის მიზნით შემუშავებული დოკუმენტი. მიგრაციის ევროპული ქსელი.

შიუკაშვილი, ს. & კანკია, გ. (2022). ქვიარ ტრავმა და ურბანული სივრცე: სხეული, ინტერაქცია და ყოველდღიური ცხოვრება. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.

ჩივაძე, თ. & ცაგარელი, ა. (2022). პასუხისმგებელი სახელმწიფო და კეთილდღეობის ინსტიტუტები ევროპაში. რატომ ევროპა – როგორ ცხოვრობს ხალხი ევროპის ქვეყნებში?. საზოგადოების კვლევის ცენტრი. გვ. 31-70.

ჩივაძე, თ. (2024, 15 სექტემბერი). საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში. მაუწყებელი, Mautskebeli.ge

ჯალაღანია, ლ. (2024, 19 მაისი). ჰომოფობია კაპიტალის სამსახურში. მაუწყებელი, Mautskebeli.ge.

agenda.ge. (2024, June 28). Eurostat: Sharp drop in asylum seekers from Georgia.

Butler, J. (2020). The force of nonviolence: An ethico-political bind. Verso.

Cantu, L. (2009). The sexuality of migration: Border crossings and Mexican immigrant men. NYU Press.

El-Tayeb, F. (2011). European others: Queering ethnicity in postnational Europe. University of Minnesota Press.

Gorman-Murray, A., & Nash, C. J. (2016). LGBT communities, identities and the politics of mobility: Moving from visibility to recognition in contemporary urban landscapes. In G. Brown & K. Browne (Eds.), The Routledge research companion to geographies of sex and sexualities (pp. 247-253). Routledge.

Hoffmann, E. M., & Buckley, C. J. (2013). Global changes and gendered responses: The feminization of migration from Georgia. International Migration Review, 47(3), 508-538.

Hopkinson, R. A., Keatley, E., Glaeser, E., Erickson-Schroth, L., Fattal, O., & Sullivan, M. N. (2017). Persecution experiences and mental health of LGBT asylum seekers. Journal of Homosexuality, 64(12), 1650-1666.

Institute for Development of Freedom of Information. (2024, January 22). What causes the unemployment rate to fall?

Kassan, A., & Nakamura, N. (2013). „This Was My Only Option“: Career transitions of Canadian immigrants in same-sex binational relationships. Journal of LGBT Issues in Counseling, 7(2), 154–171.

Kuhar, R., & Paternotte, D. (2017). Anti-gender campaigns in Europe: Mobilizing against equality. Rowman & Littlestone.

Luibhéid, E., & Cantú, L. (2005). Queer migrations: Sexuality, U.S. citizenship, and border crossings. University of Minnesota Press.

Luibhéid, E., Andrade, R., & Stevens, S. (2017). Intimate attachments and migrant deportability: Lessons from undocumented mothers seeking benefits for citizen children. Ethnic and Racial Studies.

Mai, N., & King, R. (2009). Love, sexuality and migration: Mapping the issue(s). Mobilities, 4(3), 295–307.

Manalansan, M. F., IV. (2006). Queer intersections: Sexuality and gender in migration studies. International Migration Review, 40, 224-249.

Meyer, I. H. (2003). Prejudice, social stress, and mental health in lesbian, gay, and bisexual populations: Conceptual issues and research evidence. Psychological Bulletin, 129(5), 674-697.

Mole, R. C. M. (2018). Identity, belonging and solidarity among Russian-speaking queer migrants in Berlin. Slavic Review, 77(1), 77–98.

Mole, R. C. M. (Ed.). (2021). Queer migration and asylum in Europe. UCL Press.

Mudde, C. (2019). The far right today. Polity Press.

Murray, D. A. B. (2015). Real queer? Sexual orientation and gender identity refugees in the Canadian refugee apparatus. Rowman & Littlestone.

Puar, J. K. (2007). Terrorist assemblages: Homonationalism in queer times. Duke University Press.

Shatberashvili, T. (2023). Situating queer migration, displacement and sense of belonging in Georgian queer migrants. Gender, Place & Culture, 30(2), 215-236.

Shield, A. D. J. (2019). Immigrants on Grindr: Race, sexuality and belonging online. Springer.

Spijkerboer, T. (2018). Gender, sexuality, asylum and European human rights. Law and Critique, 29(2), 221-239.

State Commission on Migration Issues. (2015). Migration profile of Georgia. European Union & International Organization for Migration.

The Irish Times. (2023, December 11). Georgians in Ireland: Why so many make the journey and why one man went back home.

Tschalaer, M. (2020). Between queer liberalisms and Muslim masculinities: LGBTQI+ Muslim asylum assessment in Germany. Ethnic and Racial Studies.

Verloo, M., & Paternotte, D. (2018). The feminist project under threat in Europe. Politics and Governance, 6(3), 1-5.

Wodak, R. (2021). The politics of fear: The shameless normalization of far-right discourse (2nd ed.). SAGE Publications.

World Bank. (2023). Georgia overview.